პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 132 (12811) 8 ივნისი ორშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

## ზურაბ ხიზანიშვილი

# მრცხვენია!

### ვიცე-კაპიტანი: ფეხბურთელები მწვრთნელის დავალებებს ვერ იგებენ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეებით წინ ვერ წავალთ

» გვერდი 2 ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰექტორ კუპერი

# დარწმუნებული ვარ, ახალ ფეხბურთელებს ვიპოვით

» გვერდი 3 პრესკონფერენცია

# მაჩანჩალა მაჩანჩალათა შორის

### მოლდოვა ვერ უგებს ლუქსემბურგს, სამაგიეროდ, უგებს საქართველოს



» გვერდი 2 მატჩი



# რიცხვმრავალთა მეტი ჯილდო

» გვერდი 11 საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში

06.06. თბილისი. მიხეილ მესხი.
8 000 მაყურებელი

**საქართველო-მოლდოვა**

**1:2**

0:1 სოფრონი (16), 0:2 გოლოვატენკო (59), 1:2 ხიზანიშვილი (84)

საქართველო: ლომაია - შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, კვახაძე, ფოფხაძე - გოცირიძე (26. სეთურიძე), კობიაშვილი (73. რაზმაძე), დაუშვილი (80. ყენია), კვირკველია (63. მერებაშვილი) - იაშვილი, ალექსიძე (68. დვალიშვილი).

სათადარიგოები: მამალაძე, გ. კაშია

მთავარი მწვრთნელი: ექტორ კუპერი

მოლდოვა: სტ. ნამაშკო - სავინოვი, ეპურეანუ, არმაში, გოლოვატენკო - ბულატი (83. ტიგირლასი), იონიცე, ჩებოტარუ, სუვოროვი (73. სერ. ნამაშკო) - სოფრონი (77. ანდრონიკი), ბუგაიოვი (83. ოვსეანიკოვი).

სათადარიგოები: გალანცეა, გალინცევი, პოპოვიჩი

მთავარი მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი

გაფრთხილება: ჩებოტარუ (27, 87), იონიცე (32), გოლოვატენკო (34), ალექსიძე (58), კობიაშვილი (65), სოფრონი (74), სტ. ნამაშკო (89), ანდრონიკი (90)

გაძევება: ჩებოტარუ (87)

არბიტრი: პ. სალიი (ყაზახეთი)



ქართველებმა ანგარიში მატჩის ბოლოს გაათანაბრეს

# მაჩანჩალა მაჩანჩალათა შორის

## მოლდოვა ვერ უგებს ლუქსემბურგს, მაგრამ უგებს საქართველოს. კუპერზე მეტად ჩვენ უნდა გავბრაზდეთ

**ექტორ კუპერს** კოსტუმის ჩაცმა და ჰალსტუხის მორგება არ დავიწყნია, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზეც გამოცხადდა და გვითხრა, გაბრაზებული ვარო. საქართველოს ნაკრების არგენტინელმა მწვრთნელმა ასეთი რამ პირველად თქვა და ეს, ალბათ, ჩვენი ნაკრების აღორძინების დასაწყისი იქნება. აბა, როგორ?! სენიორ კუპერი ხომ უკვე გაბრაზებულია, იქნებ, თვალებიდან სულაც ნაპერწკლებს ჰყრის - საქართველომ ზედიზედ მე-9 მატჩი ვერ მოიგო.

ჰოლივუდურ ფილმებში რომაა - კაცი ჯერ მარცხდება, წვალობს, ითრგუნება, მერე კი, როცა ძალიან გაბრაზდება, ძალაც მოემატება და იმარჯვებს. ასეა ახლა ჩვენი ნაკრებისა და კუპერის საქმეც - ძალიან გაბრაზებას დიდი გამარჯვებები უნდა მოჰყვეს.

ისე, არაერთი ქართველი მწვრთნელისგან გვინახავს, ფეხბურთელებს როგორ უფუცხუნებს - გაბრაზდი, გაბრაზდიო! ზოგს ალბათ ეცინება მწვრთნელის ასეთ შეგონებაზე, მაგრამ ნურას უკაცრავად! ხომ ხედავთ, რაოდენ მნიშვნელოვანია კუპერის სამუშაოში გაბრაზება? ის ლამის ერთი წლის განმავლობაში ვერ ბრაზდებოდა საქართველოს ნაკრების თამაშით, მოლდოვის მერე კი, როგორც იქნა, გაბრაზდა...

გულშემატკივარი კი წვიმიან ამინდშიც მივიდა საქართველოს ეროვნული გუნდის საქომაგოდ. თქეშ-თქეშ ეცლებოდა მაყურებელი გადაუხურავ ტრიბუნას, მაგრამ სტადიონი გულშემატკივრის ენერგოლირებულებას მაინც ინარჩუნებდა. ფეხბურთელები არავის მიუტოვებია, მათ კი...

თითქოს, ჩვენს ფეხბურთელებს აღარ სჯერათ თავიანთი გუნდის. მართალია, ეს ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ ეროვნულმა ნაკრებმა კეთილი უნდა ინებოს და ქვეყნის სახელისთვის თავი დადოს მოედანზე. ეს ნაკრები კი მოლდოვასთან მოყვარულთა გუნდს ჰგავდა, სამსახურის მერე რომ იკრიბებიან და ბურთს აგორებენ...

მოლდოვამ კი საქართველოს ნაკრებს ბურთის გაგორებაშიც აჯობა და პოზიციურ თამაშშიც. **იგორ დობროვოლსკის** გუნდს ადრევე მიეცა დაწინაურების არცთუ ურიგო შანსი, თუმცა ხიფათი **ზურაბ ხიზანიშვილმა** განმუხტა. მერე იყო, **იგორ ბუგაიოვი** ლამის პირისპირ რომ გავიდა **გიორგი ლომაიასთან** და ბოლო მომენტში **ალექსანდრე კვახაძემ** იმარჯვა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თამაში მოლდოვას მიჰყავდა, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა - მარჯვენა ფლანგზე ბურთის საზრიანად გათამაშების შემდეგ ბუგაიოვის ჩაწოდებას **ვიაჩესლავ სოფრონის** თავური გოლი მოჰყვა.

მოედნის ცენტრში მოლდოველები უხეშობდნენ, აქტიურ **ლევან კობიაშვილს** არაერთხელ მოხვდა კოჭ-წვივებში, სტუმრები ბურთის ართმევისთვის არაფერს ერიდებოდნენ, სასწაული პრესინგი არ უთამაშიათ, თუმც რიგიანად ირჯებოდნენ. ერთი-ორჯერ მოლდოვის დაცვა მაინც დაიჩხვლიტა - **ალექსანდრე იაშვილი** მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და იქიდან ბურთს ისეთი ტრაექტორია შეურჩია, ზემოდან დაეცა სტუმართა კარის ხარიხას.

კობიაშვილი არ ცხრებოდა, შორიდან სცადა გოლის გატანა და მიზანმა უმტყუნა, მერე მოლდოველთა საჯარიმო მოედანშიც დატრიალდა ჯარასავით, თუმცა ბოლო მომენტში მცველებს ვერ აჯობა, არადა, შეიძლებოდა გოლის ლელოსავით გატანა...

შესვენების შემდეგ კუპერის გუნდს თითქოს გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ თამაშის შემობრუნებისთვის საჭირო ჯანი და შემართება მაინც არ ემჩნეოდა. მოლდოვამ კი ამასობაში მეორე გოლიც გაიტანა - ხიზანიშვილმა კარგად ვერ მოიგერია ბურთი და სტუმრები კუთხურს გამორჩნენ, ხოლო **ალექსანდრ სუვოროვის** ჩაწოდებულზე ჩვენი დაცვა ბრინჯივით დაიბნა და **ვიქტორ გოლოვატენკომ** ბურთი ბადეში გაახვია.

კუპერმა მოედანზე **გიორგი მერებაშვილი** შეიყვანა. ეს ის შემტევია, თამაშის გამწვავება რომ შეუძლია და მწვრთნელის შეცვლამაც გაამართლა - მერებაშვილის გარჯამ მოლდოველებს მარცხენა ფლანგზე არაერთი პრობლემა შეუქმნა. ჩვენმა ნაკრებმა რაღაც შტურმისმაგვარიც კი მოუწყო სტუმარს, სისწრაფის მომატებასა და ერთი-ორ წარმატებულ დრიბლინგს საგოლე მომენტები უხვად არ მოჰყოლია, მაგრამ მეტოქის სისუსტეები კი კარგად გამოაჩინა. მოლდოვა მიმდინარე შესარჩევში ბოლო ადგილზეა თავის ჯგუფში, ლუქსემბურგის ნაკრებსაც კი ვერ უგებს - შეხვედრის ბოლოს დობროვოლსკის სამწყსო ზუსტად ასეთ გუნდს ჰგავდა.

...ხიზანიშვილმა ნაკუთხურალ ბურთზე გამოიჩინა თავი - ეს მისი პირველი გოლი იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ანგარიშის გაქვითვამ ფრეზე დააფიქრა კუპერის გუნდი და **ვლადიმერ დვალიშვილს** შეეძლო კიდეც გამთანაბრებელი გოლის გატანა, მაგრამ... საქართველო ამ შეხვედრაში წაგებაზე მეტს არაფერს იმსახურებდა.

კუპერმა 4-4-2 აირჩია, ზედიზედ მეორედ თქვა უარი მანამდე დაჟინებულ 4-3-3-ზე. რამდენად ეფექტურია **ბექა გოცირიძის** გამწესება ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე? თუმცა რა აზრი აქვს კითხვის დასმას, როცა ნაკრები ნაკრებს არ ჰგავს. ტრავმირებული გოცირიძე კუპერმა **გიორგი სეთურიძით** შეცვლა და გამოჩნდა, რომ სეთურიძეს შეუძლია, ნაკრებში ამ პოზიციაზე სამართლიანი პრეტენზიაც გამოთქვას.

მთავარი კი ალბათ ის უნდა იყოს, რომ კუპერმა ფეხბურთელები სათანადოდ ვერ განაწყო ამ მატჩისთვის და თუ მწვრთნელს ეს ზოგადად არ შეუძლია, მის გუნდს პერსპექტივა არ აქვს. ყოველივე ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელებს მისი აღარ სჯერათ, მიჯრით ვერმოგებული 9 მატჩი ცოტა ნამდვილად არ არის და კუპერზე მეტად საქართველო უნდა იყოს გაბრაზებული...

**დავით თავართქილაძე**

მატჩის შემდეგ

# მერებაშვილი: დავიღალეთ ამდენი წაგებით!

### ბექა გოცირიძე

- შეცვლა ტრავმის გამო ვითხოვე. როგორც ჩანს, სერიოზული დაზიანება მაქვს... ალბათ, ალბანეთში ვერ ვითამაშებ... რა გითხრათ, შინ მოლდოვასთან წავაგეთ და რა უნდა ვთქვა... ბოლო 20 წუთი გამოვცოცხლდით და კარგად ვითამაშეთ, მაგრამ თამაშის გადარჩენა ვერ შევძელით. მრცხვენია, მართლა ძალიან მრცხვენია, ჩვენი ქომაგების მრცხვენია...

### გიორგი მერებაშვილი

- ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მოლდოვას შინ ვერ მოვუგებდით. თუმცა მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ და დავისაჯეთ კიდეც. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის წაგების მთავარი მიზეზი... ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, მართლა არ ვიცი, რა ვუთხრა გულშემატკივარს... მხოლოდ მობოდიშება შემიძლია, მეტს ვერაფერს ვეტყვი... პირადად მეც, ფეხბურთელებიც, დავიღალეთ უკვე ამდენი წაგებით. თამაში კი გავამწვავე და კუპერმა სწორედ ეს დამავალა კიდეც, მაგრამ... წაგებას მაინც ვერ ავცდით.

### გიორგი სეთურიძე

- მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით ბოლო 20 წუთი, მაგრამ მარცხს თავი მაინც ვერ დავაღწიეთ. დასანანია... ძალზე გულგატეხილი ვარ... რაც შეეხება ჩემს თამაშს, მგონი, ცუდად არ გამოვიყურებოდი, მაგრამ უკეთაც შემიძლია და იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა ნაკრებში თამაშის საშუალება და უფრო უკეთ წარმოვჩნდები...

### გიორგი ფოფხაძე

- ნაკრებში კარგა ხნის პაუზის შემდეგ ვითამაშე. კუპერის გუნდში კი საერთოდ პირველად ვიყავი. ძალიან მინდოდა, მოგვეგო, მაგრამ წავაგეთ და რაღა გვაქვს სალაპარაკო... მატჩის დებიუტში, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი და თამაში თავიდან არ გამომივიდა, მაგრამ მერე თითქოს დავლაგდით... თუმცა წაგებას ვერ გადავურჩით.

### ლევან კვახაძე

- ამას ნამდვილად არ ველოდით! მოლდოვასთან არ უნდა წაგვეგო. ცუდად ვითამაშეთ, ბოლო 20 წუთში მეტოქე შტურმში კი მოვუწყვეთ, მაგრამ ერთი გოლის მეტი ვერ გავიტანეთ. სხვა მომენტებიც გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. დასანანია...

**დავით ცაბაძე**

მოლდოვის შემდეგ

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# მრცხვენია!

## ფეხბურთელებს მწვრთნელის დავალება არ ესმით...

**მორიგი** სირცხვილი, კიდევ ერთი იმედგაცრუება, შეურაცხყოფილი გულშემატკივარი... კიდეც ერთხელ ვიხილეთ თბილისში გახარებული მეტოქე, რომელიც თავადაც ვერ იხსენებს, ბოლოს როდის მოიგო... ამ და კიდევ სხვა, უფრო მძაფრი შეფასებითაც შეიძლება გადმოიცეს ის ნეგატიური ემოციები, საქართველო-მოლდოვის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს რომ მოჰყვა...

მაინც რა მოხდა, რით შეიძლება აიხსნას ეს წაგება, ასეთი უსუსური და არასწორი თამაში... რა ხდება გუნდში, რას უნდა ველოდეთ ალბანეთში 10 ივნისის ამხანაგურ მატჩში... ამაზე ველაპარაკეთ გუნდის ვიცე-კაპიტან ზურაბ ხიზანიშვილს, რომელმაც მოლდოვასთან პრესტიჟის გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ეს იყო ზურას პირველი სანაკრებო გოლი...

- მოლდოვასთან შინ წავაგეთ... ამას ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა... მოლდოვამ თბილისში მოგვიგო და ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, ეს სირცხვილია! იყო დრო, და მეც ვყოფილვარ ამის მომსწრე, როცა მოლდოვა, თუნდაც სტუმრად რომ ვეთამაშებოდით, გვეხვეწებოდა, რომ ორ-სამი გოლის მეტი არ გაგვეტანოთო (?! - რედ). შესაძლოა, ზოგს დღესაც ჰგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელებით წინ წავალთ. მე ასე არ ვფიქრობ, წინ კი არა, უკან-უკან მივდივართ. ამის დასტურად თუნდაც მოლდოვასთან მატჩი გამოდგება... ეს გუნდი შინ რომ მოგიგებს, სირცხვილია...



ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ)

**- ალბათ, დღევანდელმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასათიანზე, დავით მუჯირზე, ცქიტიშვილზე, გოგუასა და ამისულაშვილზე უარის თქმა გაუმართლებელია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ვის გამოიძახებს მწვრთნელი ნაკრებში და ვის - არა, ეს მისი პრეროგატივაა. მე ამაში არ ჩავერევი და არც მაქვს სურვილი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მოლდოვასთან მატჩი იყო სრული კატასტროფა, განსაკუთრებით, პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთი და მეორე ნახევრის საწყის წუთები...

>> მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* **lelo@palitra.ge**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული

პრესკონფერენცია

# კუპერი: დარწმუნებული ვარ, ახალ ფეხბურთელებს ვიპოვით

## იგორ დობროვოლსკი:

- ორივე გუნდი მონდომებული იყო და მატჩი ბოლო წუთამდე დაძაბულად მიმდინარეობდა. თამაშით კმაყოფილი ვარ. ყველაზე კარგი და ლამაზი თამაში არის შედეგი, ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით.

**- საქართველოს ნაკრების ასეთი უნიათო თამაში თქვენთვის მოულოდნელი არ იყო?**

- ყველა ჩემს ფეხბურთელს ვუთხარი, რომ მეტოქისთვის ლაღად თამაშის საშუალება არ უნდა მიგვეცა, თუმცა მხოლოდ ეს არ არის ჩვენი მიმართულება - მიმაჩნია, რომ დღეს ტექნიკური, შემტევი ფეხბურთიც ვითამაშეთ. პატარა მოდუნება და ქართველები ამას არ გვაპატიებდნენ – თბილისის „დინამოსა“ და ქართულ ფეხბურთს ხომ კარგად ვიცნობდი...

**- თქვენი გუნდის ფეხბურთელებმა საკმაოდ ბევრი გაფრთხილება მიიღეს. თქვენი დავალება იყო უხეში თამაში?**

- ვფიქრობ, ყვითელი ბარათების ნახევარი დაუმსახურებლად მივიღეთ. ისე კი, ვცდილობ, მსაჯობას ყურადღება არ მივაქციო. ისიც უნდა ითქვას, რომ სანამ მოლდოვის ნაკრების მწვრთნელი გავხდებოდი, 15 წლის განმავლობაში გუნდმა 4 მატჩი მოიგო, ჩემი მოსვლის შემდეგ კი უკვე მეექვსე შეხვედრაში გავიმარჯვეთ.

## ექტორ კუპერი



ექტორ კუპერი

- ძალიან უკმაყოფილო ვარ, განსაკუთრებით პირველი ტაიმით, ფეხბურთელებისგან არ ველოდი ასეთ განწყობას, გოლებიც ძალიან მარტივ სიტუაციებში გავუშვით, მეტოქეს ბურთები ასე უბრძოლველად არ უნდა გაეტანა. არ აღმოვჩნდით სათანადოდ კონცენტრირებულები. მეორე ტაიმში საქმისადმი დამოკიდებულება უკეთესი იყო. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა თამაში გაამწვავეს, მაგრამ ორი გოლის გასატანად და თამაშის შემოსაბრუნებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**- მაინც რომელ ფეხბურთელებს შეატყვეთ არასათანადო განწყობა?**

- ვისაც დღეს კონცენტრაცია და მოტივაცია აკლდა, ამ მოთამაშეების შეცვლა სავსებით შესაძლებელია, რასაც ნელ-ნელა დავიწყებთ კიდეც. ფაქტია, ამ დროისთვის არსებული სიტუაცია გადახალისებას მოითხოვს და შესაძლოა, აგვისტოში გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში გარკვეული ცვლილებები მოვახდინოთ. პირველ ტაიმში ძალიან უნიათოდ გამოვიყურებოდით და ამის გამო უზომოდ გაბრაზებული ვარ. მოთამაშეების საბრძოლველად განწყობას მწვრთნელი ძნელად თუ მოახერხებს, ეს ფეხბურთელს თვითონ უნდა ჰქონდეს და თუ არ აქვს, უნდა შეცვალო. სათამაშო ჟინი და შეუპოვრობა ისეთი რამეა, სუპერმარკეტში რომ ვერ იყიდი.

**- ფაქტია, საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელების დეფიციტს განიცდის და ასეთ დროს მოახერხებთ კი ახალი ფეხბურთელების გამოძებნას?**

- მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად ხშირად 2-3 ცვლილებაც საკმარისია. მაგრამ ფეხბურთში მხოლოდ ჟინი არ არის მნიშვნელოვანი... მოკლედ, საჭიროა ცვლილებები და დარწმუნებული ვარ, ამისთვის საჭირო ფეხბურთელებს ვიპოვით.

**- მოლდოვასთან მატჩმა პოზიტიური ვერაფერი დაგანახათ?**

- ძალიან მომეწონა სეთურიძე, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებში პირველ შეხვედრას ატარებდა. სეთურიძემ დაგვანახვა, რომ აქვს მებრძოლი სული და კარგი ტექნიკაც. კმაყოფილი ვარ მერებაშვილის თამაშითაც...

**დავით თავართქილაძე**

ნაკრების გამო...

# ჩვენ ვირჩევთ დამარცხებას!

## რა ჰქვია ამას? საქართველოს თუ ახირებულთა ნაკრები?



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრები, ქართული ფეხბურთი და მასთან დაკავშირებული მათრობელა იმედები წარსულს ჩაბარდა. თურმე, რამხელა ილუზიებში ვყოფილვართ, როცა **ალექსანდრე ჩივაძეს** ინგლისთან წაგებისთვის ვაკრიტიკებდით. ან რას ვერჩოდით **დავით ყიფიანს**, ყველა შეხვედრას რატომ ვერ იგებო, რომ ვსაყვედურობდით? „ოქროს თაობებს“ ახლა აღარა სიზმრებში, არამედ XX საუკუნის კადრებშიღა ვხედავთ.

გარდაცვლილი ქართული ფეხბურთის ადგილის შევსებას კი სხვა სახეობით აპირებენ. ზოგ უგუნურს ეს გამართლებული ჰგონია - ფეხბურთელებს მილიონები დაახარჯეს და მაინც ვერაფერს მიაღწიეს, სტადიონები კი არა, ყველაფერი უნდა ჩამოართვანო. მსგავსი აზრები ყოველდღე, ყველა ოჯახში, ქუჩაში, სამსახურსა თუ სუფრაზე ისმის. ქართველი გულშემატკივარი იმედგაცრუებულია და ხვდება, რომ რაღაც ვერ არის საქმე ისე, როგორც უნდა იყოს.

ეროვნული და „ლოკომოტივის“ სტადიონების დასავლეთ ტრიბუნაზე ქართული ფეხბურთის ყველაზე გულიან ქომაგებს, „ვერისბაღელებს“ თავისი ადგილი აქვთ - თათხავენ მოთამაშეებს, ჟურნალისტებსაც მეტ პროფესიონალიზმსა და სიმკაცრეს გვთხოვენ, ზოგჯერ, შეიძლება, გამაღიზიანებლადაც, მაგრამ ეს ის ხალხია, რომელსაც უნდა უსმინო და პატივი სცე - ქართული ფეხბურთი მათი ცხოვრება იყო და მის დაქცევას ვერ ეგუებიან, ხალხს გული უსკდება...

მოლდოვასთან მატჩის დამთავრებისთანავე, ერთ-ერთი მათგანი გამწარებული ამბობდა - კიდევ უნდა ვაცალოთ კუპერს? გჯერათ, რომ ნაკრების მშენებლობა მიმდინარეობსო? და ასე შემდეგ.

მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ნაღდი ქართული ფეხბურთი მკვდარი კი არა, ჩრდილშია უგუნურობის, გაუტანლობისა და სიჯიუტის გამო. საქართველოს ნაკრების უბედურება კი ისაა, რომ არა მეტოქეს, არამედ საკუთარ თავს ებრძვის. რატომ? საუკეთესო ფეხბურთელების ნაწილს ვერ და არ ვიყენებთ: პოზიციების მიხედვით რომ ჩამოვთვალოთ, შესაძლოა, უფრო ძლიერი ნაკრები ჩამოყალიბდეს. სწორედ ესაა დღევანდელი ნაკრების და ჩვენი, ქართველი გულშემატკივრებისა და ქვეყნის უბედურება. როგორ აიყვანა დიდმა **ნოდარ ახალკაცმა** მწვერვალზე თბილისის „დინამო“? - ყველა საუკეთესო შეკრიბა.

დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე გამორჩეულ ფეხბურთელს დავასახელებთ და თავად განსაჯეთ, რატომ ვერ გამოავლინა საქართველომ თავისი რეალური შესაძლებლობა.

საქართველოს ნაკრებს დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი 1996 წელს ჰქონდა - ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად ძალიან ცოტა დაგვაკლდა, მეორეადგილოსან ბულგარეთს 6 ქულით ჩამოვრჩით. აქვე, როგორ არ გავიხსენოთ ორი მარცხი მოლდოვასთან...

დარწმუნებული ვარ, მაშინ საქართველოს ნაკრებში **ომარ თეთრაძესა** და **ანდრო კიურჯიევს** რომ ეთამაშათ, გადაულახავ ამოცანას გადავჭრიდით. სხვათა შორის, იმ დროს 28 წლის ასაკში დაიწუნეს საუკეთესო ფორმაში მყოფი, საქართველოში გამორჩეული ნახევარმცველი **ბუბა ტყავაძე**, რომელიც „მრეტებში“ საოცრებებს ახდენდა. ასევე კარგ ფორმაში მყოფი, საფრანგეთში მოთამაშე 29 წლის **გია გურული** საუკეთესო ასაკში დაიწუნეს. ტყავაძე და გურული გაახალგაზრდავების პოლიტიკამ შეიწირა.

ცალკე თემაა მოუთვინიერებელი ფეხბურთელები - **ზაზა ჯანაშიას** „ლაციო“, „ინტერი“, **კრასიმირ ბალაკოვის** დროინდელი „შტუტგარტი“ იწვევდნენ, საქართველოს ნაკრებში კი საქმის გარჩევები მოუწყვეს. დიახ, ასე იყო - ფული მოსთხოვეს და კაცი წავიდა, არც თქვენი ნაკრები მინდა და არც არაფერი, უთქვენოდ მოსკოვში მშვენივრად ვარო.

კიდევ ერთი „რთული ბიჭის“ ამბავი ავიღოთ. **ვიტალი დარასელიას** სერია A-ს „რეჯანა“ იწვევდა და კიევის ცსკა-ს მილიონი დოლარი შესთავაზა. უკრაინელებმა 3 მილიონი მოითხოვეს და ტრანსფერი ჩაშალეს. ვიტალი შემდეგ რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ნახევარმცველებში დაასახელეს, მაგრამ რად გინდა - არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ნაკრებში არ აიყვანეს, რთული ბიჭიაო.

„რთული ბიჭია“ ბოლო წლების ერთ-ერთი გამორჩეული ტალანტი, მახაჩყალის „ანჟის“ შემტევი ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავაც**. ის შარშან რუსეთის პირველი ლიგის საუკეთესო ლეგიონერებში ფიგურირებდა. ახლა ყველა ერთხმად ამტკიცებს - კაცი ცხოვრების აზრზე მოვიდა და სპორტსმენისთვის შესაფერისი გზა აირჩიაო. ომარ თეთრაძე კი ამბობს - სადაც წავლა, ხოჯავას ყველგან თან წავიყვან, მასზე ავაწყობ თამაშსო. თუმცა ნაკრებში თამაშს ვინ ჩივის, შეკრებაზეც არ იძახებენ - თურმე, რთული ბიჭია.

უდავოდ რთულ და უცნაურ **გოგიტა გოგუას**, დიპლომატისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები არ ახასიათებს, მაგრამ ძალიან კარგი ფეხბურთელია. რატომღაც, გოგუას დახასიათებისას ეს მთავარი ავიწყდებათ და ყურადღებას მის ხასიათზე ამახვილებენ. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთისთვის „ხუთოსან“ ბიჭებს არ არჩევენ, ის „ქუჩის ბიჭების“ თამაშია, ქიციც უნდა იცოდე და ქიცმაცურიც, „გეთაყვამომიტევეთი“ გოლს ვერ გაიტან.

ახლა რამდენი ლეგიონერი დარჩა გამოუყენებელი? საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა **ადონის პაპანდოპულო**, რომელიც სინამდვილეში **ელდარ ბაკურიაა**. ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უნდა სცოდნოდათ, მაგრამ...

ასე მგონია, ქართული ფეხბურთი მხოლოდ **მიხეილ ფოცხვერიას** გამოა ფურთხის ღირსი. საქართველოს სიყვარულის გამო, კაცი დონეცკის „შახტარიდან“ გამოაგდეს და კარიერა აურიეს, მოტყუებით, უკრაინის ნაკრების ბაზაზე მიყვანილი კონჩაზასპედან გაიპარა და ქუჩაში სკამზე ეძინა, ოღონდ საქართველოს ნაკრების მაისურა მოერგო. და რა მიიღო? სრული იგნორირება, თუ არ ჩავთვლით **ვლადიმერ გუცაევის** გულიან მცდელობებს.

**ვასილ გიგიაძე** წლების განმავლობაში უკრაინის საუკეთესო ფორვარდად ითვლებოდა. გროზნოს „ტერეკის“ დღევანდელი მთავარი მწვრთნელი **ვიაჩესლავ გროზნი** ჭკუიდან გადადიოდა, ასეთი ფეხბურთელი გყავთ და როგორ ვერ იყენებთო?!

რუსეთში დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია **ლევან გვაზავა**, მაგრამ სრული იგნორირებით, კაცს გული აუცრუეს მშობლიური ქვეყნის ნაკრებზე და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

**მალხაზ ასათიანსაც** არ უწუნებენ კლასს, მაგრამ მწვრთნელს ზედმეტები მოსთხოვაო. მართალიცაა, იტალიასთან უთამაშებლობის გამო ასათიანი კიევში არ უნდა წასულიყო. ყველა ფეხბურთელი ასე რომ მოიქცეს, მაშინ ნაკრები 11 ძირითადი ფეხბურთელის ამარა დარჩება, ყველა დანარჩენი კი საკუთარ კლუბში წავა. მას მერე გარკვეული დრო გავიდა, მაგრამ ფეხბურთელისა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა კვლავ ცივია. რა უბედურებაა, რა ხდება?!

ძნელი სათქმელია, რას უწუნებენ **ალეკო ამისულაშვილს**. იმას, რომ აგვისტოს აგრესიის დროს რომ თქვა, რუსული მედიით ვერ გაიგებ, რა ხდება საქართველოშიო? თუ ასეა, მაშ სადღაა ნაკრების დაკომპლექტების სპორტული პრინციპი? აბა, რომელ შედეგს ვითხოვთ და ველით? თუკი საუკეთესო ფეხბურთელები ასეთი უხასიათონი არიან, რატომ ვფიქრობთ მაინცდამაინც მათ მოკვეთაზე, და არა - მათთან საერთო ენის გამონახვაზე? ალბათ, იმიტომ, რომ მოკვეთა გაცილებით იოლია...

ეს „თქვენი“ და ამ ფეხბურთელების პირადი საქმე არ არის, ეს საქართველოს, მის ღირსებასა და ხალხს ეხება! ასეა, „იოლი“ ბიჭების ძებნაში „რთულ“, მაგრამ ნიჭიერ ფეხბურთელებს ხელი ვკარით, საკუთარი ნებით რამდენიმე გამორჩეულ მოთამაშეზე უარი ვთქვით. და ნიჭიერ კაცს რომ ვერ გამოიყენებს, ის ქვეყანა ქვეყანაა?

ჩემი ნება რომ იყოს, სწორედ ამ „რთულებს“ მოვიწვევდი ნაკრებში და დღევანდელებთან საჩვენებელ მატჩს გავუმართავდი, ყველაფერს ხალხის სამჯავროზე გამოვიტანდი - ვისი მოწვევა ღირს და ვისი - არა. არა იმიტომ, რომ **ექტორ კუპერისა** და ფეხბურთის ფედერაციის სელექციაზე ნიშნისმოგებით ვილაპარაკოთ, არამედ იმიტომ, რომ ეროვნული ნაკრებისთვის ყველა ღირსეული მოთამაშის გამოყენება შევძლოთ. და თუ ვინმეს ამა თუ იმ მოთამაშის მიწვევა ჯიბრის გამო არ სურს, სახლში წავიდეს.

და საერთოდ, რა ხდება ამ ქართულ ფეხბურთში?! რა ბალაგანია, სირცხვილი არ გაქვთ?!

**მერაб მამულაშვილი**

« მეორე გვერდიდან

# მარცხვენია!

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არც ერთმა ფეხბურთელმა არ იცის, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს მოედანზე, რა უნდა გააკეთოს... კუპერი გადამკვდარია გუნდზე, დღეში ორჯერ გვავარჯიშებს... ზოგს ჰგონია, რომ ვარჯიში ფიზიკურ კონდიციებზეა გათვილი, არადა, ეს ტაქტიკური წვრთნაა... მწვრთნელი ტაქტიკაზე რომ გავარჯიშებს, ხომ უნდა მიხვდე, რაზე აკეთებს აქცენტს, რას გავალებს, რის შესრულებას ითხოვს შენგან...

**- ანუ, ფეხბურთელები მწვრთნელის დავალებას ვერ ხვდებიან?**

- დიახ, ასეა. რომ ხვდებოდნენ, მაშინ მოლდოვასთან მატჩში ჩვენი გუნდი ასე ცუდად არ ითამაშებდა. კუპერის ადვოკატი არ ვარ, არც მას და არც არავის არ ვამართლებ, როცა გუნდი აგებს, ყველას წვლილია ამ მარცხში - მწვრთნელისაც და ფეხბურთელებისაც... პირადად მე მრცხვენია - ამხელა გზაზე ჩამოვდივართ სათამაშოდ და მოლდოვას ვერ ვუგებთ...

**- თქვენი აზრით, ნაკრებში უმთავრესად ლეგიონერებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?**

- არ ვიცი, ამაზე ვერაფერს გეტყვით. პროფესიონალები თუ ვართ, დავრჩეთ პროფესიონალებად, ვარჯიშებზე მწვრთნელის დავალებას მოვუსმინოთ და გავიგოთ, რას ითხოვს ჩვენგან... რასაც მწვრთნელი მატჩამდე 6 საათით ადრე თეორიულ მეცადინეობაზე გეუბნება, მოედანზე არა თუ ზუსტად ვერ გადაგაქვს ეს დავალება, არამედ, რადიკალურად განსხვავებულ რამეს აკეთებ. რომელ ნაკრებზე, რომელ პროფესიონალიზმზეა ლაპარაკი? არ ვიცი, რა ვთქვა... არ მინდა რომელიმე ფეხბურთელის დაკონკრეტება. იმედი მაქვს, მსგავსი რამის თქმა აღარ დამჭირდება...

**- სულ ნეგატივზე რომ არ ვილაპარაკოთ, ისიც ვთქვათ, რომ ნაკრებში პირველი გოლი გაიტანეთ...**

- კი, ეს ჩემი პირველი სანაკრებო გოლია... მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. რომ მოგვეგო, ორიოდ სიტყვას ვიტყოდი, ახლა კი ჩემს გოლს არანაირ დატვირთვას არ ვანიჭებ. მატჩი 90 წუთს გრძელდება და ყველა ფეხბურთელი, მთელი ამ დროის განმავლობაში უნდა იყოს მობილიზებული და არა - მხოლოდ ბოლო 10-15 წუთი. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ არც ერთ მეტოქესთან არ შეიძლება მოდუნება, თავიდან ბოლომდე მობილიზებული უნდა იყო, თორემ ამის გამო დაისჯები...

**- და ამის მერე რას უნდა ველოდეთ ალბანეთში?**

- უნდა დავლაგდეთ და ტირანაში რაღაც უნდა ვქნათ, თორემ მერე გულშემატკივარზე არავინ თქვას - მხარს რატომ არ გვიჭერენო. კარგად მესმის, რა მდგომარეობაშია ახლა ქომაგი - გულდამწვარი, ნერვებდაწყვეტილი, იმედგაცრუებული... ეს მატჩი ტრიბუნიდან რომ მენახა, მეც ასე ვიქნებოდი...

**დავით ცაბაძე**

მეტოქეები

# გაყოფილი ქულები



ბულგარეთი-ირლანდია. დანი (№5) ანგელოვის წინააღმდეგ

## შესარჩევი მატჩები

**VIII ჯგუფი**

**ბულგარეთი-ირლანდია 1:1**

**ბულგარეთი:** ივანკოვი, მილანოვი, კიშიშევი, ტომაშიჩი, სტოიანოვი, ს. პეტროვი, ანგელოვი, ტელკიისკი (81. დიმიტროვი), მ. პეტროვი (61. გეორგიევი), ბოჟინოვი (59. მარკიევი), ბერბატოვი.

**ირლანდია:** გივენი, ო'ში (81. კელი), დანი, ლევჯერი, კილბეინი, უელანი, ენდრიუსი, ჰანტი (71. მაკგიდი), დაფი, ფოლანი, კინი (74. ბესტი).

**გოლები:** 0:1 დანი (24), 1:1 ტელკიისკი (29)

**მაყურებელი:** 42 000

სოფიის „ვასილი ლევსკიზე" გამართული მატჩი დიდ ყურადღებას იწვევდა. სტუმრებმა შეხვედრა უკეთ დაიწყეს. ბულგარელთა მეკარე **დიმიტარ ივანკოვს** რომ არ ემარჯვა, **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი სწრაფი გოლით დაწინაურდებოდა. თუმცა ანგარიში მაინც ირლანდიელებმა გახსნეს. 24-ე წუთზე, **სტივენ ჰანტის** მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ, სტუმრები **რიჩარდ დანმა** დააწინაურა.

გოლმა ბალკანელები გამოაცოცხლა და ზუსტად 5 წუთში **დიმიტარ ტელკიისკიმ** წონასწორობა აღადგინა. ამის მერე ბულგარელები უპირატესობას დაეუფლნენ და შესვენებამდე მცირე ხნით ადრე დაწინაურებაც შეეძლოთ...

მეორე ტაიმში ხიფათი ორივე კართან შეიქმნა. მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ. 77-ე წუთზე **ბლაგოი გეორგიევის** დარტყმულზე სტუმრები კიდევ ერთხელ გადარჩნენ. ირლანდიას სოფიაში რომ მოეგო, ცხრილის სათავეში იქნებოდა. თუმცა ტრაპატონი ფრითაც კმაყოფილი დარჩა.

*„თავიდანვე აღვნიშნე, რომ სამხრეთ აფრიკის საგზურისთვის სავალი გზა გრძელი და რთული იქნებოდა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ბულგარეთი ძლიერი მეტოქეა და კარგად ვიცოდი, რომ სოფიაში რთული მატჩი გველოდა. ცხადია, რომ მოგვეგო, გაცილებით უკეთესი იქნებოდა და პირველ ადგილზეც ვიქნებოდით, მაგრამ ქულაც მაკმაყოფილებს. ახლა უახლოეს მდევარს 5 ქულით ვუსწრებთ"*, - აღნიშნა სინიორ ტრაპატონიმ. ბულგარელთა მთავარი მწვრთნელი **სტანიმირ სტოილოვი** კი შეცდომებს დანანებით იხსენებს.

*„პირველ ტაიმში ბრიყვული შეცდომები დავუშვით, რაც ჩინებულად გამოიყენა მეტოქემ და დაგვსაჯა. გაშვებული გოლის შემდეგ ჩემმა გუნდმა შეძლო მობილიზება, თამაშიც დაალაგა და უპირატესობასაც დაეუფლა, მაგრამ ეს შეხვედრის საბოლოო შედეგში არ აისახა".*

**კვიპროსი-ჩერნოგორია 2:2**

**კვიპროსი:** გეორგალიდისი (34. მორფისი), ხარალამბუსი, ხრისტუ, მიხაილი, ელია, გარპოცისი (68. საციასი), მაკრიდისი, ნიკოლაუ (78. ხარალამპიდისი), ოკასი, კონსტანტინუ, ალონეფტისი.

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი, პავიჩევიჩი, ჯუდოვიჩი, ბატაკი, ტანასიევიჩი, კაჩელანი, დრინჩიჩი (46. დამიანოვიჩი), ნოვაკოვიჩი (19. ზვეროტიჩი), პეიოვიჩი (85. ფატიჩი), ვუიოვიჩი, ვუჩინიჩი.

**გოლები:** 1:0 კონსტანტინუ (13), 2:0 მიხაილი (45-პენ), 2:1 დამიანოვიჩი (65), 2:2 დამიანოვიჩი (77)

**მაყურებელი:** 4 500

კვიპროსელებს შეეძლოთ, ჩერნოგორია დაემარცხებინათ და მესამე ადგილზე მყოფ ბულგარეთს ქულებით გათანაბრებოდნენ, მაგრამ **ანგელოს ანასტასიადისის** შეგირდებმა ეს ვერ შეძლეს, არადა, კუნძულელებმა თამაში ჩინებულად დაიწყეს. **მიხალის კონსტანტინუმ** მე-13 წუთზე გახსნა ანგარიში. ტაიმის ბოლო წუთზე კი **ხრისტოტომუს მიხალისმა** საჯარიმო დარტყმით მასპინძლებს ორბურთიანი ფორა მოუტანა. თუმცა მეორე 45 წუთი წინ იყო. სტუმართა თავკაცმა **ზორან ფილიპოვიჩმა ნიკოლა დრინჩიჩი დეიან დამიანოვიჩით** შეცვალა და მატჩის ბედიც ამ შეცვლამ გადაწყვიტა. დამიანოვიჩმა 65-ე და 77-ე წუთებზე დალაშქრა მასპინძელთა კარი და კვიპროსელებს მოგება ხელიდან გამოსტაცა. უფრო მეტიც, **მირკო ვუჩინიჩის** დარტყმისას შეცვლაზე შესულ მეკარე **მიხალის მორფისს** რომ არ ემარჯვა, ჩერნოგორია აფროდიტეს კუნძულს 3 ქულით ხელდამშვენებული დატოვებდა.

რა თქმა უნდა, ჩერნოგორიელთა დამრიგებელი მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო და ეს პრესკონფერენციაზეც თქვა. ფილიპოვიჩმა განაცხადა, რომ თბილისში ნათამაშები ფრის შემდეგ, მისმა გუნდმა საკუთარი ძალის უფრო მეტად ირწმუნა. მან კომპლიმენტები არ დაიშურა დუბლის შემსრულებელ დამიანოვიჩის მიმართ. ვიზავისგან განსხვავებით, განბილებული იყო მასპინძელთა მწვრთნელი **ანგელოს ანასტასიადისი**. მან აღნიშნა, რომ შედეგით უკმაყოფილოა. ორბურთიანი ფორის განიავება კი თავისი გუნდის მოდუნებით ახსნა და მომდევნო შეხვედრებში გულშემატკივარს წარმატებულ თამაშს დაჰპირდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 9-3 | 14 |
| 2. ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 8-5 | 13 |
| 3. ბულგარეთი | 6 | 1 | 5 | 0 | 6-4 | 8 |
| 4. კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 5. ჩერნოგორია | 6 | 0 | 4 | 2 | 5-8 | 4 |
| 6. საქართველო | 7 | 0 | 3 | 4 | 4-9 | 3 |

## ამხანაგური მატჩი

**იტალია-ჩრ. ირლანდია 3:0**

**იტალია:** მარკეტი, სანტონი, ლეგროტალიე, გამბერინი, გროსო (46. დოსენა), გატუზო (46. ბრიგი), დ'აგოსტინო (75. გალოპა), მონტოლივო (46. პალომბო), ჯ. როსი, პაცინი (63. პელისიერი), მასკარა (46. ფოჯა).

**ჩრ. ირლანდია:** ტეფლი (63. მანუსი), ჯონსონი, კეისმენტი, კოუტსი, მაკგივერნი, კ. ევანსი (78. ფერგიუსონი), ლაფერტი (58. დონელი), ო'კონორი (63. ბარეტი), მაკკანი, კარსონი (70. ლოური), ჰილი (45. მაკგინი).

**გოლები:** 1:0 ჯ. როსი (20), 2:0 ფოჯა (53), 3:0 პელისიერი (72)

**მაყურებელი:** 8 200

ჩვენი ნაკრების დარად, საკვალიფიკაციო რაუნდში ისვენებდა იტალიაც. თუმცა „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა **მარჩელო ლიპიმ** ეს პერიოდი გამოიყენა და კონფედერაციის თასზე ასპარეზობამდე, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მნიშვნელოვნად სახეცვლილი შემადგენლობა ათამაშა. ლიპიმ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოცადა, უმთავრესად, 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრები. საგულისხმოა ისიც, რომ ლიპიმ სასტარტოში გაამწესა „ინტერის" 18 წლის განაპირა მცველი **დავიდე სანტონი**...

მიუხედავად ამისა, „ახალმა" იტალიამ III ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს დიდი ანგარიშით მოუგო. მატჩი „აძურას" უპირატესობით წარიმართა. მე-20 წუთზე ანგარიში ესპანური „ვილიარეალის" შემტევმა **ჯუზეპე როსიმ** ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში იგივე როსი უკვე „ლაციოს" შუახაზელ **პასკუალე ფოჯას** გოლის თანაავტორად მოგვევლინა. სამიოდე წუთში იტალიელებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ „სამპდორიას" ფორვარდმა **ჯანპაოლო პაცინიმ** მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანიდან ბურთი ძელს გაარტყა. 72-ე წუთზე „კიევოს" ფორვარდმა **სერჯო პელისიერმა** „რომას" ნახევარმცველ **მატეო ბრიგის** პასი შეირგო და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 3:0. ასე აღნიშნა სანაკრებო დებიუტი 30 წლის თავდამსხმელმა ...

**დავით ცაგაძე**



ჯუზეპე როსის გააქვს პირველი გოლი ჩრდილოირლანდიელთა კარში

გაუცხოებული ქართველები

# გრიგალავამ რუსეთის ახალგაზრდულში ითამაშა

## ახალგაზრდულის თავკაცები კუტალიათი დაინტერესდნენ

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსთავში მოლდოვის გუნდთან ითამაშა. მოლოდინი არ გამართლდა - რუსეთის პრემიერლიგის კლუბ „მოსკვას" მცველი **გია გრიგალავა** საქართველოს 21-წლამდელთა შეკრებაზე არ გამოცხადდა. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაზეც ყველაზე მეტად ვწუხდით - **კახა ცხადაძის** მცდელობისა და თავად ფეხბურთელის სურვილის მიუხედავად, გრიგალავა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა. 9 ივნისს რუსები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ფარერებს ხვდებიან.

მანამდე კი 19 წლის ქართველმა, **იგორ კოლივანოვის** ხელმძღვანელობით, პირველი მატჩი ჩაატარა, ამჯერად, ამხანაგური - რუსმა ახალგაზრდებმა მოსკოვის „დინამოს" დუბლებს 4:0 მოუგეს. კოლივანოვმა გრიგალავა ძირითად შემადგენლობაში დააყენა და 67-ე წუთზე შეცვალა.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, გრიგალავას მაინც არ სურს „ძერჟავის" სახელით თამაში და ეს ნაბიჯი იძულებით, საკლუბო კარიერის აწყობის მიზნით გადადგა. ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ასეთი ვითარებაა და ვნახოთ, ეს რამდენად გამოუვა.

გიას მამა, ბატონი **ალეკო გრიგალავა** სინანულით ამბობს - ჩემი შვილით ორი წლის წინათ რომ დაინტერესებულიყვნენ, კლუბში მოსაწყობად ამდენი ნერვიულობა არ დასჭირდებოდაო. საქმე ისაა, რომ გრიგალავა დღემდე „როსტოვის" კუთვნილებაა და „მოსკვაში" იჯარით თამაშობს. „მოსკვასთან" სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმებამდე, მას რუსეთის ნაკრებში თამაში არ სურს, მაგრამ კლუბთან კონტრაქტის ჩაშლის შიშით, უარსაც ვერ ამბობს. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში კი საქართველოში „გამოპარვა" აქვს გულში ჩადებული.

როსტოველთა კლუბის პრეზიდენტს, თამბაქოს მაგნატ **ივან სავიდს** კი, რომელიც, სხვათა შორის, დმანისელი ბერძენია და კარგა ხანს სოხუმში ცხოვრობდა, ქართველი ახალგაზრდის რუსეთის ნაკრებში თამაში აწყობს. ამით, ფეხბურთელის ფასი ათმაგად იზრდება. საქართველოს ნაკრების მოთამაშე კი ასე ვერ დაფასდება. სავიდი ბიზნესმენია, თანაც, რუსეთის მოქალაქე და ვერც გაამტყუნებ. თუმცა სავიდი, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, საქართველოს ნაკრებში გრიგალავას თამაშის წინააღმდეგი არ იყო...

სხვათა შორის, სწორედ გრიგალავას სატრანსფერო თანხის ხათრით ინახავს დღემდე მეორე დივიზიონში როსტოვის სკა-ს, რადგან კლუბი რომ გააუქმოს, ფულს ველარ მიიღებს. თუმცა ფიფას ბოლო კანონი გრიგალავას საქართველოში დაბრუნების იმედს გვაძლევს. ფიფას მორიგ კონგრესზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს - ამიერიდან, ორმაგი მოქალაქეობის მქონე, ან მოქალაქეობაშეცვლილ ფეხბურთელს, სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლება მიენიჭა, აქამდე კი ასე იყო - ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშებ ფეხბურთელს სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდა.

ეს წესი იმედს გვაძლევს, რომ საქართველო მალე გრიგალავასა და კიდევ რამდენიმე მოთამაშეს დაიბრუნებს, მათ შორის, ბოსნიის ნაკრებში თამაშის მსურველ **ლევან კუტალიასაც**. როგორც გავიგეთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა კუტალიას საქმეში ნახვას აპირებს. ამჟამად ის საქართველოშია. ითამაშებს თუ არა ლევანი ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში, ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან „ჯვაროსანთა" მწვრთნელებს ამ ნიჭიერი ბიჭის დაკარგვა არ სდომებიათ.

*„გაზეთში ამ ინფორმაციის დაბეჭდვამდე შევიტყვეთ კუტალიას გადაწყვეტილება. ლევანს აუცილებლად დაველაპარაკებით და იმ ნაბიჯებს გადავდგამთ, რაც საქართველოს სჭირდება",* - გვითხრა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **ზაურ სვანაძემ**.

სხვათა შორის, თავად კუტალიამ გარკვევით გვითხრა - ჩემი ოცნება საქართველოს ნაკრებში თამაშია, ბალკანელთა წინადადებას მხოლოდ იძულებით დავთანხმდი, რადგან საქართველოდან ინტერესი ვერ დავინახეო. ასე რომ, იმედი ჯერ კიდევ უნდა გვქონდეს. სხვაგვარად არც შეიძლება - საქართველო პატარა ქვეყანაა და დასაკარგი ფეხბურთელები არ ჰყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო

# ახალკაცი სიმურგშია, ლონდაძე და ონიანიც?

ევროპის ლიგის საგზური ზაქათალის „სიმურგმა“ ქართველების კარგი თამაშის წყალობითაც მოიპოვა. კლუბის პრეზიდენტმა **ზაურ მამედოვმა** „ლელოსთან“ საუბარში დაადასტურა, რომ ოთხივე ჩვენებურის დატოვება სურს. თუმცა, ზაქათალელები წლეულს მხოლოდ ამ ოთხეულის იმედად არ იქნებიან. გუშინ „სიმურგი“ შეიკრიბა და გუნდში ბაქოს „ოლიმპიკის“ შემტევი ნახევარმცველი **რომან ახალკაცი** გამოცხადდა. ის გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს.

„სიმურგში“ რუსთავის „ოლიმპის“ ცენტრალურ და მარჯვენა მცველებს - **გიორგი ონიანსა** და **თემურ ლონდაძესაც** ელიან. თუმცა მათი ტრანსფერი ჯერ საბოლოოდ შეთანხმებული არაა. აზერბაიჯანული კლუბი 14 ივნისიდან მომზადებას თბილისში გააგრძელებს. „სიმურგი“ სასტუმრო „პრესტიჟში“ დაბინავდება და კარლო მჭედლიძის სახელობის აკადემიის მოედანზე ივარჯიშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთი

# ეს იყო ამხანაგური მატჩი?

## ფუტზალელებმა კლასიკოსებს გადაუარეს

ახალგაზრდა სპეციალისტმა **ავთანდილ ასათიანმა** საქართველოს ფუტზალის ნაკრებით სერიოზულ პროგრესს მიაღწია - გუნდი ელიტრაუნდში გაიყვანა. დაგვეთანხმებით, მოულოდნელი წარმატება იყო. ამ შედეგის გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრები მომდევნო ციკლიდან პირდაპირ ელიტრაუნდში ჩაერთვება.

ასათიანის ინიციატივით, „ქარიშხალას“ დარბაზში სეზონი სახალისო მატჩით დაიხურა. ფუტზალის ეროვნული გუნდი ამხანაგურად შეხვდა საქართველოს კლუბების ნაკრებს, რომელიც „დიდი“ ფეხბურთის მოთამაშეებისგან, ეგრეთ წოდებული „კლასიკოსებისგან“ იყო დაკომპლექტებული. მათ ფუტზალის მეკარე **გაბუჩია** ეხმარებოდათ, მწვრთნელი კი „ლოკომოტივის“ დამრიგებელი **ზაზა ზამთარაძე** გახლდათ. „კლასიკოსთა“ შემადგენლობა საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა: ბოლნისის „სიონის“ წევრები - **რეზო გოცირიძე, სულიკო დავითაშვილი, მიშა ბობოხიძე, ჯაბა მუჯირი, გიორგი დეკანოსიძე, ლადო კაკაშვილი**, აგრეთვე, აზერბაიჯანში მოთამაშე **გიორგი ადამია** და **ლექსო ინწკირველი**.

ფუტზალელებმა გაცილებით ცნობილი ფეხბურთელები არ დაინდეს და „არაამხანაგური“ ანგარიშით დაამარცხეს - 6:2. მათ შორის თავი გამოიჩინეს **ბოკერიამ, მაისაიამ, ცნობილაძემ, დავით ბობოხიძემ, თორთლაძემ** და **კობაიძემ**, მეტოქის მხრივ კი **დავითაშვილმა** და **მიხეილ ბობოხიძემ**.

*„ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ კახა დევდარიანთან ერთად სეზონის სახალისო მატჩით დასრულება გადავწყვიტეთ. თავიდან, ეროვნულ ნაკრებთან თამაში გვსურდა, მაგრამ ამხანაგურმა შეხვედრებმა გეგმები შეგვიცვალა. ვფიქრობ, სეზონის დახურვის კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდება... დიდ მოედანზე თუ შევხვდებით? არა, აზრი არ ექნება, „მინიზე“ უფრო სახალისო თამაში გამოვა“*, - გვითხრა ფუტზალის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ასათიანმა, რომლის გუნდი მალე შეკრებას დაიწყებს და მომავალი შესარჩევი ციკლისთვის მოემზადება. ასათიანის თქმით, ფუტზალისადმი ახლა გაცილებით სერიოზული მიდგომაა საჭირო, თუ მიღწეულის წარმატების შენარჩუნება გვსურს.

**მერაბ მამულაშვილი**


მარცხნივ ილია კანდელაკი

შეჯამება

# ევროპული ლეგიონის შუქჩრდილები

## სეზონის გაელვებები: გოლი იუვეს კარში, მატჩ-ნახევარი ჩელსისთან, რატი-გოლის დაბრუნება

უკვე შემოგთავაზეთ გერმანიასა და უკრაინაში მოთამაშე ქართული ლეგიონის სეზონის ჩვეული შეჯამება. ახლა გაგაცნობთ ევროპის სხვადასხვა ლიგაში (სერია A-დან დაწყებული ისრაელის ლეუმითლიგით დამთავრებული) მოთამაშე ქართველთა სეზონის შემაჯამებელ მიმოხილვას (პოსტსაბჭოთა ქვეყნები შეგნებულად გამოვტოვეთ). აქედანაც კარგად ჩანს, თუ რატომ ვერ აღწევს წარმატებას ეროვნული ნაკრები, ამ ლეგიონერთა დიდი ნაწილი ხომ ეროვნული გუნდის წევრია...

5 ოქტომბერს 18 წლისა და 6 თვის **ლევან მჭედლიძემ** სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა, თანაც მან „იუვენტუსი“ დაამწუხრა, ქართული გოლით კი „პალერმომ“ სამი ქულა მოიპოვა. ფანტასტიკურ დასაწყისს შესაბამისი გაგრძელება არ მოჰყოლია, თუმცა მჭედლიძე რჩება ყველაზე ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელად, რომელმაც მოწინავე საფეხბურთო ლიგაში გოლი გაიტანა. სხვა მხრივ, ვერ ვიტყვით, რომ სერია A-ს მერვეადგილოსანი „პალერმოს“ ქართველ ფორვარდს კარგი სეზონი ჰქონდა. ლევანი ხშირად ტრავმის გამო და ხშირად მწვრთნელის მოსაზრებით რჩებოდა სათადარიგოთა სკამზე ან საერთოდ მატჩის განაცხადს მიღმა. სეზონში მას სულ 9 მატჩი დაუგროვდა (აქედან მხოლოდ ერთხელ, „ჯენოას“ წინააღმდეგ ლევანი სასტარტოში ვიხილეთ) და 1 გოლი გაიტანა. სეზონის განმავლობაში ჩვენმა თანამემამულემ სულ 7-ჯერ დაარტყა კარისკენ და აქედან მხოლოდ ერთმა უწია მიზანს (გოლი „იუვეს“ კარში). ლევანის წინააღმდეგ მცველები 6-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი ორჯერ მეტად დაარღვია წესი.

**კახა კალაძის** „მილანი“ 74 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა. კახასთვის ეს სეზონი წარუმატებელი გამოდგა. მან სულ 11 მატჩში ითამაშა (10 სასტარტოში). კახამ მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გამოტოვა მეორე წრე (სულ 2 მატჩი), „ინტერთან“ დაპირისპირების შემდეგ (15 თებერვალი) კი სერია A-ში აღარ უთამაშია. უეფა-ს თასზე მან 4 მატჩში ითამაშა. ახალი სეზონი მე-9 იქნება საქართველოს ნაკრების კაპიტნის მილანურ კარიერაში.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ინგლისურ პრემიერლიგაში კი ითამაშა ერთმა ქართველმა ლეგიონერმა, მაგრამ ამას თამაში ნაკლებად ეთქმის - **ზურაბ ხიზანიშვილი** „ბლექბერნის“ მწვრთნელებს (ჯერ **პოლ ინსი**, მერე **სემ ელერდაისი**) არ მოუვიდათ თვალში და ის ძირითადად კლუბის სარეზერვო შემადგენლობაში ირჯებოდა. „ბლექბერნმა“ 41 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა და საგაისოდაც ითამაშებს პრემიერლიგაში. აი, იქნება იქ ხიზანიშვილი თუ არა პრემიერლიგაში სათუოა. 27 წლის ქართველმა მცველმა პრემიერლიგაში სულ 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა, აქედან მხოლოდ 2-ჯერ ზურა „ბლექბერნის“ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა. ქართველმა პირველ წრეში ითამაშა სრულად „ჩელსისთან“ და მეორე წრეში ამავე გუნდთან ერთი ტაიმი. 4-ჯერ მან ასოციაციის თასზე და 3-ჯერ ლიგის თასზე მოირგო „ბლექბერნის“ მაისურა. ხიზანიშვილისთვის მე-4 სეზონი იყო „როვერსში“, პირველი ორი წარმატებული სეზონის შემდეგ ბოლო ორი სეზონი მას აშკარად ჩაუვარდა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ორმა ქართველმა ითამაშა, ორივე „შტურმის“ ღირსებას იცავდა, თუმცა სეზონის ბოლოს გუნდს **გიორგი შაშიაშვილი** დააკლდა. „შტურმმა“ 60 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა ჩემპიონატში. წინ „ზალცბურგი“ და ორი ვენური კლუბი („რაპიდი“ და „აუსტრია“) გაუშვა. გიორგი შაშიაშვილმა 32 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ის 5-ჯერ გააფრთხილეს ამ სეზონში. **ილია კანდელაკი** კი **მარიო ზონლაიტნერთან** ერთად კლუბის ისეთი ფეხბურთელია, რომელმაც ყველა, 36-ვე მატჩი ითამაშა. ილიამ 1 გოლიც გაიტანა, მან სამჯერ მიილო ყვითელი ბარათი. მოკლედ, 27 წლის კანდელაკი დიდებულად მოერგო ავსტრიულ გუნდს. 29 წლის შაშიაშვილმა ორ სეზონში სულ 64 მატჩში ითამაშა და ავსტრიას დაემშვიდობა.

ავსტრიაში კიდევ ერთმა ჩვენებურმა ითამაშა - დასავლეთ რეგიონლიგის „ბრეგენცში“ სეზონი იჯარის წესით გაატარა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა წევრმა **მირზა ბჟალავამ**. მირზა კვლავ ლუსტენაუს „აუსტრიას“ დაუბრუნდა და ახალ სეზონს ერსტე ლიგაში გაატარებს. „ბრეგენცში“ ბჟალავამ 11 მატჩში 2 გოლი გაიტანა, თითოჯერ მან ყვითელი და წითელი ბარათები მიიღო, გუნდმა ლიგაში მე-5 ადგილი დაიკავა.

ჩეხური გამბრინუსლიგაც ორმა ქართველმა ლეგიონერმა დაიწყო, თუმცა **გიორგი განუგრავა** „მლადამ“ სეზონის „მლადა ბოლესლავმა“ მალევე გაუშვა. ქართველმა ნახევარმცველმა ჩემპიონატში მხოლოდ 1 მატჩის გამართვა მოასწრო (27 წუთი ითამაშა პრაღის „სპარტას“ წინააღმდეგ), რასაც წინა სეზონის 2 მატჩს თუ დავუმატებთ...

გაცილებით უკეთ წარმოჩნდა თბილისის „ამერის“ ყოფილი ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი**. დიმიტრიმ 19 თამაშში ერთი გოლი გაიტანა. ჯამში მან 700 წუთი დაყო მოედანზე. სამწუხაროდ, მეორე წრეში დიმიტრიმ სასტარტოში ადგილი დაკარგა. ტატანაშვილის „პლზენმა“ 43 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრების ფორვარდისგან მეტს მოველოდით.

ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო დანიის უმაღლეს ლიგაში **დავით დევდარიანის** თამაში. ქართველი ნახევარმცველი მალევე დამკვიდრდა „ორჰუსის“ ძირითად შემადგენლობაში. „ორჰუსი“ 46 ქულით მე-6 ადგილს დასჯერდა. 21 წლის დავით დევდარიანმა 14 თამაში (12 სასტარტოში) ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა სალიგაში. რანგით დაბალ ლიგაში ჩემპიონატი ახლახან დასრულდა, ამაოდ დაშვრა „ვიბორგი“, რომელიც დიდხანს ლიდერობდა კიდეც გათამაშებას. კლუბმა სალიგის საგზური ვერ მოიპოვა. **გიორგი ფოფხაძემ** ტრავმების გამო ბევრი მატჩი გამოტოვა. მეორე დივიზიონის ჰიკ-ში ყოჩაღობს **მიხეილ ბარაბაძე**.

უნგრულ შოპრონილიგაში მეორე წრიდან ერთბაშად სამი ლეგიონერი გაგვიჩნდა, „დიორი ეტოს“ მაისურა მოირგეს **რატი ალექსიძემ** და **დავით ოდიკაძემ**, ხოლო „სპარტაკუსში“ გაანათხოვრეს **დავით იმედაშვილი**. „ეტომ“ 43 ქულით მე-8 ადგილი აილო და თასის ფინალში წააგო. ძალიან კარგად შეეწყო გუნდს და ჩემპიონატს რატი ალექსიძე, რომლის ანგარიშზეც 13 თამაშში 7 გატანილი გოლია. ჩვენებურმა სულ 755 წუთი დაყო მოედანზე. დავით ოდიკაძემ 8 თამაში (658 წუთი) ითამაშა. „სპარტაკუსმა“ 32 ქულით მე-14 ადგილი დაიკავა და შოპრონილიგაში ადგილი შეინარჩუნა. დავითმა ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე მეტი ითამაშა, 11 თამაშში (917 წუთი) მან 1 გოლი გაიტანა.

**მიხეილ ხუციშვილის** სერბული კარიერა წარუმატებელი გამოდგა, ბაქოს „ოლიმპიკიდან“ გადასულმა ჩვენებურმა ვერც სერბეთში გაიტანა გოლი. „ვოივოდინამ“ ჩემპიონატი 61 ქულით მეორე ადგილზე დაასრულა. მოკლედ, ერთ დროს საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირმა შემდგომ ორ სეზონში არცთუ ძლიერ ლიგებში გოლიც ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, წარმატებული სეზონი გამოუვიდა ბოსნიურ „სლავიაში“ მოასპარეზე **ლევან კუტალიას**. ლევანის გუნდმა მეორე ადგილი და ბოსნიის თასი მოიპოვა, ხოლო თავად ფეხბურთელმა სარაევოს გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მყარად მოიპოვა ადგილი, ჩემპიონატში კი ერთი გოლი გაიტანა.

კვიპროსში ამ სეზონში სამმა ქართველმა ითამაშა. „ანორთოსისთან“ ერთად მესამე ადგილი მოიპოვა **კლიმენტი წიტაიშვილმა**, რომელიც იშვიათად თამაშობდა. **ლევან მაღრაძის** „აპოლონი“ მეხუთე ადგილზე გავიდა, ხოლო **ლევან ქებაძის** „ახნასი“ - მეექვსეზე. ქებაძემ 4-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი, ხოლო მაღრაძემ და წიტაიშვილმა თითოჯერ.

ისრაელის ლეუმითლიგა მოიგო ჰაიფას „ჰაპოელმა“, რომლის რიგებშიც კარგად გაისარჯა **ირაკლი გეფერიძე**, რომელმაც 11 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლევან მჭედლიძე

### მუჯირმა და ასათიანმა ითამაშეს



მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მოლდოვასთან ამხანაგურ შეხვედრაში მარცხდებოდა, ჩვენი გუნდის ორი პოტენციური წევრი მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „ხიმკის“ ტესტმატჩში გაისარჯა. **იური სიომინის** ხელმძღვანელობით „ლოკომოტივმა“ წლეულს პირველად ითამაშა და **ჯიბი ფალის** გოლის წყალობით იმარჯვა - 1:0. **დავით მუჯირმა** მეორე ტაიმი სრულად ითამაშა, ხოლო **მალხაზ ასათიანი** 76-ე წუთზე გამოჩნდა შარლესის ნაცვლად. მატჩის შემდეგ სიომინს „ლოკოში“ ასათიანის პერსპექტივაზე დაეკითხნენ, თუმცა რკინიგზელთა თავკაცმა კითხვას თავი დიპლომატიურად აარიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება

ოლიმპი

ინტერვიუ ვარლამ კილასონიასთან

# ოლიმპიური ევოლუცია

მთელი სეზონის განმავლობაში უცნაურობა თან სდევდა რუსთავის „ოლიმპს“: ჯერ იყო და, ყველა ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევდა; მერე, ასევე ყველასთვის მოულოდნელად, გუნდმა კატასტროფული სტარტი აიღო და პირველი ხუთი ტურის შემდეგ სამი ქულით... ცხრილის უკანასკნელ ადგილზე იმყოფებოდა! სწორედ ამის შემდეგ ჩაიბარა „ოლიმპი“ ახალმა მწვრთნელმა - ვარლამ კილასონიამ, ვისაც მშობლიური ქალაქის გუნდის გადასარჩენად... მეხუთედ უხმეს! ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო და იმ დროს, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ „ოლიმპი“ ჩემპიონატს მესამე ადგილზე დაასრულებდა და თასის ფინალში გავიდოდა; თუმცა, ახალი მწვრთნელის ფაქტორმა შესანიშნავად იმუშავა: „ოლიმპის“ თამაში რადიკალურად შეიცვალა და ვარლამ კილასონიას თავკაცობით მალე გუნდმა 19-მატჩიანი წაუგებელი სერიაც შემოგვთავაზა! ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ „ლელოს“ ტრადიციულ ნომინაციაში, ვარლამ კილასონია ოთხჯერ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად“ (უკეთესი შედეგი მხოლოდ ჩემპიონი გუნდის თავკაცს, რამაზ მუმლაძეს ჰქონდა), ნოემბერში კი სულაც „თვის საუკეთესო მწვრთნელად“ მივიჩნიეთ. ისე, არავინ იცის, რომ არა სტარტზე უაზროდ დაკარგული ქულები, გუნდს თავისუფლად შეეძლო უფრო მეტისთვისაც მიეღწია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შემადგენლობა ხომ თითქმის არც ერთ გუნდს არ ჰყავდა...

და მაინც: მთლიანობაში, „ოლიმპის“ ასპარეზობა წარმატებულად უნდა შევაფასოთ და ამაში კი, რაღა თქმა უნდა, ლომის წილი გუნდის მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას მიუძღვის, ვისაც გასული სეზონის შეჯამება ვთხოვეთ.

**- გუნდი რომ ჩაიბარეთ, „ოლიმპი“ იმ დროს ბოლო ადგილზე იყო. კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?**

- კონკრეტულ მიზნებზე საუბარი არ ყოფილა - მთავარი იყო, რომ სატურნირო მდგომარეობა გამოგვესწორებინა; ამისათვის კი საჭირო იყო, ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან წარმატებისთვის მიგველწია. ანუ, ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც რაც შეიძლება მაქსიმალური შედეგი უნდა გვეჩვენებინა. ამას გარდა, არც ის გვავიწყდებოდა, რომ გარკვეულწილად, მეტოქეებზეც ვიყავით დამოკიდებული - ანუ, ჩამორჩენის აღმოფხვრასთან ერთად მათ წაფორხილებასაც უნდა დაველოდებოდით.

**- თქვენი ხელმძღვანელობით ჩატარებულ პირველ ორ შეხვედრაში „ოლიმპმა“ ზედიზედ ორი ფრე ითამაშა თავისზე აშკარად სუსტ მეტოქეებთან.**

- სამწუხაროდ, „ბორჯომთან“ და „გაგრასთან“ კვლავაც გაგრძელდა უიღბლობა და ფსიქოლოგიური ფაქტორი. ორივე შეხვედრა ჩვენი უდიდესი უპირატესობით წარიმართა, მეტოქეთა კართან უამრავი სახიფათო მომენტი შევქმენით, მაგრამ ექვსის მაგივრად მხოლოდ ორი ქულა შევმატეთ ჩვენს აქტივს.

**- გუნდის თავდაპირველი წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ უიღბლობა იყო?**

- ეს, შესაძლოა, გარედან ჩანდა; თორემ, გუნდთან ჩატარებული პირველივე ვარჯიშის მერე მივხვდი, რომ ბიჭები გარკვეული ფსიქოლოგიური წნეხისგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ამისათვის გარკვეული მუშაობის ჩატარებამაც მომინია - ვცდილობდი, დამერწმუნებინა ფეხბურთელები, რომ ყველაფერი ეს დროებითი ჩავარდნა იყო და ერთად ყოფნით წარმატებებიც მოვიდოდა. ამას გარდა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სეზონის წინ გუნდი, ფაქტობრივად, ხელახლა დაკომპლექტდა და ფეხბურთელებსაც შეთამაშებისათვის დრო სჭირდებოდათ.

**- ეს დროც მალე დადგა და, ჩვენი აზრით, „ოლიმპის“ წარმატებული წინსვლის პირველი „ნიშნები“ სტუმრად „ლოკომოტივთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების მერე გამოჩნდა.**

- ამ შეხვედრაში მოპოვებულ სამ ქულაზე მეტად ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ „ოლიმპს“ უკვე ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეეძლო. „ლოკომოტივი“ იმ დროს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი იყო, მაგრამ ჩინებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ძლიერ მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ხანდახან, შესაძლოა, შენზე ბევრად ძლიერ გუნდთან იღბალის ხარჯზე მოიგო თამაში, მაგრამ იმ მატჩში ჩვენი უპირატესობა ეჭვქვეშ ერთი წამითაც არ დამდგარა...

**- გეთანხმებით, თუმცა, ბევრი მაინც არ ელოდა, რომ სტუმრად ჩატარებულ შემდეგ შეხვედრაშიც მოიგებდით - „ზესტაფონთან“ გამარჯვებას ვგულისხმობთ.**

- მეც ვიცი, რომ ბევრისთვის მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა „ოლიმპის“ გამარჯვება. თუმცა, არ დაგიმალავთ და პირადად მე წარმატების იმედი მქონდა. ნამდვილად არავინ ელოდა, რომ „ოლიმპი“ ასეთ ძლიერ მეტოქესთან (თან - მის მოედანზე) დაცვაში „ჩაჯდომის“ მაგივრად 90 წუთის განმავლობაში აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა. თავის ქებად გამომივა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემმა არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა...

**- თუ არ ვცდებით, „ოლიმპმა“ საერთოდ პირველად შეძლო „ზესტაფონის“ დამარცხება.**

- წინა სეზონში, ჩემპიონატშიც და თასზეც, ოთხჯერ შევხვდით და ვერც ერთხელ მოვუგეთ; იგივე სიტუაცია იყო „ოლიმპის“ საჩემპიონო სეზონშიც; და აი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის უხერხული მეტოქე დავამარცხეთ!

**- ამ სეზონში „ოლიმპის“ კიდევ ერთი შთამბეჭდავი მატჩიც უნდა ვახსენოთ - 13 დეკემბერს „დინამო“ რომ დაამარცხეთ. თანაც, აქაც ნავსი გატყდა - ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში „დინამო“ პირველად დამარცხდა რუსთავში!..**

- ვინც იმ შეხვედრას უცქირა, დამეთანხმება, რომ მეტოქეს, ფაქტობრივად, მინიმალური შანსიც არ ჰქონია! ჩვენ კი უამრავი სახიფათო მომენტი შევქმენით და მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ. საკუთარი თავის ქება რომ არ გამომივიდეს, იმას გავიხსენებ მხოლოდ, „დინამოს“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა რაინერ ცობელმა რომ განაცხადა: ამ სეზონში „დინამოსთვის“ ასე არც ერთ გუნდს უჯობნიაო; სხვათა შორის, ქართულმა მასმედიამაც ობიექტურად შეაფასა ყველაფერი და ჩვენი გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკურად და კანონზომიერად მიიჩნია.

**- ზამთრის შესვენებას „ოლიმპი“ უკვე... მესამე ადგილზე შეხვდა; აი, ამ დროს ხომ არ ყოფილა რაიმე კონკრეტულ მიზნებზე საუბარი?**

- ჩემპიონობას არავინ გვთხოვდა, თუმცა ლიდერებთან ჩამორჩენა კატასტროფული ნამდვილად არ იყო. მინიმუმი კი მესამე ადგილის შენარჩუნება და თასის ფინალში გასვლა იყო, ანუ, რაც დავისახეთ, შევასრულეთ კიდეც.

**- თასის ფინალზე დაწვრილებით გკითხავთ; მით უფრო, რომ ამ შეხვედრის შესახებ თქვენი მოსაზრება, ალბათ, ბევრს აინტერესებს. მაინც, რის ხარჯზე აპირებდით მეტოქის დამარცხებას?**

- „დინამოსთან“ სამჯერ გვქონდა მანამდე ნათამაშები და ამ გუნდის პლუს-მინუსიც კარგად ვიცოდი. ძირითადი აქცენტი ორი მიმართულებით გვქონდა აღებული: მოედნის ცენტრში უპირატესობა უნდა მოგვეპოვებინა და მაქსიმალურად გაგვენეიტრალებინა მეტოქის ლიდერი გიორგი მერებაშვილი. ვინც ფინალურ მატჩს უცქირა, დამეთანხმება, რომ ჩვენმა გუნდმა ორივე ეს ამოცანა თავის სასარგებლოდ გადაჭრა: მერებაშვილს, ცალკეულ ეპიზოდებს თუ არ ჩავთვლით, სახიფათო მომენტები არ შევაქმნევინეთ; შუა ხაზიც არ დაგვითმია მეტოქისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ერთობ ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით, გვჯეროდა, რომ წარმატებას ძირითად დროში მივაღწევდით.

**- თქვენ და რუსთაველ ქომაგთა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა; როგორ ფიქრობთ დღევანდელი გადასახედიდან, რას შეცვლიდით?**

- საერთოდ, მატჩი რომ მთავრდება, მერე, ადვილია ლაპარაკი - ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, ერთის მაგივრად მეორეს უნდა ეთამაშა და ასე შემდეგ. მე კი მიმაჩნია, რომ შემადგენლობაც უძლიერესი და ოპტიმალური (იმ მომენტისთვის) ავირჩიე და სათამაშო სქემაც (4-4-2). სხვა საქმეა, რომ ჩვენი გუნდის ზოგიერთმა ფეხბურთელმა ფინალში თავისი საუკეთესო თამაში ვერ უჩვენა...

**- სხვათა შორის, ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ „ოლიმპს“ დამატებით დროში უფრო აქტიურად უნდა ეთამაშა - მეტოქე ხომ რიცხობრივ უმცირესობაში იყო...**

- ჯერ ის ვინ თქვა, რომ ათი კაცით დარჩენა დამარცხებასთან შეგუებას ნიშნავს? რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ გუნდს თამაში „შემოუტრიალებია“ და სულაც, მოუგია? თანაც, ეს რიცხობრივი უპირატესობა ჩვენ მხოლოდ ნახევარი საათი გვქონდა და ბიჭებსაც იმას ვეუბნებოდი, რომ ქაოსური თამაშის მაგივრად, ორგანიზებულად შეგვეტია მეტოქისთვის, ამას გარდა, შეცვლაზე შემოსულ სამ ფეხბურთელსაც ზეწოლა უნდა განეხორციელებინა მოწინააღმდეგეზე. დროის ამ პერიოდში „დინამომ“ მხოლოდ ერთხელ დაარტყა ჩვენს კარში (ისიც - შორიდან), მაშინ, როცა „ოლიმპმა“ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა და ერთ ეპიზოდში ჩიკვილაძეს რომ სულ ოდნავ გამართლებოდა, პენალტების სერიაც აღარ იქნებოდა...

**- რა თქმა უნდა, პენალტების სერია ერთგვარი ლატარიაა, მაგრამ მაინც უცნაურზე მეტად მოგვეჩვენა ის ფაქტი, რომ თქვენმა ფეხბურთელებმა ოთხივე თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს...**

- შესაძლოა, ვინმემ არც დამიჯეროს, მაგრამ ფაქტია, რომ ფინალამდე თითქმის ერთი კვირის განმავლობაში, ყველა ვარჯიშის დასრულების შემდეგ ნახევარ საათს მაინც ვუთმობდით პენალტებს. წარმოიდგინეთ, რომ გუნდის ოცდაორივე ფეხბურთელი ჩინებულად ასრულებდა დარტყმებს და უკვე წინასწარვე შერჩეული მყავდა ის ხუთი ფეხბურთელი, ვისაც საჭიროების შემთხვევაში პენალტები უნდა შეესრულებინა. იგივე - ჩიკვილაძე, ფიფია და ჭელიძე სხვებზე მეტად დასვენებულნიც იყვნენ და პენალტებიც არაერთხელ დაურტყამთ; ონიანი ხომ სულაც ჩვენი შტატიანი პენალტისტი გახლდათ და თუ არ ვცდები, საერთოდ, პირველად ვერ გაიტანა... მოკლედ, გამართლების ფაქტორიც იყო, შესაძლოა, დაღლილობისაც, მაგრამ იმაშიც დაგეთანხმებით, რომ ოთხიდან ოთხის გაცუდება მაინც მეტისმეტი იყო...

**- ფეხბურთელობის დროს ორი ფინალი გაქვთ წაგებული, ახლა კიდევ ერთი დაემატა...**

- რუსთავის „მეტალურგსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ რომ ვთამაშობდი, ორივე ფინალი ძირითად დროში წავაგე. ანუ, ახლა უფრო გულსატკენი იყო, რადგან წარმატებასთან ძალიან ახლოს ვიყავით...

**- სეზონს ვაჯამებთ და უფლება არა გვაქვს, „ოლიმპი“-ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირებებზე არ გკითხოთ. 10 და 14 აპრილის ჩემპიონატის და სათასო მატჩებს ხომ არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა...**

- სხვათა შორის, თასის ნახევარფინალის კენჭისყრა მოეწყო თუ არა, უკვე მაშინათვე ერთობ არასასიამოვნო აჟიოტაჟი ატყდა; იმ დონეზეც გაკადნიერდნენ, რომ მირეკავდნენ და... ფინალში გასვლას მილოცავდნენ! როგორ ფიქრობთ, ჩვენზე არ მოქმედებდა ეს არასასიამოვნო საუბრები? არადა, რატომღაც ყველასავიწყდება, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრამდე უმძიმესი მატჩი გვქონდა „დინამოსთან“. იქ რომ მოგვეგო, ჩემპიონობაზეც შეიძლება გვეფიქრა, მაგრამ დავმარცხდით და მთელი ყურადღება თასისკენ გადავიტანეთ. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატში მესამე ადგილი, ფაქტობრივად, გარანტირებული გვქონდა. სხვათა შორის, ბევრს რატომღაც „ავიწყდება“, თუ როგორ მოვიგეთ სეზონის ბოლოსკენ ორი მატჩი: „გაგრასთან“ და „სპარტაკთან“. ორივე შეხვედრის წინ ჩემამდეც მოვიდა ხმები, თითქოსდა, „ოლიმპს“ ეს მატჩები... უნდა დაეთმო. ჰო, ჩვენს ამ ორ გამარჯვებას რატომ არ ახსენებენ? მით უმეტეს, რომ ფაქტობრივად, არც გვჭირდებოდა ქულები და მხოლოდ თასის ფინალზე ვფიქრობდით.

**- სხვა თემაზე გადავიდეთ და ახლა ის გვითხარით, თქვენი ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ ყველაზე სუსტად რომელი შეხვედრა ჩაატარა?**

- მეორე წრეში „სპარტაკთან“ სტუმრად ფრედ (1:1) რომ ვითამაშეთ. მიმაჩნია, რომ შემადგენლობის შერჩევაშიც შევცდი და შეცვლებიც არასწორი გავაკეთე.

**- საერთოდ, ჩემპიონატის შედეგებს ლოგიკურად მიიჩნევთ?**

- არ მინდა დავკონკრეტდე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება ზოგიერთი კლუბის წარმომადგენლების განცხადებები, როცა ათასგვარ მიზეზს ასახელებენ. უშუალო კონკურენტს სამჯერ რომ შეხვდები და ვერც ერთხელ მოუგებ, უნდა აღიარო, რომ შენზე ძლიერია... საერთოდ კი მიმაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯია“ დამსახურებულად გახდა საქართველოს ჩემპიონი; ასევე ლოგიკური იყო „დინამოს“ მეორე და ჩვენი მესამე ადგილიც. ბოლოს და ბოლოს, უშუალო კონკურენტთან „ზესტაფონთან“ ცხრა შესაძლებლობიდან შვიდი ქულა მოვიპოვეთ.

**- სეზონში გამორჩეულ ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

- სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო და ბევრი გაუცდა მათე ვაწაძეს - დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ფეხბურთელობაზე ექნებოდა სამართლიანი პრეტენზია. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნიკოლოზ გელაშვილმაც, ისე როგორც, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა - კვახაძემ, ლიპარტიამ, რაზმაძემ.

**- თქვენი გუნდიდან ვის გამოარჩევდით?**

- ალბათ, ჩემი მცირე წვლილიც არის, რომ შესანიშნავი სეზონი ჩაატარეს თემურ ლონღაძემ და ნოდარ მაჭავარიანმა; ამ ორ ფეხბურთელს ბევრი არც იცნობდა, თუმცა ამ სეზონში საგრძნობლად მოუმატეს. სტაბილურად იასპარეზეს: ბაბუნაშვილმა, დობროვოლსკიმ, ონიანმა (განსაკუთრებით - მეორე ეტაპზე); ურიგოდ არ გამოიყურებოდა ჩხეტიანიც. რაც შეეხება მეგრელაძეს, ამ ფეხბურთელს გამოცდილება არ აკლია, მაგრამ მჯერა, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევა შეეძლება.

**- იმედგაცრუებული არავისგან ხართ?**

- ასე ნამდვილად ვერავიზე ვიტყვი; უბრალოდ, უფრო მეტი შეეძლოთ სეთურიძესა და ხუბუას, გამომდინარე იქიდან, რომ ორივეს შესაძლებლობები კარგად ვიცოდი. საერთოდაც, ალბათ თავშივე უნდა მეთქვა, რომ თამაში იქნებოდა თუ ყოველდღიური სამუშაო პროცესი, პრობლემა არც ერთ ფეხბურთელთან არ შემქმნია. სამწუხაროდ, მაქსიმალურად ვერ შევძელით ორი ნიჭიერი ფეხბურთელის - დეკანოსიძისა და ფიფიას უფრო მეტად ეფექტიანად გამოყენება. ამ ბიჭების ოსტატობაში ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება, მაგრამ უფრო მეტიც შეეძლოთ. ამაში კი, ვაღიარებ, ალბათ, გარკვეული დოზით ჩემი ბრალიც იყო...

**- დაბოლოს, ტრადიციული კითხვა: გუნდის სიახლეებსა და უახლოეს გეგმებზე. მით უმეტეს, „ოლიმპთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდე გქონდათ...**

- თასის ფინალის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებთან საუბარი არც მქონია. 10 ივნისს შევიკრიბებით და ვარჯიშს ამის მერე განვაახლებთ. ამჟამად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ „ოლიმპი“ დატოვეს აკუასაგამ, ონიანმა და ჭელიძემ. საკუთარ თავზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის თამაშებისთვის გუნდს მე მოვამზადებ...

**გია ტუხაშვილი**




**ოლიმპი 2008/09**
**ყველა მატჩი**

| | |
|---|---|
| **I წრე** | |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 0:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 1:1 |
| დინამო-ოლიმპი | 2:1 |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| მგლები-ოლიმპი | 3:1 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 1:1 |
| გაგრა-ოლიმპი | 0:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:2 |
| ოლიმპი-სიონი | 0:0 |
| **II წრე** | |
| ზესტაფონი-ოლიმპი | 0:1 |
| ოლიმპი-მესხეთი | 4:0 |
| ოლიმპი-დინამო | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 1:1 |
| ოლიმპი-მგლები | 2:1 |
| ბორჯომი-ოლიმპი | 1:2 |
| ოლიმპი-გაგრა | 3:0 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 1:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:0 |
| სიონი-ოლიმპი | 0:1 |
| **III წრე** | |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:1 |
| დინამო-ოლიმპი | 2:1 |
| ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| მგლები-ოლიმპი | 1:2 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 6:1 |
| გაგრა- ოლიმპი | 0:1 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 1:3 |
| ოლიმპი-სიონი | 0:1 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. დიდი სამწვრთნელო გადაადგილებები

# ფიოლერი: ლაბადიაზე გული მერევა

## რუდიმ და იუპმა ბრუნოს გადაუარეს, მწვრთნელს მხოლოდ კიოლნილა ეძებს

დასრულდა თუ არა გერმანიის ჩემპიონატი, ბუნდესლიგაში დიდი სამწვრთნელო გადაადგილებები დაიწყო. უმწვრთნელოდ დარჩა შვიდი გუნდი და ამათგან, ექვსმა უკვე მოასწრო ახალი სპეციალისტის დანიშვნა. ერთადერთი გუნდი, რომელიც დღეს ისევ დამრიგებელს ეძებს, „კიოლნია", საიდანაც კრისტოფ დაუმი თურქეთში გაიქცა. მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცად ლუის ვან გაალი დაინიშნა; ფელიქს მაგათი ჩემპიონ „ვოლფსბურგიდან" „შალკეში" გადავიდა, „მგლებს" კი არმინ ფეე გაწვრთნის; ბრუნო ლაბადიამ „ლევერკუზენი" თვითნებურად დატოვა და „ჰამბურგს" მიაშურა, საიდანაც მარტინ იოლი „აიაქსში" წავიდა, „ლევერკუზენი" კი „ბაიერნიდან" წამოსულ იუპ ჰაინკესს ჩააბარეს, რომელიც რეკორდმაისტერს იურგენ კლინსმანის გაგდების შემდეგ, დროებით ედგა სათავეში; მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" კი, ასევე თვითნებურად წასული ჰანს მაიერის ნაცვლად, ბილეფელდის „არმინიადან" გამოგდებული მიხაელ ფრონტცეკი დანიშნა. ერთი სიტყვით, დიდი ამბები მოხდა და აღსანიშნავია, რომ ბუნდესლიგის ისტორიას ასეთ მოკლე დროში ასეთი ტრაფი სამწვრთნელო გადაადგილებები აქამდე არ ახსოვს.



„ლევერკუზენის" ხელმძღვანელებმა იუპ ჰაინკესი კვირას ნაშუადღევს წარადგინეს. „დონ იუპის" „ბაიერის" მთავარი მწვრთნელის რანგში წარდგენას 8 ოპერატორი, 15 ფოტოგრაფი და 30 ჟურნალისტი დაესწრო. ჰაინკესმა „ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

„სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა რუდი ფიოლერმა დამირეკა და მკითხა, „ბაიერის" მთავარი მწვრთნელის პოსტის ჩაბარებაზე რას იტყვიო. იმ ღამეს ვიფიქრე და მეორე დილას თანხმობა მივეცი," - განუცხადა ჰაინკესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და ამავდროულად, თავისი კოლეგები გააკრიტიკა - როგორც იცით, **მარტინ იოლი** „ჰამბურგიდან" გაიქცა (მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი ჰქონდა), **კრისტოფ დაუმი** „კიოლნიდან" აიბარგა, **ბრუნო ლაბადიამ** კი იმდენი ილაპარაკა, სანამ „ჰამბურგში" არ მიიწვიეს. მეტიც, „ჰამბურგმა" „ლევერკუზენს" ლაბადიას სანაცვლოდ ფულიც კი გადაუხადა - 1.3 მილიონი ევრო.

„მართალია, ახლა სხვა დროა და ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მესმის იმ მწვრთნელის, რომელიც გუნდში დანიშვნისას კონტრაქტში დებს ისეთ პუნქტს, რომლის მიხედვითაც მას გარკვეული პერიოდის შემდეგ კონტრაქტის გაწყვეტა შეუძლია. ჩემი აზრით, კარგმა მწვრთნელმა თავიდანვე უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გუნდის ერთგულია და რომ ამ გუნდში მუშაობა უნდა. არ მესმის, რატომ უნდა მოინდომოს სპეციალისტმა სამწლიანი კონტრაქტის შემთხვევაში, გუნდის ორი წლის შემდეგ დატოვება, თუკი მას მართლაც სურს ამ გუნდში რაღაცის შექმნა და წარმატების მიღწევა. ფანებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ისეთი შეგრძნება, რომ მოდის მწვრთნელი, რომელიც შრომისთვის თავდადებულია და ამ გუნდში დიდი ხნით მუშაობას აპირებს. სხვა საქმეა, რამდენად გამოუვა ეს. ის, რაც გერმანიის ჩემპიონატის შემდეგ ბუნდესლიგაში მოხდა, ჩემთვის მიუღებელია. მაგრამ არ მიკვირს, რადგან ეს ყველაფერი ისევ და ისევ ხელმძღვანელების ბრალია, რომლებიც მწვრთნელებს სხვადასხვაპუნქტიან კონტრაქტებს უფორმებენ. ერთ დღესაც, სპეციალისტი მათთან მივა და ეტყვის, სხვა ვარიანტი გამომიჩნდა და კარგად იყავითო, - განრისხებულია ჰაინკესი იოლზე, ლაბადიასა და დაუმზე, - პირადად მე კონტრაქტი არასდროს დამირღვევია. 1996 წელს „ტენერიფეს" მთავარი მწვრთნელი გახლდით, როცა „ბარსელონას" გაწვრთნა შემომთავაზეს. 100 მწვრთნელიდან 101 ამ წინადადებაზე დათანხმდებოდა, მე კი „ბარსელონას" შეფებს ვუთხარი, ამას არ ვიზამ-მეთქი. გაოცებულებმა კიდევ ერთხელ შემახსენეს, „ბარსელონას" გაწვრთნას გთავაზობთ, კარგად დაფიქრდითო, მაგრამ მე მათ მივუგე, რომ კონტრაქტებს არასდროს ვარღვევ, ასე რომ, როცა ჩემს ხელშეკრულებას ვადა გაუვა, მერე დავილაპარაკოთ-მეთქი."

ჰაინკესს მხარი აუბა „ლევერკუზენის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმაც**, რომელიც სიტყვებს ვერ პოულობდა ბრუნო ლაბადიას გასალანძღად, რომელმაც ჯერ კიდევ გერმანიის თასის ფინალის წინ დაიწყო „ლევერკუზენის" კრიტიკა და მაშინვე ყველა მიხვდა, რომ ბრუნოს „ბაიერიდან" წასვლა უნდოდა.

„პირდაპირ გეტყვით: გული მერევა იმ საქციელზე, რაც ლაბადიამ გააკეთა! მიწოდეთ ძველმოდური, მიწოდეთ ბებერი და დროს ჩამორჩენილი, მაგრამ ასეთ საქციელზე გული მერევა! გერმანიის თასის ფინალის წინ ბრუნომ ჟურნალისტებს ისეთი ინტერვიუები მისცა, რომ კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. მანამდე კარგად იქცეოდა, „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობით ბედნიერი იყო და მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრე სასტიკად ჩააგდო, ჩვენ მას არ ვაკრიტიკებდით, მხარში ვედექით და მის გაშვებაზე არც გვიფიქრია. მან კი რა ქნა? „ჰამბურგის" პირველივე დაძახებაზე ჩვენი კრიტიკა დაიწყო და ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენ გაგვეგდო, მაგრამ არ გავაგდეთ და ბოლოს „ჰამბურგი" იძულებული გახდა, ბრუნოს სანაცვლოდ ფული გადაეხადა, რადგან მას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებდა. აქამდე მეგონა, რომ ასეთი რაღაცები მხოლოდ ბინძურ პოლიტიკაში ხდებოდა, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ფეხბურთიც დაბინძურებულია. თუმცა რა მიკვირს, აგერ, იურგენ კლინსმანის შემთხვევაშიც კი, როდესაც ტელევიზიით უნდა გამოსულიყო, ჟურნალისტს წინასწარ მომზადებული კითხვები გადაეცა. ლაბადიას მედიამრჩეველი ჰყავს და არ ვიცი, რაში სჭირდება ასეთი პიროვნება. მე არ მჭირდება არანაირი მედიამრჩეველი იმისათვის, რომ როცა თამაშს წავაგებთ, ჭკუა დამარიგოს, რა უნდა ვთქვა, რათა ხალხში კარგ კაცად გამოვჩნდე. შესაძლოა, დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრების მენეჯერ ოლივერ ბირჰოფსაც ჰყავს ასეთი მედიამრჩეველი. ერთი რამ ხომ ცხადია: აქ საქმე არც ლაბადიას ეხება და არც ფიოლერს, საქმე ეხება გუნდს, ლევერკუზენს! იუპ ჰაინკესის სახით დავნიშნეთ მწვრთნელი, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი და ბედნიერი ვარ, რომ ლაბადიას ლევერკუზენული ერა წარსულს ჩაბარდა!" - თქვა ფიოლერმა.

ასეთი გაწიწმატებული რუდი დიდი ხანია ალარავის უნახავს. როგორც ჩანს, ლაბადიას საქციელმა ის მართლაც მწყობრიდან გამოიყვანა. იმ დროს, როდესაც ფიოლერი და ჰაინკესი პრესკონფერენციას მართავდნენ, ჰამბურგში მეორე პრესკონფერენცია მიმდინარეობდა, სადაც ჩრდილოგერმანულმა კლუბის შეფებმა, პრეზიდენტმა **ბერნდ ჰოფმანმა** და სპორტულმა დირექტორმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა** ლაბადია წარადგინეს.

„ბედნიერი ვარ, რომ „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი გავხდი. ბოლო კვირაში ყველა ხვდებოდა, რომ ამ გუნდში გადასვლა ძალიან მინდოდა და აი, ასეც მოხდა, - განუცხადა ლაბადიამ ჟურნალისტებს, - მინდა, რომ ამ გუნდში დიდხანს ვიმუშაო და არა მხოლოდ ერთი წელი, როგორც ეს ჩემმა წინამორბედებმა გააკეთეს. „ჰამბურგის" ძლიერ, რეგულარულად ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდად ჩამოყალიბება მსურს".

„ჰამბურგის" შეფებიც დარწმუნებულები არიან, რომ ბრუნო ზუსტად ის კაცია, ვინც სჭირდებოდათ. წელს მარტინ იოლმა დატოვა გუნდი, რომელმაც „ჰამბურგში" მხოლოდ ერთი წელი იმუშავა, შარშან კი **ჰუუბ სტევენსი** გაიქცა (ასევე ერთი წლის შემდეგ). ბაიერსდორფერი და ჰოფმანი დარწმუნებულები არიან, რომ ლაბადია ასე არ მოიქცევა და „ჰამბურგს" უერთგულებს, მაგრამ დიდი შანსია, რომ შეცდნენ, რადგან თავის დროზე ლაბადია „ლევერკუზენის" ბოსებსაც ერთგული სპეციალისტი ეგონათ.

### კიოლნი: სლომკა თუ სოლდო?

ამრიგად, ერთადერთი გერმანული კლუბი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავს მწვრთნელი, „კიოლნია". როგორც „კიკერი" ირწმუნება, „თხების" ხელმძღვანელებს კანდიდატებს შორის ორი ფავორიტი ჰყავთ შერჩეული, რომელთაგან უმთავრესი ფავორიტი **ზვონიმირ სოლდოა**, სათადარიგო ვარიანტად კი **მირკო სლომკა** განიხილება. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ „კიოლნის" შეფები გადაწყვეტილებას კვირის დასაწყისში მიიღებენ, ანუ, ისევ თურქეთში გადახვეწილ **კრისტოფ დაუმის** შემცვლელი დღეს-ხვალ დამტკიცდება. თუკი „კიოლნის" შეფებმა სოლდოსთან და ვერ სლომკასთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, სხვა კანდიდატებთან მოსინჯავენ ძალებს, რომელთა შორის, საქართველოს ნაკრების ექსთავკაცის, **კლაუს ტოპმიოლერის** გვარიც ფიგურირებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვოლფსბურგმა პეტრიჩს დაუმიზნა

## გრაფიტე-ჯეკოს დუეტი ტრიოდ უნდა გადაიქცეს

გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, რის გამოც, ხელმძღვანელები სერიოზულად ზრუნავენ გუნდის გაძლიერებაზე. ფაქტია, რომ „მგლებს" ამ შემადგენლობით სამ ფრონტზე (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა) ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ და იმისათვის, რომ „ვოლფსბურგმა" ევროპაში ფიასკო არ განიცადოს, ბოსები ახალი ფეხბურთელების შეძენას აპირებენ.

გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **არმინ ფეე** პირველ რიგში მაღალი კლასის ფორვარდს ეძებს, რომელიც **ედინ ჯეკოსა** და **გრაფიტეს** დუეტს შეუერთდება. ფეე ამბობს, ახალ ფორვარდს საერთაშორისო გამოცდილება უნდა ჰქონდეს და პერსპექტიული ფეხბურთელი უნდა იყოსო, თუმცა იმასაც ამბობს, ასეთი მოთამაშის პოვნა არც ისე იოლიაო.

„კიკერის" ცნობით, ერთ-ერთი პირველი კანდიდატი „ჰამბურგის" 28 წლის ხორვატი ფორვარდი **მლადენ პეტრიჩია**, რომელმაც გასულ სეზონში ყველა ტურნირზე 20 გოლის გატანა შეძლო და უმთავრესი როლი ითამაშა იმაში, რომ „ჰამბურგმა" გერმანიისა და უეფას თასის ნახევარფინალებში ითამაშა, ბუნდესლიგაში კი მეხუთე ადგილი დაიკავა და ევროლიგის საგზური მოიპოვა. პეტრიჩს „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ფაქტია, რომ ჩრდილოგერმანელებს მისი გაშვება არ სურთ, მაგრამ „ვოლფსბურგის" უპირატესობა ის არის, რომ „მგლები" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ და შანსი აქვთ, პეტრიჩს თავი სწორედ ამით მოაწონონ. თუმცა „ჰამბურგმა" უკვე დაკარგა ერთი ფორვარდი - **ივიცა ოლიჩი** „ბაიერნში" გადავიდა და ფაქტია, რომ ეს გუნდი თავის მეორე ლიდერს ძნელად თუ შეელევა. პეტრიჩი ბუნდესლიგაში პირველად 2007 წელს გამოჩნდა, როცა შვეიცარიული „ბაზელიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავიდა. დორტმუნდში გატარებული ერთი წლის შემდეგ კი, „ჰამბურგში" ამოყო თავი. მლადენს ბუნდესლიგაში 54 მატჩში 25 გოლი აქვს გატანილი.




ანდრეა ბარძალი (მარცხნივ) და მლადენ პეტრიჩი, შეიძლება, თანაგუნდელები გახდნენ

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ტურნირი. ევროპა

# პოლანდია უკვე აფრიკაშია

## ინგლისს აღარაფერი აკლია

### I ჯგუფი

**ალბანეთი–პორტუგალია 1:2**

**ალბანეთი:** ჰიდი, ვანგიელი, ბექირი, ვრაპი, კანა, კური, აგოლი, ბულკუ, დურო (87. ბერიშა), სკელა (90. ბილიქბაში), ბოგდანი (64. სალიჰი).

**პორტუგალია:** ედუარდო, ბოსინგვა, პეპე, რიკარდო კარვალიო (76. ნანი), ბრუნო ალვეში, დუდა, ბოა მორტე (46. სიმაო საბროსა), რაულ მეირელეში, დეკუ, კრისტიანო რონალდო, უგო ალმეიდა (69. ედინიო).

**გოლები:** 0:1 უგო ალმეიდა (27), 1:1 ბოგდანი (28), 1:2 ბრუნო ალვეში (90)

**მაყურებელი:** 28 435

ალბანელ „არწივებთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ და შვედეთის ნაკრების წაგებამაც კი არ მისცა პორტუგალიელებს იმის საშუალება, რომ სრულფასოვნად ჩაბმულიყვნენ სატურნირო ცხრილში ზედა ორი საფეხურისთვის რეალურ ბრძოლაში. თუკი უნგრეთის ნაკრებს დღემდე ყველა სკეპტიკურად უყურებს, დანიელთა ადგილიდან დაძვრა უკვე შეუძლებელი მოჩანს. მადიარებამდე პორტუგალიელებს მთელი 4 ქულა აშორებთ და ეს სხვაობა კიდევ უფრო სოლიდური იქნებოდა, რომ არა **ბრუნო ალვეში**. პირენეელებს ძალიან გაუჭირდათ მასპინძელთა ძლევა, არადა, დაგვეთანხმებით, ალბანეთი სულაც არ წარმოადგენს მრისხანე ძალას. თუკი შემადგენლობებს თვალს გადავავლებდით, ფავორიტის დასახელება მარტივი საქმე აღმოჩნდებოდა. ალბანელები კი არა, ტირანას სტუმრებს ამ კომპონენტში ბევრი აღიარებული და ტრადიციული ნაკრები ვერ დაუდგება გვერდით. ამ გუნდს აშკარად დიდი პრობლემები აქვს და ამ პრობლემების წამლობა 90 წუთის განმავლობაში **კრისტიანო რონალდომაც** ვერ შეძლო. ანგარიში **უგო ალმეიდამ** გახსნა. თუმცა წუთიც არ იყო გასული, ბოგდანმა წონასწორობა რომ აღადგინა. შეხვედრა ასეც დასრულდებოდა. ბოლო წამებზე რაც მოხდა, ეს უკვე მოგახსენეთ.

**შვედეთი–დანია 0:1**

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი (80. ს. ლარსონი), მელბერგი, მაისტროვიჩი, იოჰანსონი, დ. ანდერსონი (68. ვ. ელმი), რ. ელმი, ვილჰელმსონი (58. ელმანდერი), კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი, ჰ. ლარსონი.

**დანია:** სორენსენი, კვისტი, კიაერი, აგერი, იაკობსენი, კ. პოულსენი (72. აუგუსტინუსენი), ი. პოულსენი, იორგენსენი (56. გრონკიაერი), ბენდტნერი (84. ბერნბურგი), რომედალი, კალენბერგი.

**გოლი:** 0:1 კალენბერგი (22)

*მე-12 წუთზე კალსტრიომმა ვერ გაიტანა პენალტი*

**მაყურებელი:** 33 619

დანიის ნაკრებმა შესარჩევის დასაწყისიდანვე გვიჩვენა, რომ მიმდინარე შესარჩევ ციკლში სახუმაროდ განწყობილი არ იყო. **მორტენ ოლსენის** გუნდი, ყველასათვის მოულოდნელად, ულაპარაკო ფავორიტად გადაიქცა. მათ ქულა მხოლოდ მეორე ადგილზე მყოფ უნგრელებთან დაკარგეს, თანაც გასვლით შეხვედრაში. სხვა შემთხვევებში კი, თვით ლისაბონშიც კი, დანიამ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. რაც შეეხება შვედეთს, „ტრე კრუნურს" საქმე ისე სულაც არ მისდის, მისი გულშემატკივარი რომ ისურვებდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ყვითელ-ცისფრებს" ამბიციების გვერდით გადადება მოუწევთ, რადგან სკანდინავიური დერბის წაგების შემდეგ მათ ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი უკვე აღარ შერჩათ.

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მე-3 წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**. ინტერელის დარტყმულმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. მე-12 წუთზე შვედებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს. **ოლოფ მელბერგის** წინააღმდეგ უხეშად ითამაშა **სიმონ კიაიერმა**. ბურთთან **კიმ კალსტრიომი** მივიდა, თუმცა **ტომას სორენსენმა** დარტყმის მიმართულება გამოიცნო და თავისი გუნდი გადაარჩინა. იძულებული ვართ, უძველესი საფეხბურთო გამოთქმა გავიხსენოთ და ვთქვათ, რომ ვერგატანისთვის მასპინძლები მალევე დაისაჯნენ. არადა, სახიფათო თითქოს არაფერი იყო: **მარტინ იორგენსენმა** ჩვეულებრივად ჩააწოდა საჯარიმოში, **ტომას ნილსონმა** ბურთი მოუხერხებლად გამოიტანა და პირდაპირ **ტომას კალენბერგს** ჩააბარა 0:1. შეხვედრა ისე წარიმართა, რომ დარჩენილ დროში გოლის გატანა და ანგარიშის გაზრდა სტუმრებს უფრო შეეძლოთ, ვიდრე მასპინძლებს გათანაბრება. სახიფათოდ უტევდა კალსტრიომი, ორჯერ კი მიზანთან ახლოს იყო **დენის რომედალი**.

მეორე ტაიმიდან სტუმრებმა ბურთზე კონტროლი დააწესეს და მეტოქეს კართან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. შვედეთი მხოლოდ შეხვედრის ბოლოსკენ გააქტიურდა. კალსტრიომის ჩაწოდებისა და **ჰენრიკ ლარსონის** მიერ ბურთის მოგების შემდეგ გათანაბრება შეეძლო **იოჰან ელმანდერს**. შემდეგ თავად ლარსონს მართებდა იბრაჰიმოვიჩის პასის შემდეგ იმავეს გაკეთება. საკმაოდ აქტიური იყო შეცვლაზე შესული **ვიქტორ ელმი**. გატანა მასაც შეეძლო, მაგრამ კარგად ითამაშა სორენსენმა. შეხვედრაში ბოლო სახიფათო მომენტი ისევ იბრაჰიმოვიჩმა შექმნა - მისმა თავურმა ძელს რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუქროლა.


ზლატან იბრაჰიმოვიჩის აკრობატულ ნახტომს შეგედი არ მოჰყოლია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| 2. უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-2 | 13 |
| 3. პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-3 | 6 |
| 4. შვედეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 |
| 5. ალბანეთი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-6 | 6 |
| 6. მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 0-17 | 1 |

**10 ივნისი**

შვედეთი-მალტა

### III ჯგუფი

**სლოვაკეთი–სან მარინო 7:0**

**სლოვაკეთი:** მუხა, პეკარიკი, კარჰანი, დურიცა (46. სალატა), ჰანცელი, შტოხი (63. ბორბელი), კოზაკი, ჰამშიკი (46. ნოვაკი), ჩეხი, იაკუბკო, ვიტეკი.

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, მიკ. მარანი (86. ბონინი), მაურ. მარანი, ბაჩოკი, ვიტაიოლი, დ. სიმონჩინი, ბერეტი (79. ანდრეინი), ბული, რინალდი (65. ჩაჩი), სელვა, ვანუჩი.

**გოლები:** 1:0 ჩეხი (3), 2:0 პეკარიკი (12), 3:0 ჩეხი (32), 4:0 შტოხი (35), 5:0 კოზაკი (42), 6:0 იაკუბკო (63), 7:0 ჰანცელი (68)

**მაყურებელი:** 6 652

ზოგადად ყოველთვის ძნელი აღსაქმელია, რატომ მონაწილეობს ესა თუ ის „ჯუჯა" ნაკრები შესარჩევ ციკლში. ალბათ, მათ ეს ჩვევაში აქვთ გადაზრდილი. ისეთ სუსტ გუნდებს, როგორიც სან მარინოა, ერთადერთი ფუნქცია აქვთ: დაამძიმონ ისედაც აუტანლად გადატვირთული საფეხბურთო კალენდარი. ხანდახან ანდორა და ლიხტენშტაინიც კი გვთავაზობენ ხოლმე სიურპრიზებს. ამ მხრივ სანმარინოელებს საამაყო არაფერი აქვთ. პოლონეთთან 0:10, ახლა სლოვაკეთთან 0:7. რა შეიძლება ითქვას ამ შეხვედრაზე? არც არაფერი. სლოვაკებმა კარგად იბურთავეს და გატანილი გოლებით იხალისეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 17-6 | 15 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 3. პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 18-7 | 10 |
| 4. ჩეხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 5. სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-4 | 8 |
| 6. სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-32 | 0 |

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი–უელსი 0:1**

**აზერბაიჯანი:** ველიევი, მელიქოვი, ლევინი, შუქუროვი, ნაბიევი (50. ჰუსეინოვი), ბახშიევი, ჯავადოვი, ახტიამოვი (60. ნადიროვი), ზეინალოვი, სადიხოვი, ლუიშ რამინი (46. სუბაშიჩი).

**უელსი:** ჰენესი, განტერი, ერდლი, უილიამსი, მორგანი, ნიატანგა, ლედლი, რემსი, ჩერჩი (84. ჯოუნსი), ერნშოუ (70. ვოუკსი), ედვარდსი.

**გოლი:** 0:1 ედვარდსი (42)

**მაყურებელი:** 26 728

ბაქოში ერთობ უინტერესო შეხვედრა გაიმართა. **ბერტი ფოგტსის** განვრთნილმა მასპინძლებმა უელსს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს და შესარჩევ ციკლში მორიგი მარცხი იწვნიეს. ერთადერთი გოლი პრემიერლიგაში აღზევებული „ვულვერჰემპტონის" ცენტრალურმა ნახევარმცველმა, 23 წლის **დავიდ ედვარდსმა** გაიტანა. გამარჯვებამ უელსელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის თეორიული შანსი კიდევ შეუნარჩუნა. თუმცა **ჯონ ტოშაკს** ურჩევნია, აქცენტი ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნაზე გააკეთოს, რომელიც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისთვის იბრძოლებს.

**ფინეთი–ლიხტენშტაინი 2:1**

**ფინეთი:** იაასკელაინენი, პასანენი (46. ლამპი), კალიო, ჰიიპია, ტიჰინენი, ა. ერიომენკო, ტაინიო (67. ჰეიკინენი), რ. ერიომენკო, ფორსელი, ლიტმანენი (72. კუკი), იოჰანსონი.

**ლიხტენშტაინი:** იელე, რიტცბერგერი, მიხ. შტოკლასა, მარ. შტოკლასა, ფიშერი, რ. ბიუხელი (76. შ. ბიუხელი), მ. ფრიკი, ბურგმაიერი, მ. ბიუხელი (58. კრისტენი), ფოგტი (66. რორერი), პოლვერინო.

**გოლები:** 0:1 მ. ფრიკი (13), 1:1 ფორსელი (33), 2:1 იოჰანსონი (71)

**მაყურებელი:** 20 319

ის, რომ ფინეთის ნაკრები ლიხტენშტაინს საშინაო დაპირისპირებაში დაამარცხებდა, ეჭვს არავისში იწვევდა. სუომის კრებული მთავარ აქცენტს ამ შეხვედრაში აკეთებდა არა კონკრეტულ მეტოქეზე, არამედ რუსეთის ნაკრებზე, რომელსაც ფინელები ორიოდე დღეში შეერკინებიან. მთავარი საზრუნავი იყო, ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია არ მიეღოთ ან სულაც ტრავმის გამო არ გამოკლებოდნენ ჩვენი ჩრდილოელი აგრესორი მეზობლის წინააღმდეგ დანიშნულ შეხვედრას. მათ მთავარი ამოცანა შეასრულეს. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფინელებს არავინ გამოაკლდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-4 | 16 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-3 | 12 |
| 3. ფინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| 4. უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-7 | 9 |
| 5. აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-15 | 1 |

**10 ივნისი**

ფინეთი-რუსეთი

### VI ჯგუფი

**ყაზახეთი–ინგლისი 0:4**

**ყაზახეთი:** მოკინი, კიროვი, აბდულინი, კისლიცინი, კარპოვიჩი, ნუსერბაიევი, სკორიხი, ოსტაპენკო (27. იბრაევი), კუკიევი, ავერჩენკო (73. ერბესი), ლოგვინენკო.

**ინგლისი:** გრინი, ჯონსონი (75. ბექჰემი), აპსონი, ტერი, ე. კოული, უოლკოტი (46. რაიტ-ფილიპსი), ლემპარდი, ბერი, ჯერარდი, ჰესკი (81. დეფო), რუნი.

**გოლები:** 0:1 ბერი (40), 0:2 ჰესკი (46), 0:3 რუნი (73), 0:4 ლემპარდი (77-პენ)

**მაყურებელი:** 23 281

ინგლისის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში უეჭველად წავა და თანაც ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსით - ამაში ეჭვი ალბათ ცოტას თუ ეპარება. **ფაბიო კაპელომ** ფეხბურთელებზე უზარმაზარი გავლენა კი მოახდინა, მაგრამ იტალიელმა იმდენი ვერ ქნა, რომ **ფრენკ ლემპარდსა** და **უეინ რუნის** დაეჯერებინათ, რომ ყაზახეთი მათთვის სერიოზული მეტოქე იქნებოდა. რასაც ეს ფეხბურთელები პრესკონფერენციაზე ხმამაღლა აცხადებდნენ, მაგრამ გულით კი არ სჯეროდათ. კუნძულელებიც ადგნენ და აზიელებთან ძალების სერიოზული დაძაბვის გარეშე იასპარეზეს. პირველ ტაიმში ინგლისს მონდომება სულ არ ეტყობოდა (როგორც ერთმა ჟურნალისტმა იხუმრა, როგორც ჩანს, სტუმრები გასახდელში ჩემოდნებში დატოვებულ თვითმფრი-




გამოვიდა ივნისის ნომერი

# უცხოური ფეხბურთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაიჯელ დე იონგის შედეგიანი დარტყმა

ნავის ბილეთებზე უფრო ფიქრობდნენო), მაგრამ მონდომების გარეშე ორი გოლის გატანა მაინც მოახერხეს. მასპინძლებმა ორიოდეჯერ მოახერხეს **რობერტ გრინის** შეწუხება. პირველი სახიფათო მომენტი ვესტჰემელის კართან შეიქმნა, თუმცა გუნდი გოლისგან **ჯონ ტერიმ** იხსნა. კაპელო ძალიან უკმაყოფილო დარჩა შეგირდების საკურორტო განწყობით და დაიქადნა, ანდორასთან სულ სხვა შემადგენლობა ითამაშებსო. პირველი გოლი სწორედ ინგლისის კარში გავიდა, რომელიც შეხვედრის მთავარმა არბიტრმა სრულიად სამართლიანად გააუქმა. პირველი ჩათვლილი გოლი კი მე-40 წუთზე გავიდა. **სტივ ჯერარდმა** ფლანგიდან მორიგი ჩაწოდება გააკეთა. მასპინძლებს შორეულ ძელთან **გარეთ ბერის** ყოფნა დაავიწყდათ. „მანჩესტერ სიტის" ახალწვეული კართან აბსოლუტურად მარტო აღმოჩნდა და დაუბრკოლებლად გაიტანა - 0:1. მეორე გოლიც ჯერარდის აქტიურობას მოჰყვა: პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე სტივმა შორიდან გაისროლა. მეკარემ ბურთი ძლივს მოიგერია, მაგრამ შეცდომა დაუშვა და პირდაპირ **ემილ ჰესკის** ჩააბარა. „ასტონ ვილას" ფორვარდმა ბურთი აუღელვებლად გადაგზავნა კარში - 0:2.

მეორე ტაიმი სუფთა ფორმალობა გამოდგა. ყაზახები მიხვდნენ, რომ მათი საშველი ამ შეხვედრაში არ იყო, ინგლისელები პირიქით, მასპინძლების უსუსურობაში კიდევ უფრო დარწმუნდნენ. სახიფათო მომენტები დიდი იშვიათობა გახდა. დანარჩენი ორი ბურთიც ინგლისელთა კლასის ხარჯზე უფრო გავიდა, ვიდრე მონდომების. 73-ეზე მრავალსვლიანი კომბინაცია რუნის გოლით დასრულდა, თანაც ყაზახებმა „მანიუს" ფორვარდს ორჯერ მისცეს დარტყმის საშუალება - 0:3. 78-ე წუთზე კი მასპინძლებმა საჯარიმოში ჰესკი დასცეს. ლემპარდმა შეხვედრას მშვიდად დაუსვა წერტილი - 0:4.

## ბელარუსი-ანდორა 5:1

**ბელარუსი:** ჟევნოვი, შიტოვი (67. კოველი), სოსნოვსკი, ვერხოვცოვი, კალაჩევი, იურევიჩი, სტასევიჩი, ა. გლები, კაჩევსკი (67. რუდიკი), ბლიზნიუკი, კორნილენკო (80. როდიონოვი).

**ანდორა:** ალვარესი, ესკურა, სონეხე, ანტონი ლიმა (90. ფერნანდესი), ილდეფონს ლიმა, აიალა, ვალესი, მორეირა (77. ხიმენესი), ანდორა (81. როდრიგესი), სილვა, მორენო.

**გოლები:** 1:0 ბლიზნიუკი (2), 2:0 კალაჩევი (44), 3:0 კორნილენკო (50), 4:0 კორნილენკო (61), 5:0 ბლიზნიუკი (76), 5:1 ილდეფონს ლიმა (90-პენ)

**მაყურებელი:** 9 000

პირველად არსებობის განმავლობაში ბელარუსის ნაკრებმა ქალაქ გროდნოში ითამაშა. ფეხბურთელებმა ადგილობრივ გულშემატკივარს ზეიმი მოუწყვეს. მატჩი მასპინძელთა გარდაუვალი უპირატესობით დაიწყო და დასრულდა. მინდორზე საუკეთესონი იყვნენ **გენადი ბლიზნიუკი, სერგეი კორნილენკო** და რა თქმა უნდა, ნაკრების ლიდერი **ალექსანდრ გლები**. „ბარსელონას" რიგებში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებულმა ფეხბურთელმა გამთამაშებლის ფუნქციები თავის თავზე აიღო და სტუმართა ნახევარდაცვას ლამის მარტო გაუმკლავდა. გამარჯვების წყალობით **ბერნდ შტანგეს** გუნდმა 9 ქულა დააგროვა და მეზობელ უკრაინელებს ერთი ქულით გადაუსწრო.

## ხორვატია-უკრაინა 2:2

**ხორვატია:** რუნიე, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, კორლუკა, პრანიჩი, სრნა, იურიჩი (46. ჟ. ლეკო), მოდრიჩი, რაკიტიჩი (46. ვუკოიევიჩი), ოლიჩი (61. მანჯუკიჩი), პეტრიჩი.

**უკრაინა:** პიატოვი, მანძიუკი, კუჩერი, ჩიგრინსკი, ტიმოშჩუკი (86. რუსოლი), ნაზარენკო (76. კალინიჩენკო), გაი, როტანი, შევჩუკი, მილევსკი, შევჩენკო (22. სელეზნიოვი).

**გოლები:** 1:0 პეტრიჩი (2), 1:1 შევჩენკო (13), 1:2 გაი (54), 2:2 მოდრიჩი (68)

**მაყურებელი:** 35 000

აღნიშნული შეხვედრა თავიდანვე ერთ-ერთ ცენტრალურ დაპირისპირებად მიიჩნეოდა, რადგან VI ჯგუფში შექმნილი მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია. ამ შემთხვევაში ინგლისის ნაკრებს თავი უნდა დავანებოთ და ვაღიაროთ, რომ მას ვერავინ დაეწევა, რაც შეეხება მეორე ადგილს, ხორვატებთან ერთად მისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლიათ უკრაინელებსა და ბელარუსებს. ჰო, ვეჭვობთ, რომ ზაგრებულ დაპირისპირებას განსაკუთრებული ყურადღებით მიადევნებდნენ თვალს მიუნხენის „ბაიერნის" გულშემატკივრები, რადგან მინდორზე მათი სამი ახალწვეული გამოვიდა. ლაპარაკია **ივიცა ოლიჩზე, დანიელ პრანიჩსა** და **ანატოლი ტიმოშჩუკზე**. პირველი გოლი დებიუტშივე გავიდა და ის **დარიო სრნას** საჯარიმოს მოჰყვა - უძლიერეს დარტყმას ადგილზე დახვდა მეკარე **ანდრეი პიატოვი**, თუმცა უხერხულად კი მოიგერია და დამატებაზე ყველას **მლადენ პეტრიჩმა** აჯობა - 1:0. ეს მე-2 წუთზევე მოხდა. ანგარიში მალევე გათანაბრდა. რაც უნდა ლანძღონ და აკრიტიკონ **ანდრეი შევჩენკო**, ნაკრებში მისი გავლენა ისევ სოლიდურია. „მილანის" ფორვარდმა **რუსლან როტანის** პასით ისარგებლა - 1:1. უკრაინელთა ლიდერმა მალე ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მინდორზე **სელეზნიოვი** შევიდა. მეორე ტაიმში **სლავენ ბილიჩმა** შეხვედრაში ორი ახალი ფეხბურთელი ჩართო - **იერკო ელკო** და **ოგნენ ვუკოევიჩი**. თუმცა უნდა ითქვას, რომ მის ნაბიჯს პრაქტიკული შედეგი არ მოუტანია. მეტიც, გოლი **რუნიეს** კარში გავიდა: სტუმრებმა პირველი გოლის ანალოგიური ბურთი შეაგდეს, ოღონდ როტანი-შევჩენკოს ნაცვლად კომბინაცია **ნაზარენკომ** და **გაიმ** გაითამაშეს. მასპინძლებმა ანგარიში გარკვეულწილად ბედის წყალობით გაათანაბრეს. **ლუკა მოდრიჩმა** და **მარიო მანჯუკიჩმა** ბურთი ცენტრში გაითამაშეს, ტოტენჰემელი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და დაარტყა. **დმიტრი ჩიგრინსკი** თავგანწირულ ნახტომში შესწვდა ბურთს, მაგრამ სფერო სწორედ მასთან კონტაქტის შემდეგ გადაევლო თავზე პიატოვს და ბადეში ჩაეშვა - 2:2. ხორვატებს ბოლოს სამი ქულის განაღდებაც შეეძლოთ, მაგრამ მათი დარტყმული ორჯერ მოხვდა უკრაინელთა ხარიხას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 6 | 6 | 0 | 0 | 20-4 | 18 |
| 2. ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 3. ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 14-7 | 9 |
| 4. უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 5. ყაზახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 6-20 | 3 |
| 6. ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 2-19 | 0 |

**10 ივნისი**

ინგლისი-ანდორა
უკრაინა-ყაზახეთი

## VII ჯგუფი

## ლიტვა-რუმინეთი 0:1

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სკერლა, ზალიუკასი, კლიმავიჩუსი (84. ლუკსისი), სტანკევიჩუსი, შემბერასი, ჩესნაუსკისი, კალონასი (63. მიკოლაიუნასი), სერნასი, პილიბაიტისი (80. დედურა), დანილევიჩუსი.

**რუმინეთი:** კომანი, საპუნარუ, რადოი, კივუ, რაცი, მარა (73. რომანი), გიოანე (90. ლაზარი), აპოსტოლი, ტანასე, მარიკა (84. მ. ნიკულაე), დანჩულესკუ.

**გოლი:** 0:1 მარიკა (38)

**მაყურებელი:** 4 000

ვლახებმა „მარიამპოლზე" მინიმალური გამარჯვება მოიპოვეს, რითაც მცირე რევანში აიღეს შარშან საშინაო შეხვედრაში განადგურების გამო (0:3). შეხვედრაში ერთადერთი გოლი „შტუტგარტის" თავდამსხმელმა **ჩიპრიან მარიკამ** საჯარიმოს მისადგომებიდან გაიტანა. **ჟიდრუნას კარჩემარსკასს** ლიტველთა გადარჩენის შანსი არ ჰქონია. გამარჯვების მიუხედავად, რუმინელებს სამარცხვინო სატურნირო მდგომარეობა აქვთ. ცხრილში ისინი მხოლოდ ფარერის კუნძულების ნაკრებს უსწრებენ.

## სერბეთი-ავსტრია 1:0

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, სუბოტიჩი, ვიდიჩი (46. რუკავინა), ივანოვიჩი, იოვანოვიჩი (81. კაჩარი), მილიაში, სტანკოვიჩი, კრაშიჩი, ლაზოვიჩი (56. იანკოვიჩი), პანტელიჩი.

**ავსტრია:** გსპურნინგი, შტრანცლი, დრაგოვიჩი, შიმერი, ორტლეხნერი, ჰიოლცლი (65. ლექსა), შარნერი, პელივანი, იანტშერი, ჰოფერი (56. იანკო), მაიერჰოფერი (56. ოკოტი).

**გოლი:** 1:0 მილიაში (7-პენ)

**მაყურებელი:** 50 000

შესარჩევი ეტაპი ავსტრიის ნაკრებმა შთამბეჭდავად დაიწყო. ის იყო, მათმა გულშემატკივრებმა დაიჯერეს, რომ ჯგუფიდან გასასვლელად ბრძოლაში ჩართვა შეეძლოთ, რომ ნაკრები ძველებურად სუსტად ათამაშდა. ავსტრიას ანგარიშის გახსნა პირველივე წუთებზე შეეძლო, როცა კარში **ანდერას ჰერცლი** ურტყამდა, მაგრამ... ფეხბურთელს სიზუსტემ უმტყუნა. 0:1-ის ნაცვლად სერბებმა პირველივე კონტრშეტევაზე 1:0 ააკიაფეს - **დანკო ლაზოვიჩმა** ბურთიანად შეაღწია **მიხაელ გსპურნინგის** საჯარიმოში, სადაც მასთან ბრძოლაში სტუმარმა მცველებმა თამაშის წესი დაარღვიეს. პენალტი **ნენად მალიშმა** აუღელვებლად გარდასახა გოლად. ორივე გუნდის დიდი მცდელობის მიუხედავად, საფინალო სასტვენამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-5 | 15 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 3. ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6-6 | 9 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 5. რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

## IX ჯგუფი

## მაკედონია-ნორვეგია 0:0

**მაკედონია:** ნიკოლოსკი, სედლოსკი, პოპოვი, ი. მიტრესკი, გრნჩაროვი, გეორგიევსკი, დესტპოტოვსკი, შუმულიკოვსკი (63. მაზნოვი), სტოიკოვი (80. გროუდანოვსკი), პანდევი, ნაუმოსკი (74. რისტიჩი).

**ნორვეგია:** კნუდსენი, ჰოილანდი, უელერი, ვინსნესი, ჰანგელანდი, ი. რიისე, ბრაატენი (57. ჰუსეკლეპი), პედერსენი, სკილბრედი (46. ჰ. რიისე), გრინდჰაიმი (72. ჰაუგერი), ქერიუ.

**მაყურებელი:** 10 000

## ისლანდია-ჰოლანდია 1:2

**ისლანდია:** გუნლეიფსონი, სტეინსონი, ჰრეიდარსონი, კ. სიგურდსონი, ეირიკსონი (76. სმარასონი), სევარსონი, გისლასონი (68. ა. გუნარსონი), ი. სიგურდსონი, დანიელსონი (46. ბ. გუნარსონი), გუდიონსენი, პალმასონი.

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ვან დერ ვაარტი (76. ბაბელი), დე იონგი (80. მენდესი), ვან პერსი, რობენი, კუიტი (67. ჰუნტელაარი).

**გოლები:** 0:1 დე იონგი (8), 0:2 ვან ბომელი (15), 1:2 კ. სიგურდსონი (88)

**მაყურებელი:** 10 000

ჰოლანდიის ნაკრებმა ისლანდიელებს ძირითადად უმძლავრესი ნახევარდაცვის წყალობით აჯობეს. **ნაიჯელ დე იონგისა** და **მარკ ვან ბომელის** გოლებით „ნარინჯისფრები" ევროპელთაგან პირველები დაეუფლნენ სამხრეთი აფრიკის მუნდიალის საგზურებს. **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდი უახლოეს მდევარ შოტლანდიას 6 შეხვედრის შემდეგ 11 ქულით (!) უსწრებს, თუმცა სკოტებს ერთი შეხვედრა თადარიგში აქვთ. გოლები კი ასე გავიდა: მე-9 წუთზე „რეალიდან" ასაბარგებლად გამზადებულმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას „მანჩესტერ სიტის" საყრდენმა ნახევარმცველმა აჯობა. რამდენიმე წუთში კი „ბაიერნის" კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** საჯარიმოს გარედან ყუმბარისებურად გაისროლა. მასპინძლებმა პრესტიჟის გოლი მხოლოდ შეხვედრის მიწურულს გაიტანეს. თავი გამოიჩინა **კრისტიან სიგურდსონმა**. *„შესარჩევ ციკლში 6 შეხვედრაში ამდენივე გამარჯვება კომპლიმენტებს იმსახურებს,* - განაცხადა ჰოლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა. - *ჩვენ უმთავრესი ამოცანა უკვე გადავწყვიტეთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ დარჩენილი ორი მატჩის მოსაგებადაც ვიბრძოლებთ. ასპროცენტიანი შედეგით ციკლის დასრულება დიდი გამარჯვება იქნება".*

გვერდები მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 13-1 | 18 |
| 2. შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 3. ისლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 4. მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| 5. ნორვეგია | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |

**10 ივნისი**

მაკედონია-ისლანდია
ჰოლანდია-ნორვეგია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია

### სერია A/B

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ემპოლი-ბრეშია | 1:1 |
| გროსეტო-ლივორნო | 2:0 |

### სერია C

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ანკონა-რიმინი | 1:1 |
| ბენევენტო-ფოჯა | 2:2 |
| კროტონე-არეცო | 4:0 |
| პრო პატრია-რეჯანა | 3:2 |
| რავენა-პადოვა | 1:2 |

### პლეი აუტი

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ფოლინიო-პისტოიეზე | 1:0 |
| პრო სესტო-ვენეცია | 1:1 |
| ლეკო-სამბენედეტეზე | 1:0 |
| ლანჩანო-იუვე სტაბია | 1:0 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XL ტური

| | |
|---|---|
| ალბასეტე-მურსია | 0:0 |
| ალიკანტე-ერკულესი | 1:2 |
| სელტა-ალავესი | 2:1 |
| კორდობა-ლას პალმასი | 4:1 |
| ვალეკანო-სოსიედადი | 4:1 |
| სალამანკა-სარაგოსა | 1:3 |
| ხიმნასტიკი-კასტელონი | 0:1 |
| ეიბარი-ხირონა | 2:2 |
| უესკა-სევილია II | 3:0 |
| ლევანტე-ელჩე | 2:0 |
| ტენერიფე-ხერესი | 2:0 |

## ბელგია

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ლიერსი-დენდერი | 2:1 |
| რუზელარე-ანტვერპენი | 4:2 |

## დანია

### II დივიზიონი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ფრემადი-ტისტედი | 0:3 |
| ფრედერისია-ჰერფოლგე | 1:2 |
| როსკილდე-აკადემისკი | 2:4 |
| ჰვიდოვრე-ვიბორგი | 3:0 |
| კიოგე-ნესტვედი | 0:3 |
| ნიკობინგი-სკივე | 5:1 |
| სილკებორგი-ფრემი | 2:2 |

## ფინეთი

### II დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ოულუ-ატლანტისი | 3:0 |
| ჰამეენლინა-კპვ | 0:1 |
| კიისტო-ვიიკინგიტი | 0:1 |
| იივო-ტპ47 | 2:0 |
| პოპა-კოოტეპე | 1:0 |
| კემი-კლუბი04 | 4:1 |
| ტპვ ტამპერე-პკ35 | 0:2 |

## ნორვეგია

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ალტა-სარპსბორგი | 3:0 |
| კონგსვინგერი-ნოტოდენი | 3:0 |
| ლოვ ჰამი-მიონდალენი | 0:0 |
| მოსი-სკეიდი | 2:2 |
| სოგნდალი-ნილი | 1:0 |
| სტავანგერი-ბრინი | 0:2 |
| ტრომსდალენი-ჰიონეფოსი | 0:1 |

## შვედეთი

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-კვიდინგი | 4:0 |
| ლიუნგსკილე-ნორჩოპინგი | 2:2 |
| ვასალუნდსი-სირიუსი | 3:4 |
| ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1:3 |
| ტროლჰატანი-ანგელჰოლმი | დღეს |
| სირიანსკა-სუნდსვალი | დღეს |

## ჩეხეთი

### II დივიზიონი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-უსტი | 0:1 |
| ჩასლავი-ტრშინეცი | 2:1 |
| ფულნეკი-იილავა | 0:2 |
| კარვინა-პრადეცი | 2:1 |
| სლოვაცკო-ოპავა | 2:1 |
| სოკოლოვი-მოსტი | 5:0 |
| სპარტა II-დუკლა | 1:0 |
| ვიტკოვიცე-ოლომოუცი | 1:1 |

## ბრაზილია

V ტური

| | |
|---|---|
| კორინთიანსი-კურიტიბა | 2:0 |
| ატ. პარანაენსე-ატ. მინეირო | 0:4 |
| ავაი-სან პაულუ | 0:0 |
| პალმეირასი-ვიტორია | 2:1 |
| სპორტ რესიფე-ფლამენგო | 4:2 |

## სლოვენია

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| დრავა-ალუმინი | 7:0 |

## მუნდიალი 2010

### აფრიკა

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| გაბონი-ტოგო | 3:0 |
| კამერუნი-მაროკო | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაბონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 3. მაროკო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. კამერუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტუნისი-მოზამბიკი | 2:0 |
| ნიგერია-კენია | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ნიგერია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 3. მოზამბიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 4. კენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

III ჯგუფი

| | |
|---|---|
| ზამბია-რუანდა | 1:0 |
| ალჟირი-ეგვიპტე | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ზამბია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 4. რუანდა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

IV ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბენინი-სუდანი | 1:0 |
| მალი-განა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. ბენინი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 3. სუდანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. მალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

V ჯგუფი

| | |
|---|---|
| მალავი-ბურკინა ფასო | 0:1 |
| გვინეა-კოტ დ'ივუარი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ბურკინა ფასო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. გვინეა | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |
| 4. მალავი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

### აზია

I ჯგუფი

| | |
|---|---|
| უზბეკეთი-იაპონია | 0:1 |
| კატარი-ავსტრალია | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 6 | 4 | 2 | 0 | 8-0 | 14 |
| 2. იაპონია | 6 | 4 | 2 | 0 | 9-3 | 14 |
| 3. ბაჰრეინი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 4. უზბეკეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-9 | 4 |
| 5. კატარი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-13 | 5 |

II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჩრ. კორეა-ირანი | 0:0 |
| საემიროები-ს. კორეა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 6 | 4 | 2 | 0 | 11-3 | 14 |
| 2. ჩრ. კორეა | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| 3. ს. არაბეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 4. ირანი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-6 | 7 |
| 5. საემიროები | 7 | 0 | 1 | 6 | 6-16 | 1 |

### კონკაკაფი

ფინალური ჯგუფი

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-კოსტა რიკა | 2:3 |
| აშშ-ჰონდურასი | 2:1 |
| სალვადორი-მექსიკა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-5 | 12 |
| 2. აშშ | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 3. სალვადორი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 4. ჰონდურასი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 5. მექსიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 6. ტრინიდადი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-9 | 2 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ნამიბია-კდრ | 4:0 |
| ს. აფრიკა-პოლონეთი | 1:0 |
| ბოტსვანა-ახ. ზელანდია | 0:0 |
| ესტონეთი-ეკ. გვინეა | 3:0 |
| იტალია-ჩრ. ირლანდია | 3:0 |

## ევრო 2011

### UNDER 21

შესარჩევი ტურნირი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ჩერნოგორია | 0:2 |
| ხორვატია-კვიპროსი | 0:2 |

## ევრო 2009

### UNDER 19

შესარჩევი ტურნირი

| | |
|---|---|
| ირლანდია-შვეიცარია | 1:6 |
| ბელგია-შვედეთი | 5:0 |

## აშშ

XI ტური

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-ჰიუსტონი | 0:1 |
| ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1:2 |
| კანზასი-კოლამბუსი | 0:2 |
| სოლტ ლეიკი-კოლორადო | 1:1 |
| ჩივასი-სიეტლი | 1:0 |
| დალასი-სან ხოსე | 2:2 |
| ნ. ინგლენდი-ნ. იორკი | გვ. დასრულდა |

**სამხრეთი აფრიკა 2010.** საკვალიფიკაციო ტურნირი. სამხრეთი ამერიკა. XIII ტური

# დიდი გამარჯვება 33 წლის შემდეგ

### ბოლივია-ვენესუელა 0:1

ბოლივია: არიასი, მიგელ ოიოსი, რონალდ რალდესი, რონალდ რივერო, იგნასიო გარსა (77. ხილბერტ ალვარესი), ლეონელ რეიესი, აბდონ რეიესი, ხოსელიტო ბაკა (63. პაბლო ესკობარი), ალექს და როსა, დიეგო კაბრერა (4. ხერარდო იესეროტე), მარსელო მარტინი.

ვენესუელა: რაფაელ რომო, პედრო ბუადა, გრენდი პეროსო, ხოსე ველასკესი, ხოსე იეგესი (64. კარლოს სალასარი), ფრანსისკო ფლორესი, ჯაკომო დი ჯორჯი, სანხელო პენა (55. პედრო ფერნანდესი), ლუის მანუელ სეიხასი, მალდონადო, ხუან გარსია (69. ალექსანდრ რონდონი).

გოლი: 0:1 რონალდ რივერო (33-საკ. კარში)

მაყურებელი: 25 000

### არგენტინა-კოლუმბია 1:0

არგენტინა: მარიანო ანდუხარი, დანიელ დიასი, დემიკელისი, ჰაინცე, ხონას გუტიერესი, მასკერანო, გაგო (46. ძანეტი), ვერონი, მესი, აგუერო (41. დიეგო მილიტო), ტევესი (83. ბურდისო).

**კოლუმბია:** ოსპინა, ამარანტო პერეა, კრისტიან საპატა, მარიო იეპესი, პაბლო არმერო (81. დარვინ კინტერო), კამილო სუნიგა, ფაბიან ვარგასი, ფრედი გარინი, ვლადიმირ მარინი (65. ადრიან რამოსი), ვასონ რენტეირა, რადამელ ფალკაო გარსია (73. უგო როდალიეგა).

გოლი: 1:0 დანიელ დიასი (55)

მაყურებელი: 60 000

### პარაგვაი-ჩილე 0:2

პარაგვაი: ხუსტო ვილიარი, მარკოს კასერესი, ხულიო სესარ კასერესი, ხულიო მანსური, დენის კანისა, ენრიკე ვერა (60. ედუარდო ლედესმა), ედგარ ბარეტო (50. ოსვალდო მარტინესი), ვიქტორ კასერესი, კრისტიან რივეროსი, ნელსონ ვალდესი, ოსკარ კარდოსო (62. ედგარ ბენიტესი).

ჩილე: კლაუდიო ბრავო, გარი მედელი, ვალდო პონსე, გონსალო ხარა, ბოსეჟური, კარლოს კარმონა, მარკოს ესტრადა, მათიას ფერნანდესი, ალექსის სანჩესი (85. ფაბიან ორელიანა), უმბერტო სუასო (75. ექტორ მანსილია), მარკ გონსალესი (46. როდრიგო მილიარი).

გოლები: 0:1 მათიას ფერნანდესი (13), 0:2 უმბერტო სუასო (52)

**მაყურებელი:** 32 000

### ურუგვაი-ბრაზილია 0:4

**ურუგვაი:** ვიერა, მაქსიმილიანო პერეირა, კარლოს ვალდესი, დიეგო გოდინი, მარტინ კასერესი, ხორხე მარტინესი, დიეგო პერესი (45. სებასტიან აბრეუ), სებასტიან ეგურენი, ალვარო პერეირა (65. ალვარო ფერნანდესი), დიეგო ფორლანი, ლუის სუარესი.

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვეში, ლუსიო, ჟუანი, კლებერი, ფელიპე მელო, ჟილბერტო სილვა, ელანო (65. რამირესი), კაკა (85. ჟულიო ბაპტიშტა), რობინიო (85. ჟოსუე), ლუიშ ფაბიანო.

**გოლები:** 0:1 დანიელ ალვეში (11), 0:2 ჟუანი (35), 0:3 ლუიშ ფაბიანო (51), 0:4 კაკა (73).

**გაძევება:** ლუიშ ფაბიანო (66. ბრაზილია), მაქსიმილიანო პერეირა (87. ურუგვაი)

**მაყურებელი:** 58 000



ლუიშ ფაბიანო ხსნის ანგარიშს

ბრაზილიამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. საქმე ის არის, რომ გასულ უქმეებამდე სელესაოს ურუგვაის ნაკრები „სენტენარიოზე“ 33 წლის განმავლობაში არ ჰყავდა დამარცხებული. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მართლაც სანუკვარ გამარჯვებაში სტუმრებს ურუგვაის ეროვნული გუნდის მეკარემ, **სებასტიან ვიერამ** შეუწყო ხელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან გუნდს უღალატა. ბრაზილია რისი ბრაზილია იქნებოდა, ამით არ ესარგებლა, დაუნდობლობა არ გამოეჩინა და სელესტე მიწასთან არ გაესწორებინა. ამ გამარჯვების წყალობით ბრაზილიის ნაკრები გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. რამდენიმე ტურის წინ ამას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, მათ შორის, თავად **კარლოს დუნგაც**. ის ამბობდა, ჩვენი მიზანი პირველ ადგილზე გასვლა კი არა, 2010 წლის მუნდიალის საგზურის მოპოვებააო.

თუმცა მოვლენები სელესაოსთვის სასიკეთო სცენარით განვითარდა. იმ დროისთვის ერთპიროვნულმა ლიდერმა პარაგვაიმ ქულები გაფლანგა და პირველი ადგილი სწორედ ბრაზილიას დაუთმო. ურუგვაელებმა ამ წაგებით სატურნირო მდგომარეობა გაირთულეს. იმისათვის, რომ სელესტე 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდეს, მომდევნო ტურში ვენესუელა აუცილებლად უნდა დაამარცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ აფრიკა მათთვის შორეულ ოცნებად დარჩება. ბრაზილიასთან მატჩში მასპინძლებმა პირველი ბურთი მე-11 წუთზე გაუშვეს. „ბარსელონას“ განაპირა მცველმა **დანი ალვეშმა** სებასტიან ვიერას შეცდომით ისარგებლა. ურუგვაელთა მეკარემ წარმოუდგენელი სისულელე ჩაიდინა და აბსოლუტურად უაზრო ბურთი გაუშვა. ურუგვაელები შოკში ჩავარდნენ, თუმცა რამდენიმე წუთში სახიფათო იერიში მაინც მოაწყვეს. **ჟულიო სეზარის** ოსტატობა რომ არა, შესაძლოა, ანგარიშიც გათანაბრებულიყო. მან **ლუის სუარესსა** და **ალვარო პერეირას** გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

ამასობაში, **კაკა** გამოფხიზლდა. ის მოედნის ცენტრს დაეპატრონა და ბრაზილიაც გაცილებით ეფექტურად ათამაშდა. მალე 35-ე წუთიც დადგა. **ჟუანმა** ისევ და ისევ ვიერას ბრიყვული თამაშით ისარგებლა და კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი თავური დარტყმით კარში გადაგზავნა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მასპინძლებმა ამის შემდეგ უფრო მედგრად და დიდი ენთუზიაზმით შეუტიეს. თითქოს, მოწინააღმდეგეს მათთვის ორი გოლი არ გაეტანა. სელესაო ისევ და ისევ ჟულიო სეზარმა გადაარჩინა. მან პირისპირ გასულ ალვარო პერეირას დუელი მოუგო. რამდენიმე წუთში კი ლუის სუარესის უმწვავესი კონტრშეტევა მოიგერია. მეორე ტაიმში ურუგვაი ისევ უტევდა, მაგრამ მასპინძელთა შეტევებს ხიფათი არ ახლდა. პენტაკამპეონების ყოველი კონტრშეტევა კი საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველი იყო. 53-ე წუთზე **ლუიშ ფაბიანომ ელანოს** პასი მიიღო და მოჭრილი დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა. ამის შემდეგ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სელესტე იმ შეხვედრაში ერთ ქულასაც ვერ მოიპოვებდა. ლუიშ ფაბიანო 65-ე წუთამდე საქათმესთან ჩასაფრებულ მელას ჰგავდა. ის ცდილობდა, მოწინააღმდეგის უყურადღებობით ესარგებლა, თუმცა 65-ე წუთზე თავად შეცდა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. აღნიშნულ შეხვედრაში უკანასკნელი გოლი კაკამ გაიტანა. დიდი ანგარიშით გამარჯვებამ სელესაო ძალიან გაახარა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კარლოს დუნგამ ასეთი რამ განაცხადა: „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. შეტევა და დაცვა არაჩვეულებრივად იყო დაბალანსებული. ჩემი აზრით, აბსოლუტურად სამართლიანი გამარჯვება მოვიპოვეთ. როცა ბრაზილია კარგად თამაშობს, ყოველთვის იგებს. დღევანდელი წარმატება ფეხბურთელების დამსახურებაა. ისინი სიტუაციაში კარგად გაერკვნენ და საგოლე მომენტები გამოიყენეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაცვაში პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშეთ. როცა მცველები თავდამსხმელებს ვერ აკავებდნენ, ბრაზილიას ჟულიო სეზარი ეხმარებოდა. ამით სელესაო სულაც არ კნინდება. მეკარეც ხომ გუნდის სრულუფლებიანი წევრია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „სენტენარიოზე“ 33-წლიანი პაუზის შემდეგ მოვიგეთ. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი წარმატებაა. მახსოვს, „მორუმბიზე“ სელესტემ სისხლი გაგვიშრო, მაგრამ მათ მოედანზე ბევრად უკეთ ვითამაშეთ.“

დიეგო მარადონამ და არგენტინამ ბენვის ხიდზე გაიარეს. მართალია, წინა საკვალიფიკაციო მატჩის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გულშემატკივრებს ბოლივიაში განცდილი ფიასკო ძალიან კარგად ახსოვდათ. მოგეხსენებათ, ის დაპირისპირება ალბისელესტემ კატასტროფული ანგარიშით 1:6 წააგო. კოლუმბიასთან მატჩში დიეგოს უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო და არა თანამედროვე არგენტინის ნაკრების რეალური სიძლიერის მტკიცებულება. მოკლედ, დიეგოს საშინაო შეხვედრა ნებისმიერ ფასად უნდა მოეგო. ამ სამ ქულას მასპინძლებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ თამაშის ხარისხის თვალსაზრისით მარადონას ბიჭები ნამდვილად ვერ ბრწყინავდნენ. ამის შემხედვარე მწვრთნელი საშინლად განრისხდა და ფეხბურთელებს ლანძღვა-გინება დაუწყო. როგორც ჩანს, მათ სწორედ დიეგოს შეძახილი სჭირდებოდათ. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებმა თამაშის ხარისხი სწორედ მარადონას განრისხების შემდეგ გამოასწორეს და გამარჯვების გოლი გაიტანეს. ეს ერთადერთი ბურთი **დანიელ დიასის** ანგარიშზე ჩაიწერა. მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრის შანსი **ლეო მესისაც** ჰქონდა, მაგრამ „ბარსას“ ვარსკვლავის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მარადონამ შეხვედრა ასე შეაფასა: „კოლუმბიამ საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ ჩვენ ამით თავს ვერ გავიმართლებთ. სტუმრებს ისეთი თავისუფლება მივეცით, თავი, ალბათ, ბოგოტაში ეგონათ. ეს არ უნდა დაგვეშვა. ამ ყველაფრის გამო საშინლად გავბრაზდი, ლამის მოედანზე შევვარდი და ბიჭებს გინება დავუწყე. მადლობა ღმერთს, ჩემმა გაბრაზებამ კარგი შედეგი გამოიღო. ეს გამარჯვება ჰაერივით გვჭირდებოდა. არ დაგიმალავთ, ფერნანდო გაგოს თამაშით საშინლად იმედგაცრუებული ვარ. მან ისევე ცუდად ითამაშა, როგორც ბოლო დროს „რეალი“ თამაშობდა ხოლმე. ეს ჩემი შეცდომა გახლდათ. გაგო ცუდ ფორმაშია და მის ნაცვლად ძირითადში ხავიერ ძანეტი უნდა დამეყენებინა“.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 13 | 6 | 6 | 1 | 23-5 | 24 |
| 2. პარაგვაი | 13 | 7 | 3 | 3 | 19-11 | 24 |
| 3. ჩილე | 13 | 7 | 2 | 4 | 19-14 | 23 |
| 4. არგენტინა | 13 | 6 | 4 | 3 | 19-13 | 22 |
| 5. ურუგვაი | 13 | 4 | 5 | 4 | 21-14 | 17 |
| 6. ვენესუელა | 13 | 5 | 1 | 7 | 15-22 | 16 |
| 7. ეკვადორი | 12 | 3 | 5 | 4 | 14-19 | 14 |
| 8. კოლუმბია | 13 | 3 | 5 | 5 | 6-11 | 14 |
| 9. ბოლივია | 13 | 3 | 3 | 7 | 19-26 | 12 |
| 10. პერუ | 12 | 1 | 4 | 7 | 6-26 | 7 |

### 10 ივნისი

ვენესუელა-ურუგვაი
კოლუმბია-პერუ
ბრაზილია-პარაგვაი
ჩილე-ბოლივია
ეკვადორი-არგენტინა

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჭიდაობა

# რიცხვმრავალთა მეტი ჯილდო

## გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებში მსოფლიოს ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გუშინ დამთავრდა სახელოვანი ქართველი ფალავნების — ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის **გივი კარტოზიას** და თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად საფრანგეთის, ინდოეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. ყველაზე მრავალრიცხოვანი საქართველოს ნაკრები იყო და, შესაბამისად, ჯილდოების უმეტესობა სწორედ ჩვენებმა მოიპოვეს. ორივე სახეობაში 14 ოქროს მედლიდან მხოლოდ ორი წაილეს უკრაინელებმა, დანარჩენი მასპინძლებს ხვდათ. გულშემატკივრებმა ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა იხილეს, მაგრამ ყველა მათგანზე ყურადღების გამახვილება შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას გამოვყოფთ.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ლიდერები — **ბესიკ გუჩაშვილი, ოთარ თუშიშვილი, გელა სალირაშვილი, რევაზ მინდორაშვილი, გიორგი გოგშელიძე, ალექსი მოდებაძე** და **დავით ოთიაშვილი** ობიექტური მიზეზებით ხალიჩაზე არ გამოსულან, რამაც ახალგაზრდებს გაუხსნა გზა კვარცხლბეკისკენ. 55 კილოში კვლავ იყოჩაღა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა,** რომელმაც წლეულს საქართველოს პირველობა მოიგო როგორც ახალგაზრდებში, ისე უფროსებში, მერე რიგაშიც იმარჯვა, ბაქოში კი მეორე ადგილს დასჯერდა. თბილისის ტურნირის ფინალში ერევნელი **გეგამ ბაბახანიანი** დაჩაგრა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ივნისის ბოლოს იგი ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე იჭიდავებს სპორტის სასახლეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი „ოქრო" უკრაინელებს ხვდათ. ერთ-ერთი დაისაკუთრა ქართველმა **გია ჩიხლაძემ,** რომელმაც ფინალში ორივე რაუნდი მოუგო **გოჩა ლომთათიძეს.** საგულისხმოა, რომ ჩიხლაძე წარმოშობით ხონელია. ჭიდაობას ვახტანგ ბალავაძის ძმისშვილის — **მიხეილ ბალავაძის** ხელმძღვანელობით ეზიარა. 2004 წლიდან უკრაინის სპორტულ ღირსებას იცავს. წლეულს კიევის გრან-პრის ფინალში **გელა სალირაშვილს** სძლია. ახლა იგი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. თბილისის ტურნირზე მას ვახტანგ ბალავაძის თასიც გადაეცა.

ქართველი გულშემატკივრებს არაერთხელ სმენიათ კიეველი **ტარას დანკოს** (84 კგ) წარმატებების შესახებ. იგი პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპის ჩემპიონია. მეორე ოქროს მედალი სწორედ მისი არჩივი გახდა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დიდ ინტერესს იწვევდა **ბადრი ხასაიას** (84 კგ) გამოსვლა. მან პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ორი ოპერაცია გადაიტანა და ჯერ კიდევ არ არის ჩვეულ ფორმაში. ამის მიუხედავად, იოლად გაუმკლავდა მეტოქეებს. ფინალში სომეხი **არტურ შანინიანი** დაამარცხა და ოქროს მედალთან ერთად გივი კარტოზიას სახელობის თასიც დაიმსახურა.

სულ უფრო გვახარებს წარმატებებით **მანუჩარ ცხადაია** (66 კგ), რომელიც ბოლო დროს საქართველოში წონის ლიდერად ჩამოყალიბდა. წლეულს მან უნგრეთის გრან-პრი მოიგო. ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა, თან ოლიმპიური თამაშების ორ გამარჯვებულსა და ევროპის ჩემპიონს აჯობა. თბილისის ტურნირის ფინალში სომეხ **ვახრამ ხაჩატურიანს** დააყრევინა **ფარ-ხმალი.**

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისგან განსხვავებით, „ანტიკოსებმა" შვიდივე ოქროს მედალი დაიტოვეს, თანაც ხუთ ორთაბრძოლაში სტუმრებს აჯობეს. შეჯიბრებაში გარკვეული მიზეზებით აქაც არ მონაწილეობდნენ ტიტულოვანი ფალავნები - **მანუჩარ კვირკველია** და **რამაზ ნოზაძე,** სამაგიეროდ, ძალების მოსინჯვა სცადა მსოფლიოს ჩემპიონმა **დავით ბედინაძემ,** მაგრამ პირველსავე ორთაბრძოლაში ნეკნი იტკინა და შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო...

ივნისის მეორე ნახევარში საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების — **ბეგი დარჩიას** და **ზაზა თურმანიძის** ხელმძღვანელობით საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრებიან და სექტემბერში გასამართავი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სპეციალური პროგრამით მოემზადებიან.

ახლა კი ორივე სახეობაში თბილისის ტურნირის გამარჯვებულებისა და პრიზიორების ვინაობას გაგაცნობთ:

### თავისუფალი ჭიდაობა

55 კგ. 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო), 2. გეგამ ბაბახანიანი (სომხეთი), 3. მალხაზ მახარობლიძე და გიორგი ედიშერაშვილი (ორივე — საქართველო).

60 კგ. 1. მალხაზ ზარქუა, 2. გიორგი ბალიაშვილი, 3. მალხაზ ქურდიანი (სამივე — საქართველო) და არტურ ბაღდასარიანი (სომხეთი).

66 კგ. 1. შალვა მუზიაშვილი, 2. კობა კაკალაძე, 3. ჯონი ჯინჭარაძე (სამივე — საქართველო) და რაის დიდერი (საფრანგეთი).

74 კგ. 1. გია ჩიხლაძე (უკრაინა), 2. გოჩა ლომთათიძე, 3. გიორგი მარსაგიშვილი (ორივე — საქართველო) და ლუკას ლამპისი (საფრანგეთი).

84 კგ. 1. ტარას დანკო (უკრაინა), 2. ნიკოლოზ გაგნიძე, 3. თორნიკე სვანიძე და შალვა ქეთიშვილი (სამივე — საქართველო).

96. კგ. 1. დაჩი კერაშვილი, 2. თორნიკე ხიდაშელი, 3. ზაზა თურმანიძე (სამივე — საქართველო) და კუმარ რაკეში (ინდოეთი).

120 კგ. 1. ლევან ბერიანიძე, 2. გიორგი ნიკურაძე, 3. ლაზარე მარსაგიშვილი და კობა კერესელიძე (ყველა — საქართველო).

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

55 კგ. 1. გოდერძი დავითაძე, 2. ზურაბ კეკელიძე, 3. გიორგი გვენეტაძე და ლაშა გოგიტიძე (ყველა — საქართველო).

60 კგ. 1. რევაზ ლაშხი (საქართველო), 2. ქამრან მამედოვი (აზერბაიჯანი). 3. არმენ ანტონიანი (სომხეთი) და ზვიად ოქრაძე (საქართველო).

66 კგ. 1. მანუჩარ ცხადაია (საქართველო), 2. ვახრამ ხაჩატურიანი (სომხეთი), 3. ანტონ მამაგეიშვილი და ტარიელ ებრალიძე (ორივე — საქართველო).

74 კგ. 1. გენადი გოგიშვილი (საქართველო), 2. ვარშან მბორანიანი (სომხეთი), 3. მუხრან მაჭუტაძე და მამუკა ხიმშიაშვილი (ორივე — საქართველო).

84 კგ. 1. ბადრი ხასაია (საქართველო), 2. არტურ შანინიანი (სომხეთი), 3. დავით ქარჩავა და გიორგი ცირეკიძე (ორივე — საქართველო).

96 კგ. 1. სოსო ჯაბიძე (საქართველო), 2. არმენ გეგამიანი (სომხეთი), 3. გენადი ხელაია და ალექსანდრე ბურდილაძე (ორივე — საქართველო).

120 კგ. 1. გურამ ფერსელიძე, 2. რევაზ ჭელიძე, 3. დიმიტრი ჯავახიშვილი და რამინ შაქარაშვილი (ყველა საქართველო).

**ვაჟა დანელია**

ავტორისა და
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


გოდერძი დავითაძე


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი


რევაზ ლაშხი


მალხაზ ზარქუა


მანუჩარ ცხადაია


შალვა მუზიაშვილი


გენადი გოგიშვილი


გია ჩიხლაძე


ბადრი ხასაია


ტარას დანკო


სოსო ჯაბიძე


დაჩი კერაშვილი


გურამ ფერსელიძე


ლევან ბერიანიძე

ჭადრაკი

# თასისთვის ბრძოლა გახურდა

**მაია ჩიბურდანიძის** თასისთვის ბრძოლაში მოჭადრაკეებმა ამ უქმეებზე მეორე და მესამე ტურები მოილიეს და საკმაოდ საინტერესო სურათიც დაიხატა. ისე ჩანს, რომ მოულოდნელი შედეგების სიმცირე არ იქნება. მეორე ტურში **ლელა ჯავახიშვილმა ნინო ბაციაშვილთან** წააგო, ხოლო **ნანა ძაგნიძემ მირანდა მიქაძეს** ვერ მოუგო თეთრებით და ყაიმს გამორჩა. როგორც იცით, პირველ ტურში **მაია ლომინეიშვილი** და **ნინო ხურციძე** დამარცხდნენ, ახლა ჯავახიშვილი და საინტერესო იყო, ვინ იქნებოდა შემდეგი. ოლიმპიური ნაკრების წევრებიდან, საბედნიეროდ, სხვას არავის დასცდენია ფეხი, თუმცა გვარიანი ბრძოლები კი გადახდათ თავს. განსაკუთრებით **სალომე მელიას,** რომელიც მესამე ტურში თანაქალაქელ **მირანდა მიქაძეს** ხვდებოდა შავებით. ინიციატივა მიქაძის მხარეს იყო, მაგრამ პარტიის ბოლოს მირანდამ ხელიდან გაუშვა უპირატესობა და დამარცხდა. **სოფიკო ხუხაშვილი** თეთრებით უტევდა **ლილიტ მკრტჩიანს,** ბევრი ეცადა, მაგრამ... ყაიმი. ყაიმი დაფიქსირადა პირველ დაფაზეც, სადაც **მაკა ფურცელაძე ანა მუზიჩუკს** ხვდებოდა შავებით. ლამის ორასი პუნქტით მეტი აქვს მუზიჩუკს და თანაც თეთრები ფავორიტად ამყოფებდა უკრაინელს. მიუხედავად ამისა, მაკამ კარგად გაართვა თავი პრობლემებს და ცოტა იღბალსაც რომ გადმოეხედა, ეგებ მოეგო კიდეც... ფურცელაძეს 2,5 ქულა აქვს და ლიდერთა იმ ჯგუფშია, ვინც მესამე-მერვე ადგილებს იყოფს; პირველ-მეორეზე კი უდანაკარგოდ **ბელა ხოტენაშვილი** და **მარია მუზიჩუკი** არიან. დღეს მეოთხე ტურში ისინი ერთმანეთს ხვდებიან და თეთრი ფერით ქართველი ითამაშებს, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ ერთპიროვნული ლიდერი გახდება.

სხვათა შორის, საკმაოდ კარგად ასპარეზობენ სტუმრები. სულ 8 უცხოელია და აქედან 5 პირველ რვაეულში იმყოფება; დანარჩენებიც ნორმალურად ირჯებიან, გარდა აზერბაიჯანელი **გუნაი მამადზადესი,** რომელსაც ჯერჯერობით ნახევარი ქულაც არ მოუპოვებია. თუმცა ეს სულაც არ გაგიკვირდებათ, თუკი გეტყვით, რომ გუნაი ჯერ მხოლოდ 8 წლისაა და 9 წელი 16 ივნისს შეუსრულდება.

მეოთხე ტურმა საკმაოდ დამაინტრიგებელი ქართული წყვილები შეადგინა, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო და საინტერესო ნანა ძაგნიძისა და სოფიკო ხუხაშვილის შეხვედრა იქნება. ესენი ერთმანეთს მეორე დაფაზე დაუპირისპირდებიან. არანაკლები უნდა გამოდგეს სალომე მელიასა და მაკა ფურცელაძის ორთაბრძოლა. ასევე ყურადსაღებია სომხური დერბი, სადაც ლილიტ მკრტჩიანი თეთრებით **ლილიტ გალოიანს** შეხვდება. ერთი სომხური დერბი უკვე შედგა ტურნირზე. გუშინ ლილიტ გალოიანი **სირანუშ ანდრიასიანს** დაუპირისპირდა. როგორც ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს ჩვევიათ, ერთმანეთს თავი არ შეაკლეს და ქულა ოფლის დაუღვრელად გაიყვეს. შესაძლოა, დღესაც ასეთივე სურათი ვიხილოთ, თუმცა ეჭვის შეტანა შეიძლება, რადგანაც მკრტჩიანმა უკვე დაკარგა ნახევარი ქულა და თუ კიდევ შეფერხდა, ლიდერებთან ჩამორჩენა გაიზრდება და შესაძლოა, ველარც კი ალმოფხვრას დანაკლისი.

მეოთხე ტურში პირველ რვა დაფასთან დასხდებიან: **ბელა ხოტენაშვილი(3)-მარია მუზიჩუკი(3); ნანა ძაგნიძე(2,5)-სოფიკო ხუხაშვილი(2,5); სირანუშ ანდრიასიანი(32,5)-ანა მუზიჩუკი(2,5); ლილიტ მკრტჩიანი(2,5)-ლილიტ გალოიანი(2,5); სალომე მელია(2,5)-მაკა ფურცელაძე(2,5); სოფიკო გურამიშვილი(2)-ლელა ჯავახიშვილი(2); მაია ლომინეიშვილი(2)-ქეთი წაწალაშვილი(2); ნინო ხურციძე(2)-თამარ ხმიადაშვილი(2).**

**ზვიად შათირიშვილი**

### მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილ მოჭადრაკეს, საერთაშორისო დიდოსტატს ზურაბ სტურუას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

საქართველოს ღია ჩემპიონატი

# ახალი ინვენტარი, შედეგები, იმედები





**ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნულ სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ისრაელის 10 წარმომადგენელიც მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ სპორტსმენებმა ასპარეზობისას ახალი ინვენტარი გამოცადეს და საკმაოდ მაღალი შედეგებიც აჩვენეს.

- რამდენიმე დღის წინათ „ნორდიგის" ფირმის (შვედეთი) უმაღლესი ხარისხის ნაწარმი შემოვიტანეთ ეროვნულ სტადიონზე, - გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ.** — სიმაღლეზე და ჭოკით სახტომი ორმოები, ბირთვები, ბადროები, შუბები, ტაბლოები, ელექტრონული ფინიში, ტერფსაბჯენები, ერთი სიტყვით, 42 სახეობისთვის აუცილებელი 150 ათასი დოლარის საქონელი შევიძინეთ, რამაც ერთგვარი სტიმული მისცა როგორც სპორტსმენებს, ისე მწვრთნელებს. შედეგებიც საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 15 წლის ახმეტელმა **ლაშა ღულელაურმა** წლეულს მეორედ დაამყარა ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდი სამხტომში. კარგი შედეგი აჩვენა ბირთვის კვრაში მარტვილელმა **ზურაბ გიგაიამ.** ვაჟებმა რბენებში გააუმჯობესეს საკუთარი შედეგები. ყოველივე ეს გვახარებს, რადგან ათიოდე დღეში სარაევო ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე 33-კაციანი ნაკრებით გავემგზავრებით. ქვეჯგუფში 14 ქვეყნის წარმომადგენლებთან მოგვიწევს გაჯიბრება.

ისრაელის ნაკრები საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით გვესტუმრა. 16 წლის **დიმიტრი კროიტერი** 2,21 მეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და ახალგაზრდებში ისრაელის რეკორდი დაამყარა. კარგი შედეგი აჩვენა 100 მეტრზე რბენაში **დმიტრი ვლოშჩენკომ.** სტუმრებმა თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატში მიგვიწვიეს. აუცილებლად გავგზავნით იმ სპორტსმენებს, რომლებიც სარაევოში გამოიჩენენ თავს.

**ლევი სავკინი,** ისრაელის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

- ქართველ კოლეგებთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, თუმცა თქვენს დედაქალაქში მხოლოდ მეორედ ჩამოვედი. მოხიბლული ვარ ეროვნული სტადიონით. მძლეოსნებს აქ მართლაც ჩინებული პირობები აქვთ. ეს მათს ბოლოდროინდელ შედეგებსაც ეტყობა. მეამაყება, რომ შარშან თქვენმა **დავით ილარიანმა** სწორედ ისრაელში მძლეოსანთა ტურნირზე მოიპოვა პეკინის ოლიმპიადის საგზური. ქართველი და ებრაელი სპორტსმენების მჭიდრო კონტაქტები ჩვენი ერების 26-საუკუნოვანი მეგობრობის გაგრძელებაა.

**მაია აზარაშვილი,** საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი: - საინტერესო შეჯიბრება გამოგვივიდა. შედეგებით კმაყოფილი ვარ. მთავარია, ჩვენმა ათლეტებმა სარაევოშიც თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენონ. მათ ეს ხელეწიფებათ. იმედია, მედლების მოპოვების შანსს გამოიყენებენ.

ახლა კი დაძაბული ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობთ:

**ქალები. 100 მ.** 1. ლიკა ლოლუა (ფოთი, 12,76), 2. სოფო მაჭავარიანი (თბილისი, 12,80), 3. ნანა კაშია (ქუთაისი, 12,92). **100 მ თარჯრბენი.** 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 15,22), 2. თეა ფაცურია (ფოთი, 17,19), 3. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი, 17,26). **200 მ.** 1. ლიკა ლოლუა (ფოთი, 26,24), 2. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 26,91), 3. თამარ გელეიშვილი (26,91). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 59,77), 2. ქეთევან ფხალაძე (ჭიათურა, საჩხერე, 1.00,72), 3. სოფიო ჩილინგარიშვილი (ახალციხე, 1.02,29). **400 მ. თარჯრბენი,** თეა ფაცურია (ფოთი, 1.06,66). **800 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.24,69), 2. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.28,50), 3. ნინო გველესიანი (ჭიათურა, 2.30,50). **1500 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 4.51,57), 2. სოფიო ჩოჩნიძე (ბორჯ.თბილისი, 5.02,56), 3. ნინი გველესიანი (ჭიათურა, 5.14,23). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.34,06), 2. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი, თბილისი, 11.26,00). **5000 მ.** გიული დეკანაძე (ვანი, 18.38,60). **4X100** მ. ქუთაისი — 51,66. **4X400.** 1. ახალციხე — 4.19,80, 2. ჭიათურა — 4.29,90. **სამხტომი.** ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი, 12.00). **სიმაღლე.** ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი, 1.40). **სიგრძე.** 1. მაია გოგოლაძე (თბილისი, 5.36), 2. ნანა კაშია (ქუთაისი, 5.36), 3. სალომე აბშილავა (ზუგდიდი, თბილისი, 5.29). **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 13,41), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 10,24), 3. ანა კაშია (ქუთაისი 9.94). **ბადრო.** 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 45,85), 2. ქეთევან ჩაგანავა (ფოთი, 29,90), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 23,80). **შუბი.** 1. ქეთევან ჩაგანავა (ფოთი, 35,25), 2. ანა უთიაშვილი (თბილისი, 33,05), 3. ნათია გიგაური (თელავი, 32,18).

**ვაჟები. 100 მ.** 1. დმიტრი ვლოშჩენკო (ისრაელი, 10,32), 2. რამ მორი (ისრაელი, 10,56), 3. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 10,67). **110 მ. თარჯრბენი.** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 13,60), 2. ნიკა ბატანაგოვი (ქუთაისი, 16,28), 3. დავით მორჩიაშვილი (ქუთაისი, 18,28). **200 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 21,74), 2. დენის ჟვანია (ზუგდიდი/თბილისი, 22,00), 3. გიორგი ანთელიძე (თბილისი, 22,04). **400 მ. თარჯრბენი.** 1. აიადი მაჯდოები (ისრაელი, 54,00), 2. გიორგი ანთელიძე (თბილისი, 54,13), 3. ნიკა ბატანაგოვი (ქუთაისი), 57,78). **800 მ.** 1. თენგიზ ლვინჯილია (თბილისი, ზუგდიდი, 1.52,28), 2. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 1.53,28), 3. თემურ ბაიკეევი (თბილისი, 1.53,71) **1500 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 3.59,04). 2. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 3.59,53), 3. ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი, 4.03,39). **3000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 8.41,20), 2. გიორგი შეკრელიძე (დუშეთი, 8.48,03), 3. ანატოლი ოლეინიკოვი (ლაგოდეხი, 9.15,69). **5000 მ.** 1. გიორგი შეკრელიძე (დუშეთი, 15,05,33), 2. დასტ სვონახი (ისრაელი, 15.12,28), 3, ჯეირან ხოფერია (ფოთი, 15.55,53). **4X400.** 1. თბილისი - 3.15,61, 2. ახალციხე - 3.21,40, 3. აჭარა - 3.38,94. **სამხტომი.** 1. იოხაი ჰალევი (ისრაელი, 16,05), 2. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 15,17), 3. დიმიტრი კროიტერი (ისრაელი, 14,5). **სიმაღლე.** 1. დიმიტრი კროიტერი (ისრაელი, 2.21), 2. ზურაბ გოგოჭური (თბილისი, 2,0), 3. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 1.70). **სიგრძე.** 1. იოხაი ჰალევი (ისრაელი, 7,42), 2. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი, 7.37), 3. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 6,70). **ბირთვი.** 1. ზურაბ გიგაია (მარტვ.ზუგდ., 17,44), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 16.73), 3. ბენიკ აბრამიანი (თბილისი, 16.52). **ბადრო.** 1. ფელიქს გრომაცკი (ისრაელი, 51,89), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 46,69), 3. ზურაბ გიგაია (მარტვ.ზუგ., 46,00). **შუბი.** 1. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი, 52.60), 2. კობა ჩხენკელი (ხონი, 44,74), 3. გოგა ჯიხვაია ( 41,25), **ურო.** 1. ლერი ჩიტაიშვილი (თბილისი, 62,10), 2. ბენ-შოშან შლომი (ისრაელი, 59,70).

**გუნდური I ჯგუფი**

1. თბილისი – 614
2. ახალციხე – 394
3. ქუთაისი – 340

**II ჯგუფი**

1. ჭიათურა – 115
2. ვანი – 90
3. ოზურგეთი – 75

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ საუკეთესო სპორტსმენებისთვის ოლიმპიური თამაშების მედალოსანთა სახელობის სპეციალური პრიზები დააწესა. **რობერტ შავლაყაძის** პრიზი ხვდა **დიმიტრი კროიტერს, ვიქტორ სანეევისა** — **იოხაი ჰალევს, ლევან სანაძისა** — **დავით ილარიანს, ნინო დუმბაძისა** — **სალომე რიგიშვილს, საიდა გუმბასი** — **ზურაბ გიგაიას, მაია აზარაშვილისა** — **ლიკა ლოლუას** და **ნადეჟდა დვალიშვილისა** — **ქრისტინე შალამბერიძეს.**

ვაჟა **დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები




კალათბურთი

ხორვატიის ჩემპიონატი

# ბოისამ სეზონი 11 ქულითა და ვერცხლით დაასრულა




ვლადიმერ ბოისა

**ვლადიმერ ბოისა** ბოლო ქართველი კალათბურთელია, რომელმაც სეზონი დაასრულა. მისმა "ზადარმა" ყველასათვის მოულოდნელად შინ "ციბონასთან" 69:71 დათმო და ფინალური სერია 1:3 წააგო.

მატჩის პირველმა ტაიმმა "ზადარის" გულშემატკივარს წარმატების იმედი გაუჩინა, მეოთხე პერიოდის წინ ბოისას თანაგუნდელები 54:50-ს იგებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ რაუნდში სტუმრებმა 21:15 მოიგეს და ოქროს მედლებიც ზადარშივე მიილეს.

ვოვა ბოისა "ზადარის" ვიცე-ბომბარდირი გახდა. მან 30 წუთი ითამაშა და 11 ქულა ჩააგდო (6-დან 5 ორქულიანი, 4-დან 1 საჯარიმო). 11 ქულის გარდა ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 4 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემაა.

მასპინძელთა ბომბარდირი მაკედონიელი **ტოდორ გეჩევსკი** გახდა. მან 13 ქულა ჩააგდო.

ისევე, როგორც საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობას, კონტრაქტი სეზონის დასრულებასთან ერთად ვლადიმერ ბოისასაც ამოეწურა. იმედი დავიტოვოთ, რომ იგი ახალ ხელშეკრულებას 20 ივლისამდე გააფორმებს და საქართველოს ნაკრების შეკრებას დამშვიდებული შეხვდება.

ვაჟა **სიმონიშვილი**

14-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი

# მართვემ ფრთები გაშალა

შაბათს გაიმართა 1995 წელს დაბადებულთა ეროვნული პირველობის მესამე ფინალური მატჩი. პირველი შეხვედრა ქუთაისში ადგილობრივებმა მოიგეს, ხოლო განმეორებითში "მართვემ" იყოჩაღა. მესამე, გადამწყვეტი თამაში შაბათს **ზურაბ სამხარაძის** "მართვეების" უპირატესობით დაიწყო და პირველივე პერიოდში 21-ქულიან (26:5) უპირატესობას მიაღწია.

მეორე მეოთხედში მათ სასარგებლოდ ჰანდიკაპი 30 ქულამდე ავიდა და ქვემოთ აღარც დაწეულა. საბოლოოდ 93:60 "მართვეს" სასარგებლოდ.

ბოლოს, გაგაცნობთ ჩემპიონთა შემადგენლობას: **ცეცაძე, გორდულაძე, ქემოკლიძე, პულუზაშვილი, აბულაძე, მჭედლიძე, კიკნაველიძე, კენჭიაშვილი, წიწილაშვილი, ბოლქვაძე, გაგელიძე.**

ვაჟა **სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# შაფაქიძის მეორე ტიტული აღთქმულ მიწაზე

19 წლის **მანანა შაფაქიძემ** (719) ისრაელის ქალაქ თელ ავივში ქალ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) მოიგო. ეს მანანას კარიერაში მე-4 ტიტულია, მე-2 ერთეულთა შორის. პირველი ტიტულიც მან „აღთქმულ მიწაზე" მოიპოვა, როცა შარშან, მაისში, რაანანას ტურნირი მოიგო. წყვილებში მას რაანანას და თბილისის ტურნირები აქვს მოგებული. მანანა თელ ავივში გამარჯვებისთვის 12 სარეიტინგო ქულას მიიღებს.

მეოთხედფინალში ერთ-ერთი ფავორიტის, მე-2 ნომრად განთესილი **კარენ შლომოს** (519) დამარცხების (6:3, 1:6, 6:2) შემდეგ მე-6 ნომრად განთესილმა ქართველმა კიდევ ერთი მასპინძელი შეიწირა, ტურნირის მე-3 ჩოგანი **ჩენ ასტროგო** (552) - 3:6, 6:3, 6:0. ფინალში შაფაქიძის მეტოქე ბელგიელი **სოფი კორნერო** (893) იყო, ჩვენებურს კვლავ სამი სეტის გამართვა დასჭირდა, თუმცა მან მაინც იმარჯვა - 6:2, 1:6, 7:5.

შესაძლოა, ქართული დუბლის მომსწრენიც გავხდეთ, რადგან **მაკა ჩახნაშვილი** წუხელ გალატინას (იტალია, 25 ათასი $) ტურნირის ფინალში თამაშობდა. გახსოვთ, ალბათ, ჩვენ გალატინაში ქართულ ნახევარფინალს ვვარაუდობდით. მაგრამ ის არ შედგა - ჩვენმა პირველმა ჩოგანმა და იტალიაში მე-6 ნომრით განთესილმა **ანა ტატიშვილმა** (176) მეოთხედფინალში წააგო კოლუმბიელ **კატალინა კასტანიოსთან** (297) - 5:7, 2:6. ჩახნაშვილმა კი იტალიელ **ნასტასია ბარნეტს** (531) მოუგო - 7:5, 6:1. ნახევარფინალში ჩახნაშვილმა ტატიშვილის დამარცხებისთვის შური იძია, კასტანიოს ორ სეტში მოუგო - 7:6 (6), 6:4. ფინალში მაკას მეტოქე ესპანელი **ევა ფერნანდეს-ბრუხესი** (250) იყო.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**



მანანა შაფაქიძე


გიორგი შხვაცაბაია. ლელო. 1963 წელი

# ლელოს შვილები

სპეციალური გვერდი №7 2009 წელი


რაგბის მოთამაშეები. 1913 წ[illegible] ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერჩილის თასი

## კიდევ ერთი ალიყური



დიმიტრი ბასილაია

**საქართველო-კანადა 10:42**

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი, თოდუა, გიგაური, კაჭარავა, გუგავა (ელიზბარაშვილი), მალაღურაძე, როხვაძე (სოხაძე). (1-8) პეტრიაშვილი (დადუნაშვილი), ნატრიაშვილი, ყლენტი (კაკოვინი), დათუნაშვილი (უჩავა), ურუშაძე, ლაბაძე, გუნდიშვილი, ბასილაია (ზ. მაისურაძე).

*ლ: დადუნაშვილი. გ,ს: კვირიკაშვილი.*

სინბინი: დადუნაშვილი

კანადა (15-9) პრიჩარ[illegible]ი, ფანკემპი, ჰერნი (ქისი) ფან დერ მერვე, დიუქი (ევანსი), მონრო, ფერსჰერსთი (მექი). (1-8) ტკაჩუკი, რიორდენი (პლეჩი), თაიდმენი (ვულდრიჯი), ჰოთსონი, ბურაქი (ოლთი), დალა (მუნლაითი), ქლიბერგერი, ქარპენტერი.

*5ლ: ქარპენტერი, დალა, ფან დერ მერვე, ევანსი (2). 4გ,3ს: პრიჩარდი.*

მსაჯი: გ.გარნერი (ინგლისი)

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სტარტი ჩერჩილის თასის გათამაშებაში წარუმატებელი გამოდგა. აშშ-ის ქალაქ დენვერში, ბორჯღალოსნები ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში კანადის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და 10:42 დამარცხდნენ.

მარცხი ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი ძალის მეტოქესთან, ცხადია, ცუდია. კანადელებთან წაგებას კი, რამდენიმე უსიამოვნო ნიუანსი ახლავს თან. ერთ-ერთი ალბათ დანარჩენზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მსოფლიოს კლასიფიკაციაში დიდი წვალებით ნაგროვები ქულებიდან საკმაოდ ბევრი დაგვაკლდა და მე-13 ადგილიდან ორი საფეხურით უკან დავიწიეთ. მიგვაჩნია, რომ ყველაზე მთავარი პრესტიჟია. ბოლო დროს ქართული რაგბის რენომე მსოფლიო ასპარეზზე ნელ-ნელა იზრდება. მოხვეჭილ ავტორიტეტს მოფრთხილება სჭირდება. ასეთი ტიპის ჩავარდნები კი, ჩვენი ნაკრების პრესტიჟს მნიშვნელოვნად აკნინებს.

სხვა მხრივ, სწორედ ასეთი და უფრო მაღალი დონის მეტოქეებთან ხშირი დაპირისპირებაა ის ერთადერთი სწორი გზაა, რომელიც ქართული რაგბის პროგრესს უცილობლად გამოიწვევს. ცხადია, ეს გზა სულაც არ არის ია-ვარდით მოფენილი - საკმაოდ ეკლიანია და წაგების სიმწარეც ძალზე მტკივნეულია. კანადელებთან მარცხი მეტწილად, სწორედ მაღალი დონის მეტოქეებთან თამაშის სიმწირით აიხსნება, თუმცა წაგებას სხვა ბევრი, ალბათ, უფრო მეტად მნიშვნელოვანი მიზეზებიც აქვს.

შესაძლოა, საკამათოა, მაგრამ მაინც ვიტყვი: საქართველოს ნაკრები თავისი უძლიერესი შემადგენლობით კანადის ნაკრებთან არ წააგებდა. ბორჯღალოსნებს ამ შეხვედრაში ათამდე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ეს დანაკლისი იმდენად დიდი გამოდგა, რომ ვინც ითამაშა, ერთ გუნდად შეკვრა, თამაშის დალაგება ვერაფრით შეძლო. რაგბი გუნდური თამაშია და საქართველოს ნაკრებს სწორედ გუნდურობა აკლდა.

გამოჩნდა, რომ ყოველ შემთხვევაში ამ ფორმაციის ნაკრებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს დაცვაში. ერთადერთი რაშიც ჩვენი მორაგბეები მეტოქეს ჯობდნენ, ეს შერკინებაა, ოღონდ სტატიკურ მდგომარეობაში. მორკინალების მიერ მოპოვებული უპირატესობის გამოყენება, როგორც აღმოჩნდა, არ გვცოდნია. კანადელთა შერკინება, ჩვენგან განსხვავებით, ბევრად უფრო მობილური და აგრესიული იყო, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაშისას. გვაჯობეს მიწაზე, რაკში თამაშითაც.

ყველაზე თვალში საცემი იყო მეტოქის უპირატესობა ხელდახელ ბურთაობაში, რომელშიც ჩვენ უკვე დიდი ხანია, ტრადიციულად მოვიკოჭლებთ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ნაკრებში ორი მორაგბის დებიუტი შედგა. ერთ-ერთ მათგანს, ცხრა ნომერ **გიორგი როხვაძეს** სანაკრებო პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია. ჯერ კიდევ აქვს თავის გამოჩენის შანსი პირველხაზელ **ზერო პეტრიაშვილს**, ისევე როგორც ნაკრების თითოეულ წევრს.

ყველაზე არასასიამოვნო კი ისაა, რომ კანადამ ჩერჩილის თასის ყველა, ექვსივე გათამაშებაში იასპარეზა და პირველი გამარჯვება საქართველოს ნაკრებთან მოიპოვა.

მორიგი შეხვედრა 14 ივნისს ირლანდიის A ნაკრებთან არანაკლებ რთული იქნება. ამ მატჩის შედეგი რეიტინგზე არ აისახება, მაგრამ დიდი ალბათობაა იმისა, რომ მარცხის შემთხვევაში, მეტოქედ აშშ-ის ნაკრები გვერგოს. აქ კი, ისევ სარეიტინგო ქულებისა და პრესტიჟისთვის მოგვიწევს ბრძოლა.

| ჩერჩილის თასი | |
|---|---|
| ინგლისი A-არგენტინა A | 28:20 |

**დარჩენილი მატჩები**

**10 ივნისი**

ირლანდია A - კანადა
არგენტინა A - აშშ

**14 ივნისი**

საქართველო - ირლანდია A
ინგლისი A - აშშ

**21 ივნისი**

ფინალი

შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია

## ისევ მესამე



საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის სერიის მორიგ ეტაპზე უკრაინის ქალაქ ოდესაში მესამე ადგილი დაიკავა, რისთვისაც 14 ჩამთვლელი ქულა მიიღო. ჩვენმა მორაგბეებმა საერთო ჩათვლაში, ორი ეტაპის ჯამში 28 ქულა დააგროვეს, რაც, სავარაუდოდ, ფინალურ ეტაპზე გასვლისათვის, რომელიც გერმანიის ქალაქ ჰანოვერში გაიმართება, საკმარისი უნდა იყოს.

ოდესაში ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფურ ტურნირში ყველა მეტოქე მშრალი ანგარიშით დაამარცხა და პირველ ადგილზე გავიდა. ნახევარფინალში რუსეთის ნაკრები გვერგო, რომელთანაც სამწუხაროდ - 0:17 დავმარცხდით. მესამე ადგილისთვის მატჩში კი, რუმინელთა გუნდი ასევე მშრალი ანგარიშით - 24:0 დავამარცხეთ.

**საქართველოს ნაკრები**

დავით ბოლღაშვილი (ლილი), შალვა სუთიაშვილი (მასი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), დავით ჟამუტაშვილი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, დავით ჩიტიძე (ყველა ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა, გიორგი ბეგაძე (ორივე ვისოლი ყოჩები), გირგი შკინინი (ხულიგანა),

| ევროპის სერია. ოდესა. | |
|---|---|
| საქართველო-შვეიცარია | 50:0 |
| საქართველო-საბერძნეთი | 39:0 |
| საქართველო-რუმინეთი | 22:0 |
| საქართველო-პოლონეთი | 36:0 |
| **ნახევარფინალი** | |
| საქართველო-რუსეთი | 0:17 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| საქართველო-რუმინეთი | 24:0 |

## ლოგიკური დასასრული

**ლელო-ხარები 28:11**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, მანჯავიძე, კოლელიშვილი, ჭინჭარაული, გ.კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (ყალიჩავა 24), ჭყონია (სუჯაშვილი 69), მირცხულავა, ჯალაღანია, ვ. მაისურაძე, ი. მაისურაძე (სარდანაშვილი 61), იორდანიშვილი, აზალაძე.

*3ლ: ვ.მაისურაძე, გ.კაჭარავა, ყიასაშვილი. 3ს,2გ: ყიასაშვილი.*

ხარები (15-9) ნიკლაური, შუბითიძე, ბებიაშვილი (კაპანაძე 42), ჭაავა, თვაური, ლობჟანიძე, სამსონიძე. (1-8) გაგნიძე, ალაშვილი, ცინაძე (ბასილაშვილი 23), მაჭარაშვილი, კობერიძე, გოგიაშვილი (ხუციშვილი 47), ქარუხნიშვილი, ცხადაძე.

*ლ: შუბითიძე. 2ს: ჭაავა.*

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა გათამაშების ლიდერმა თბილისის „ლელომ". ამჯერად ლელოელების „მსხვერპლი" მოქმედი ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივის" ერთადერთი მძლეველი რუსთავის „ხარები" იყო. შეხვედრა მასპინძლებმა - 28:11 მოიგეს.

დაძაბული, თითქმის თანაბარი ბრძოლა მხოლოდ მატჩის პირველ ნახევარში გამოვიდა. ცხადია, არაფრით გვინდა რუსთაველთა გუნდის დაკნინება, მაგრამ ფაქტია, „ლელომ", რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაბალანსებული გუნდია, მეტოქე არასათანადოდ შეაფასა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულის სხვაობით მოიგო.

ანგარიში მატჩში რუსთაველმა მორაგბეებმა საჯარიმოდან გახსნეს. ზუსტად ლელოელთა კარი **მანუჩარ ჭაავამ** დალაშქრა - 3:0. მასპინძლებმა ოთხ წუთში ანგარიში **ირაკლი ყიასაშვილის** საჯარიმოთი გაქვითეს - 3:3. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე უცვლელად შენარჩუნდა. გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი ახერხებდა.

38-ე წუთზე „ლელომ" შეტევა მოედნის ცენტრიდან წამოიწყო და მარცხნივ, მოკლე ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შექმნა. მესამეხაზელმა **ლექსო იორდანიშვილმა** ხაზი გაჭრა და კიდევ უფრო მარცხნივ, კიდესკენ მეორეხაზელ **ვახტანგ მაისურაძეს** გაატანა ბურთი. ამან ლელო ზედ ალამთან გაიტანა. საკმაოდ რთული პოზიციიდან ყიასაშვილს გარდასახვა გაუცუდდა - 8:3.

გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება „ლელომ" მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში მოახერხა. 46-ე წუთზე ჯერ ყიასაშვილმა დაარტყა საჯარიმო ზუსტად - 11:3. მერე კი, სამ წუთში, ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** იყოჩაღა. ყიასაშვილმა გარდასახა და სხვაობა ანგარიშში 15 ქულამდე გაიზარდა - 18:3.

ცხადია, „ხარებს" ბრძოლა არ შეუწყვეტია. შვიდ წუთში ჭაავამ საჯარიმოდან კიდევ ერთხელ გაიტანა, თუმცა ყიასაშვილმა მალევე საჯარიმოთივე უპასუხა - 21:6.

მატჩის ბოლო ოც წუთში მეტოქეებმა კიდევ თითო ლელო გაცვალეს და შეხვედრა ლოგიკურად ლელოელების გამარჯვებით დასრულდა - 28:11.

| V ტური | |
|---|---|
| აკადემია-ბათუმი XV | 13:15 |
| აია-უნივერსიტეტი | 25:0 |
| ვისოლი ყოჩები-ლოკომოტივი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 4 | 4 | 0 | 0 | +83 | 8 |
| 2.ბათუმი XV | 6 | 4 | 0 | 2 | +13 | 8 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | +6 | 6 |
| 4.აკადემია | 6 | 3 | 0 | 3 | -3 | 6 |
| 5.ვისოლი ყოჩები | 3 | 2 | 0 | 1 | +14 | 4 |
| 6.ხარები | 6 | 2 | 0 | 4 | -47 | 4 |
| 7.აია | 5 | 1 | 0 | 4 | +2 | 2 |
| 8.უნივერსიტეტი | 4 | 0 | 0 | 4 | -68 | 0 |

ქალთა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი

## სამი მოგება, სამი წაგება და მეექვსე ადგილი



საქართველოს ქალთა რაგბის გუნდმა ბოსნიაში, ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის გათამაშებაში იასპარეზა და მე-6 ადგილი დაიკავა. ჩვენმა გოგონებმა ტურნირის B ჯგუფში ოთხი შეხვედრიდან ორი მოიგეს და მესამე ადგილი დაიკავეს.

მეხუთე ადგილისთვის ანუ ფარისთვის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდი დაამარცხა - 14:5. ფინალში კი უკრაინელ მორაგბეებთან დამარცხდა - 7:10.

საქართველოს ნაკრები:

ნინო ელოშვილი, შორენა გამსახურდია, რუსუდან გამსახურდია, მარეხ მაისურაძე, მაკა ტყებუჩავა, ანა პოლოსიანი, მარიამ ქველაძე, თამარ ჩხუბიანაშვილი, ნათია ბალარჯიშვილი, ქეთევან ქობალია, ბელა გოგსაძე.

| ევროპის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **B დივიზიონი** | |
| საქართველო-დანია | 14:17 |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 12:10 |
| საქართველო-სლოვენია | 33:5 |
| საქართველო-პოლონეთი | 12:15 |
| **მე-5 ადგილისთვის.** | |
| **ნახევარფინალი** | |
| საქართველო-ბოსნია | 14:5 |
| **ფინალი** | |
| საქართველო-უკრაინა | 7:10 |

ლეგიონერები

## ათი ფინალი, ათი მარცხი

საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში, საქართველოს ნაკრების პირველხაზელის **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რეგულარული გათამაშების გამარჯვებულს „პერპინიანს" დაუპირისპირდა და 22:13 დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ „კლერმონმა" თავისი ისტორიის განმავლობაში ფინალში ათჯერ გააღწია და ათივეჯერ მარცხი განიცადა. ზირაქაშვილი ზემოაღნიშნულ შეხვედრაში ტრავმირებული **მარტინ სკელცოს** ნაცვლად 31-ე წუთიდან ჩაერთო. დათომ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში, „კლერმონის" შემადგენლობაში, შარშან და წლეულს, ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ მიზნის მიღწევამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ივნისის ტესტები

# ვოლაბებმა ბარბაროსებს კუდით ქვა ასროლინეს

საშინაო ჩემპიონატებისა და სანაკრებო ოფიციალური შეხვედრების დასრულების შემდეგ, ტრადიციული სარაგბო ტესტების დროც დადგა. უკვე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული მაინც ავსტრალიელთა მიერ „ბარბაროსების“ გამანადგურებელი ანგარიშით ძლევაა - 55:7.

სიდნეიში ვოლაბებმა „ბარბაროსებს“, რომელთა შემადგენლობაც საკმაოდ სერიოზული იყო, კუდით ქვა ასროლინეს. მასპინძლებმა მეტოქეს რვა ლელო გაუტანეს. აღსანიშნავია, რომ აქედან სამი შეცვლაზე შესული მორაგბეების ანგარიშზეა, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ავსტრალიელთა ამოუწურავ შესაძლებლობებზე.

მორიგ შეხვედრაში ავსტრალიის ნაკრები 13 ივნისს იტალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, რომელსაც ცნობილი სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი **ნიკ მალეტი** თავკაცობს.

ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო, ალბათ, მომავალი მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც 2011 წელს ზელანდიაში გაიმართება, საქართველოს ნაკრების პოტენციური მეტოქეების, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებების დაპირისპირება იყო. შეგახსენებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბორჯღალოსნებმა ერთა თასზე პირველი ადგილი შეინარჩუნეს, მსოფლიო თასის გათამაშებაში სწორედ ზემოთ აღნიშნულ გუნდებთან მოხვდებიან ჯგუფში.

ინგლისელებმა მეტოქეს მანჩესტერში, „ოლდ ტრაფორდზე“ უმასპინძლეს და 37:15 დაამარცხეს. შეხვედრაში ორი ლელო მასპინძელთა ფულ ბეკმა **დელონ არმითიჯიმ** გაიტანა, თუმცა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ნაკრების დებიუტანტი **მეთ ბენეჰენი** დაასახელეს, რომელმაც დებიუტი ლელოთი აღნიშნა. ყველაზე მეტი, 22 ქულა **მარტინ ჯონსონის** სამწყსოს ათმა ნომერმა **ენდი გოდიმ** მოუტანა. მან ოთხი საჯარიმო, ორი გარდასახვა და ორიც დიდოსტატური არეკნი გაიტანა.

არგენტინელთა რიგებში, რომელთაც რამდენიმე წამყვანი მორაგბე აკლდათ, საუკეთესო ათი ნომერი **ხუან მარტინ ერნანდესი** იყო, მის ანგარიშზე 15 ქულაა - ოთხი საჯარიმო და ერთი არეკნი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელებსაც ძირითადი შემადგენლობის ცხრა მოთამაშე აკლდათ, რომლებიც „ბრიტანელ ლომებს“ სამხრეთაფრიკულ ტურნეში გაჰყვნენ.

ჩიკაგოში, „ტოიოტა პარკზე“ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა უელსთან ვერაფერი გააწყო - 15:48. ამერიკელები ჩერჩილის თასის გათამაშების მასპინძლები არიან და ოთხშაბათს პირველ შეხვედრას არგენტინის A ნაკრებთან გამართავენ. ამასთან გამორიცხული არ არის, არწივები ამ ტურნირზე, გზად საქართველოს ნაკრებსაც გადაეყარონ.

თუ უელსელებთან შეხვედრას ამ კონტექსტში განვიხილავთ, ბორჯღალოსნების განსაკუთრებულ ყურადღებას შუამარბი **ალიპატე ტაუილევაკა**, გარემარბი და ძირითადი დამრტყმელი **კევინ დე ბარტალო**, ათი ნომერი **ატა მალიფა** და მესამეხაზელი **ჯეი ჯეი გაჯიანი** იმსახურებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ივნისის ტესტები

**აშშ-უელსი 15:48**

**აშშ:** 2ლ - ტაუილევაკა, გაჯიანი. ს,გ - დე ბარტალო

**უელსი:** დევისი (2), ჯეიმსი, ჯოუნსი, კოპერი, საჯარიმო. 6გ - რობინსონი (3), ჯეიმსი, ბიგარი (2). 2ს: რობინსონი.

**ინგლისი-არგენტინა 37:15**

**ინგლისი:** 3ლ - არმითიჯი (2), ბენეჰენი. 4ს,2გ,2ა -გოდი

**არგენტინა:** 4ს,ა - ერნანდესი

**ავსტრალია-ბაროსები 55:7**

**ავსტრალია:** 8ლ - მიტჩელი (2), ჰორვილი, გიტო, მური, პოკოკი, ალექსანდერი, ოკონორი. 5გ - გიტო (3), მორთლოქი (2). ს: გიტო

**ბარბაროსები:** ლ - ბოლშო. გ - მაკალისტერი.

**ბრიტ. ლომები-ჩიტაზი 26:24**

**ბრიტანელი ლომები:** 2ლ - ეარსი (2). 4ს,2გ - ჰუკი.

**ჩიტაზი:** 3ლ - დემასი, დუ პრიზი, უაიზი. 3გ,ს: პოტგიტერი.


სტირლინგ მორთლოქი სამი ბარბაროსის წინააღმდეგ

ფორმულა 1. თურქეთის გრან-პრი

# ბატონმა თურქული ტრადიცია დაარღვია




**ჯენსონ ბატონის** მორიგი ტრიუმფის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ბრიტანელ პილოტს წელს ნებისმიერ სირთულესთან გამკლავება და ფინიშზე პირველი მისვლა შეუძლია. თურქეთის გრან-პრის არცთუ ისე ხანგრძლივ ისტორიაში ასეთი ტრადიცია არსებობდა - რბოლას ის პილოტი იგებდა, ვინც წინა დღეს კვალიფიკაციაში პირველ ადგილს დაიკავებდა. ბატონმა ეს ტრადიციაც დაარღვია - კარგად ისარგებლა „რედ ბულის“ პილოტ **სებასტიან ფეტელის** შეცდომით და რბოლის დასაწყისშივე ხელთ იგდო ლიდერობა, რომელიც ფინიშამდე დამაჯერებლად შეინარჩუნა. რაც შეეხება ჯენსონის თანაგუნდელ **რუბენს ბარიკელოს**, მან ჯერ სტარტი ჩააგდო, შემდეგ მთლიანად რბოლა, რითაც ბატონის ლიდერობა საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა.

„რედ ბულის“ მინი-დუბლი წარმატებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ ამ გუნდს მეტის მიღწევა სურს, მომავალ რბოლებში აუცილებლად უკეთ უნდა დაგეგმოს სტრატეგია. **მარკ უებერისა** და მისი სარბოლო ინჟინრის მიმართ პრეტენზიები ნაკლებია - ავსტრალიელმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეორე სასტარტო ხაზიდან ეტაპი მეორე ადგილზე დაესრულებინა. აი, ფეტელის მესამე ადგილი წარუმატებლობად უნდა შეფასდეს. ამაში დამნაშავე თავად გერმანელია, რომელიც პირველ წრეზე ტრასიდან გადავიდა და ბატონი გაექცა. აგრეთვე ის ადამიანები, ვინც სება სამი პიტსტოპის ტაქტიკაზე გადაიყვანა. თუ „რედ ბული“ კიდევ აპირებს ტიტულისთვის ბრძოლას, მომავალში მსგავსი შეცდომები აღარ უნდა დაუშვას.

„ტოიოტამ“ შეინარჩუნა ჩემპიონატის მესამე გუნდის სტატუსი. ზედიზედ ორი წარუმატებლობის შემდეგ, **იარნო ტრულიმ** მეოთხე ადგილი დაიკავა, **ტიმო გლოკმა** - მერვე. კარგად იმუშავა „ტოიოტას“ ინჟინრების მიერ შემოთავაზებულმა სიახლეებმა. სასიამოვნოა, რომ მონაკოში განცდილი გრანდიოზული ფიასკოს შემდეგ, იაპონური საჯინიბო არ დანებდა და მიზანმიმართულად გააგრძელა ბოლიდის განვითარებაზე მუშაობა - ამან „ტოიოტას“ კონსტრუქტორთა ჩათვლაში ექვსი ქულა მოუტანა.

კარგი რბოლა გამართა **ნიკო როსბერგმა**. გერმანელის მეხუთე ადგილმა უნდა გაამხნევოს „უილიამსი“ და დამატებითი ძალები შესძინოს ლიდერთა რიგებში დაბრუნებისთვის.

ისევ საკამათო რბოლა გამართა „ფერარიმ“. ერთი მხრივ, არც ისე ცუდ შედეგს მიაღწია **ფელიპე მასამ**, რომელმაც მეექვსე პოზიცია მოიპოვა, მაგრამ მეორე მხრივ, **კიმი რაიკონენის** ბოლიდთან დაკავშირებულ პრობლემებს კარგ ხასიათზე არ უნდა დაეყენებინა „სკუდერიას“ შეფობა და გულშემატკივრები. **სტეფანო დომენიკაის** ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს ძველი პოზიციების დასაბრუნებლად.

თითქმის ანალოგიური პრობლემები აქვს „BMW-ზაუბერსაც“. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ **რობერტ კუბიცას** გამოსვლა, რომელმაც მეშვიდე ადგილი დაიკავა და სეზონში პირველი ქულები მიითვალა. რბოლის ბოლოს პოლონელი აყოვნებდა უფრო სწრაფ „ტოიოტას“, მაგრამ მაინც არ გაატარა წინ გლოკი.

„რენომ“ სრულად დაიმსახურა **ფერნანდო ალონსოს** მეცხრე ადგილი. თუ კვალიფიკაციაზე ცარიელი ავზით ესპანელმა მაინც მოახერხა პირველ რვა პილოტს შორის შესვლა, რბოლაში ფერნანდომ კანონზომიერად დაიხია უკან. ალბათ, ფრანგულმა გუნდმა უნდა აღიაროს, რომ R29 ის ავტომობილი არ არის, რომელიც განვითარებასა და დახვეწას იმსახურებს - ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვა.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ სეზონში „მაკლარენის“ პილოტების ძირითადი საქმე „ტორო როსოსა“ და „ფორს ინდიას“ პილოტებთან ბრძოლა იქნებოდა?! რბოლის დროს **ლუის ჰემილტონს** ერთი პიტსტოპის რისკიანი ტაქტიკა შეურჩიეს, მაგრამ გუნდის ამ მიგნებამ არ გაამართლა და საკმაოდ სწრაფად, მძიმე მანქანითა და რბილი საბურავებით ინგლისელმა ერთი მეორის მიყოლებით გაატარა წინ კონკურენტები. გასაკვირიც კია, რომ მან თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენზე** მაღალი ადგილი დაიკავა.

ახლა მორიგი ორკვირიანი პაუზაა, რის შემდეგაც 21 ივნისს ბრიტანეთის გრან-პრი გაიმართება.

**გია თვალაბეიშვილი**

### თურქეთის გრან-პრი. VII ეტაპი

**სტამბოლი (58 წრე, 309.396 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(2). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | 1:26.24,848 (2 პიტსტოპი) |
| 2(4). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +6,714 (2) |
| 3(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +7,461 (3) |
| 4(5). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +27,843 (2) |
| 5(9). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +31,539 (2) |
| 6(7). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +39,996 (2) |
| 7(10). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +46,247 (2) |
| 8(13). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +46,959 (2) |
| 9(6). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +50,246 (2) |
| 10(8). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +1.02,420 (2) |
| 11(11). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +1.04,327 (2) |
| 12(12). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +1.06,376 (2) |
| 13(16). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.20,454 (1) |
| 14(14). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 15(18). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე (2) |
| 16(17). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | 1 წრე (2) |
| 17(15). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 18(20). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | 1 წრე (1) |
| 19(3). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | 11 წრე (3) |
| 20(19). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 54 წრე (1) |

საუკეთესო წრე: ფელიპე მასა - 1.27,579 (219.422 კმ/სთ); 40-ე წრე

**საერთო ჩათვლა**

1. ჯენსონ ბატონი - 61 ქულა; 2. რუბენს ბარიკელო - 35; 3. სებასტიან ფეტელი - 29; 4. მარკ უებერი - 27.5; 5. იარნო ტრული - 19.5; 6. ტიმო გლოკი - 13; 7. ნიკო როსბერგი - 11.5; 8. ფერნანდო ალონსო - 11; 8. ფელიპე მასა - 11; 10. ლუის ჰემილტონი - 9; 10. კიმი რაიკონენი - 9; 12. ნიკ ჰაიდფელდი - 6; 13. ჰეიკი კოვალაინენი - 4; 14. სებასტიან ბუემი - 3; 15. სებასტიან ბურდე - 2; 15. რობერტ კუბიცა - 2.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ბრაუნი - 96 ქულა; 2. რედ ბული - 56.5; 3. ტოიოტა - 32.5; 4. ფერარი - 20; 5. მაკლარენი - 13; 6. უილიამსი - 11.5; 7. რენო - 11; 8. BMW-ზაუბერი - 8; 9. ტორო როსო - 5.

# რბოლა შეიძლება არ გამართულიყო

თურქეთის გუშინდელი გრან-პრი სკანდალით დაიწყო. რბოლამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) წევრთა ხელმძღვანელებისა და პილოტების შეხვედრა, რის შემდეგაც სტამბოლის ტრასის პადოკებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ FOTA-ს წევრი რვა გუნდი გუშინდელი რბოლის ბოიკოტირებას აპირებდა. მათ ამ გზით ფორმულა 1-ის 2010 წლის რეგლამენტის გაპროტესტება ჰქონდათ განზრახული. შესაბამისად, შეიქმნა იმის საშიშროება, რომ თურქეთის გრაპ-რიში ორი გუნდი მიიღებდა მონაწილეობას - „უილიამსი“ და „ფორს ინდია“. ამ საჯინიბოებმა დაადასტურეს საგაისო ჩემპიონატში მონაწილეობა და ამის გამო, ისინი FOTA-ს რიგებიდან დაითხოვეს.

შეგახსენებთ, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია მომავალი წლიდან გუნდების ბიუჯეტზე ლიმიტის დაწესებას აპირებს, რომლის ოდენობაც 60 მილიონი დოლარი იქნება. რვა საჯინიბომ ასეთი პოლიტიკის მიმართ პროტესტი გამოთქვა. მათ სურთ 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმ პირობით, რომ წესები მოდიფიცირებული იქნება.

სხდომიდან გამოსულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, „რენოს“ პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** განაცხადა, რომ ფედერაციის მხრიდან დათმობაზე არწასვლამ, შესაძლოა, ის გამოიწვიოს, რომ მეამბოხე გუნდებმა ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარებაზე იზრუნონ.

*„პირადად ჩემთვის, ის ფორმულა 1, რომელსაც საგაისოდ ჩინოვნიკები გვთავაზობენ, უინტერესო გახდება. ეს იქნება მეორეხარისხოვანი ტურნირი, დაახლოებით ფორმულა 3-ის დონისა და ჩემი აზრით, ის არ დააინტერესებს პილოტებს, სპონსორებსა და ტელევიზიებს. თუ ბოლიდების კონსტრუქტორები ვერ მიიღებენ ნორმალურ ჩემპიონატში გამოსვლის საშუალებას, ისინი პარალელური ტურნირის ორგანიზებაზე იზრუნებენ. ის ოფიციალურ ჩემპიონატზე პოპულარული გახდება, რადგან სწორედ აქ იქნება კონცენტრირებული საუკეთესო ტექნოლოგიები, უსწრაფესი ავტომობილები და ფორმულა 1-ის საუკეთესო პილოტები გამოვლენა“,* - ამბობს ალონსო.

ასე რომ, FOTA-ს უკვე პილოტებიც უჭერენ მხარს, შესაბამისად, ფედერაციის პოზიციები კიდევ უფრო სუსტდება, თუმცა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი **მაქს მოსლი** უკან დახევას არ აპირებს.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

კრივი

## ვლადიმერ კლიჩკომ ჩაგაევი აირჩია



20 ივნისს საფეხბურთო კლუბ „შალკეს“ „ფელტინს-არენაზე“ მაინც გაიმართება სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლა. სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა (IBF/IBO/WBO) **ვლადიმერ კლიჩკომ** გადაწყვიტა ბრიტანელი **დევიდ ჰეის** ნაცვლად უზბეკ **რუსლან ჩაგაევს** შეებრძოლოს. შეგახსენებთ, რომ ჰეიმ ვარჯიშისას ხელის ტრავმა მიიღო და ამის გამო თქვა უარი უკრაინელ ჩემპიონთან შეხვედრაზე.

რუსლან ჩაგაევი **ნიკოლაი ვალუევთან** ერთად WBA-ის ტიტულის თანამფლობელია. ამ მოკრივეებს შორის ბრძოლა ერთი კვირის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ის შეხვედრაც ჩაიშალა, რადგან ჩაგაევს B ჰეპატიტი აღმოაჩნდა. რუსმა ვალუევმა არ მოისურვა ჰეპატიტის აცრის გაკეთება და ბრძოლაზე უარი განაცხადა, რის გამოც უზბეკი მოკრივის მენეჯერთა მხრიდან „ყველაზე მხდალი მებრძოლის“ სახელი დაიმსახურა.

ჰეპატიტით დაავადების საფრთხე არ აწუხებს უმცროს კლიჩკოს, რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 20 ივნისს ჰეის ნაცვლად ჩაგაევს შეხვდება. რა თქმა უნდა, მაყურებელს კლიჩკოსა და ჰეის ფართოდ რეკლამირებული ჩხუბის ნახვა სურდა, მაგრამ არც კლიჩკო-ჩაგაევის ბრძოლა უნდა იყოს ურიგო, რადგან ფაქტობრივად ეს არის შეხვედრა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის. სუპერმძიმე წონა ასეთ ბრძოლას დიდხანს ელოდა. WBA-ის საჩემპიონო ქამარი ერთადერთია, რომელიც კლიჩკოების საოჯახო კოლექციაში არ მოიპოვება. როგორც იცით, ვლადიმერის სამი ტიტულის გარდა, **ვიტალი კლიჩკო** WBC-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტულის მფლობელია.

მიუხედავად მომავალი ბრძოლის უმაღლესი სტატუსისა, ამერიკულმა არხმა HBO-მ არ მოისურვა უმცროსი კლიჩკოსა და ჩაგაევის ბრძოლის ტრანსლირება და ახლა უკრაინული მხარე მსხვილ ამერიკულ ტელეახებთან (Showtime, ESPN და Versus) აწარმოებს მოლაპარაკებებს.

რაც შეეხება დევიდ ჰეის, როგორც გაირკვა, ტრავმირებული ხელის მკურნალობისთვის მას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ - ბრიტანელის რინგზე დაბრუნება არა 11 არამედ 25 ივლისისთვის იქნება შესაძლებელი. როგორც ჩანს, ვლადიმერი სწორედ ამის გამო არ დაელოდა ბრიტანელს და 20 ივნისს ჩაგაევთან ჩხუბი არჩია. როგორც პრომოუტერული კომპანია Golden Boy Promotions-ის გენერალური დირექტორი **რიჩარდ შაფერი** მიიჩნევს, ახლა ძალიან რთული იქნება უმცროსი კლიჩკოსა და ჰეის მორიგი ბრძოლის ორგანიზება. საქმე ის არის, რომ უკრაინელს ელის შეხვედრა რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან**, რომელიც IBF-ის ვერსიით ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტია. ასევე ვლადიმერს მოუწევს **დმიტრენკო-ჩემბერსის** ბრძოლაში (4 ივლისი) გამარჯვებულთან დაპირისპირება. ეს მოკრივეები WBO-ის ვერსიით ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსისთვის იბრძვიან. ასე რომ, ჰეის არა ვლადიმერთან, არამედ ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრის იმედი თუ ექნება.

კალათბურთი

## სპურსმა ბურუსისი მიიწვია

### კრის ბოში თავისუფალი აგენტი გახდება

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ ცენტრი **იოანის ბურუსისი**, შესაძლოა, სულ მალე „სან ანტონიო სპურსის“ რიგებში ჩაირიცხოს. NBA-ის კლუბმა ბერძენ კალათბურთელს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ბურუსისი სეზონში 4 მილიონ დოლარს მიიღებს.

25 წლის კალათბურთელის მიმდინარე კონტრაქტს ივნისის ბოლოს გასდის ვადა და „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუწყია თავის ცენტრთან მოლაპარაკებები ახალი ხელშეკრულების თაობაზე.

2008-09 წლების ევროლიგაზე ბურუსისი საშუალოდ მატჩში 12.5 ქულასა და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, „ტორონტო რეპტორზის“ ფორვარდმა **კრის ბოშმა** არ მოისურვა კანადურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება და მომავალი წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება. 2009-10 წლების სეზონში „ტორონტოს“ ლიდერის ხელფასი 15.7 მილიონი დოლარი იქნება.

*„როცა ამ კლუბთან 2006 წელს კონტრაქტს ვაგრძელებდი, კონკრეტულ მიზნებს ვისახავდი. მინდოდა, 2010 წლისთვის ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად ხელსაყრელი სიტუაცია მიმეღო. ახლა, ჩემი სურვილია, 2010 წელს თავისუფალი აგენტი გავხდე და მაქსიმალურ კონტრაქტს გამოვკრა ხელი“*, - ამბობს ბოში, რომლის წლევანდელი სტატისტიკური მაჩვენებლები 22.7 ქულას, 10.0 მოხსნასა და 2.5 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

■ ■ ■

„ჰიუსტონ როკეტსის“ ცენტრალური თავდამსხმელი **იაო მინი** ჩინურ მულტფილმში („ჯადოსნური ასტრა“) ერთ-ერთ გმირს გაახმოვანებს. მინის ხმით ილაპარაკებს მთავარი გმირის მამა. ეს არის კლასიკური ჩინური ზღაპარი სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაზე.

ადრე „როკეტსის“ ჩინელი ვარსკვლავი დოკუმენტურ ფილმში გადაიღეს. ის აგრეთვე საკუთარ თავს ახმოვანებდა „სიმპსონების“ ანიმაციურ სერიალში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი

## განადგურებული პინგვინები



სტენლის თასის მფლობელ „დეტროიტს“ ერთი გამარჯვება სჭირდება შარშანდელი შედეგის გასამეორებლად. ფინალური სერიის მონაწილეები გუშინ დეტროიტში დაბრუნდნენ და „რედ უინგზმა“ საკუთარ მოედანზე მესამედ დაამარცხა „პინგვინზი“.

„დეტროიტს“ პერიოდ-ნახევარი დასჭირდა მეტოქის გასანადგურებლად. მეორე პერიოდის შუაში ანგარიში 5:0 გახდა და მატჩის დანარჩენი დრო უბრალო ფორმალობად გადაიქცა.

„პიტსბურგმა“ სასტარტო შტურმით სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება, თუმცა, სტუმართა ახალგაზრდა ჰოკეისტების მონდომებას **კრის ოსგუდის** კართან რეალური მომენტი არ მოჰყოლია. ყველაფერი „დეტროიტის“ პირველმა გოლმა შეცვალა, რომელიც **კლირიმ** გაიტანა. მასპინძელთა ფორვარდს ასისტენტობა **დაციუკმა** გაუწია. რუსი ჰოკეისტი ტრავმის გამო 19 მაისიდან არ თამაშობდა და მხოლოდ ახლა დაუბრუნდა გუნდს. რეგულარულში „რედ უინგზის“ საუკეთესო ბომბარდირი დროულად შეეშველა „დეტროიტს“ და ორი შედეგიანი პასით გუშინდელი მატჩის მეორე ვარსკვლავი გახდა.

კლირის გოლის შემდეგ, „რედ უინგზი“ დომინირებდა. მასპინძლების უპირატესობა მეორე პერიოდის პირველ ათ წუთში გატანილ ოთხ გოლში გამოიხატა. ამის შემდეგ „პიტსბურგმა“ მეკარე **ფლერი გარონით** შეცვალა, რომელსაც ნაკლები სამუშაო არ ჰქონია და ყველა დარტყმა მოიგერია. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა. „დეტროიტმა“ იოლად შეინარჩუნა ხუთშაიბიანი უპირატესობა და ისევ დაწინაურდა სერიაში.

ახლა გუნდები პიტსბურგის „მელონ არენაზე“ გადაინაცვლებენ. შეიძლება განმეორდეს შარშანდელი სიტუაცია, როცა სერიის მეექვსე მატჩში სწორედ ამ არენაზე დაეუფლა სტენლის თასს „დეტროიტი“.

**დეტროიტი-პიტსბურგი 5:0**

1:0, 4:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კლირი-9 (დაციუკი-7, რაფალსკი-9), 2:0 ფილპულა-3 (მარიან ჰოსა-9, ოსგუდი-2), 3:0 კრონვალი-2 (ფრანცენი-11, ზეტერბერგი-13), 4:0 რაფალსკი-3 (დაციუკი-8, ლიდსტრიომი-10), 5:0 ზეტერბერგი-11 (ჰუდლერი-7, სამუელსონი-5).

სერია: 3:2

კალათბურთი

## კლივლენდს შაკი მოუნდა, შაქს ლეიკერსი

ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე აქტუალური იქნება „ფინიქს სანზის“ ცენტრი **შაკილ ო'ნილი**. ლეგენდარული კალათბურთელის მოქმედ კონტრაქტს 2009-10 წლების სეზონის შემდეგ გასდის ვადა და ლიგის ბევრი მენეჯერის აზრით, რამდენიმე კლუბი მოინდომებს შაკის გადაბირებას. მათ შორის არის „კლივლენდ კავალიერზი“, რომელიც ზამთარში აწარმოებდა მოლაპარაკებას ვეტერანი ცენტრის შეძენის თაობაზე და ახლა კიდევ ერთხელ განიხილავს მისი გადაბირების შესაძლებლობას.

„კლივლენდ კავალიერზის“ გენერალური მენეჯერი **დენი ფერი** ახალი სეზონისთვის მაქსიმალურად ეცდება შემადგენლობის გაძლიერებას, რადგან გუნდის ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ბოლო სეზონს ჩაატარებს „კლივლენდის“ შემადგენლობაში, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობას გაისად ჩემპიონობის მოპოვება აქვს დაგეგმილი.

ამ ინფორმაციის პარალელურად, რამდენიმე წყაროს ცნობით ირკვევა, რომ შაკს ყოფილ კლუბში - „ლეიკერსში“ სურს დაბრუნება, სადაც თავის დროზე NBA-ის სამი ტიტული მოიგო. სწორედ ამიტომაც, ბოლო სეზონში „ფინიქსის“ ცენტრი შეეცადა გამოესწორებინა ურთიერთობა კალიფორნიული კლუბის ლიდერ **კობი ბრაიანტთან**.



შაკმა „ლეიკერსში“ რვა სეზონი გაატარა და აქედან ოთხჯერ ფინალში ითამაშა. „მაიამიში“ მისი გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კობისთან უთანხმოება გახდა.

გასულ სეზონში ო'ნილის სტატისტიკა 17.8 ქულას, 8.4 მოხსნასა და 1.4 დაფარებას შეადგენდა.

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| ევრობასკეტი | |
|---|---|
| **ქალები** | |
| უკრაინა-სლოვაკეთი | 55:77 |
| ლიტვა-სერბეთი | 71:49 |
| საბერძნეთი-უნგრეთი | 59:43 |
| ბელარუსი-ისრაელი | 81:76 |
| ესპანეთი-ჩეხეთი | 66:59 |
| რუსეთი-თურქეთი | 74:61 |
| იტალია-საფრანგეთი | 61:76 |
| ლატვია-პოლონეთი | 86:52 |

| გერმანია | |
|---|---|
| **პლეი ოფი** | |
| ალბა-ტელეკომი | 65:39 |
| ოლდენბურგი-ბროსე | 88:85 (ო) |
| **ესპანეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ტაუგრესი-რეალი | 89:80 |
| ბარსელონა-უნიკახა | 86:78 (ო) |
| **საფრანგეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ორლეანი-ლე მანი | 76:75 |

TV პროგრამა

**8 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
08:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი.
10:10 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-ლიხტენშტაინი.
18:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:30 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
00:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
02:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:50 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ეინდჰოვენი.
05:40 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.

**EUROSPORT**

10:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ტელეჟურნალი.
11:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. სვეტლანა კუზნეცოვა-დინარა საფინა.
13:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. კაცები. ფინალი. როჯერ ფედერერი-რობინ სოიდერლინგი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. II ეტაპი. ნანსი-დიჟონი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
22:35 ავტოსპორტი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩის მიმოხილვა.
02:30 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. II ეტაპი. ნანსი-დიჟონი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ახალი ამბავი.
12:00 რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). სამოა-შოტლანდია. იაპონია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრიტანეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
15:15 ახალი ამბები.
15:45 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ბრიტანეთი.
16:15 კრიკეტი. World Twenty 20. ჯგუფური ტურნირი. ირლნდია-ბანგლადეში. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
20:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
20:45 ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-კატარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-რუმინეთი.
23:45 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-დანია.
00:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:15 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

როლან გაროსი

# როჯერის ცრემლები

**როჯერ ფედერერის** ოცნება ახდა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, როგორც იქნა, მოიგო ის ტურნირი, რომელიც პრიზების მრავალფეროვანი კოლექციის შესავსებად აკლდა. წინა სამი წელი შვეიცარიელს როლან გაროსზე **რაფაელ ნადალი** ელობებოდა. ამჯერად როჯერს ესპანელი ჩოგბურთელი შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** ჩამოაშორა. სწორედ ის იყო გუშინდელ ფინალში ფედერერის მეტოქე.

მართალია, ნადალის გარდა, სიოდერლინგმა ფინალამდე სხვა ძლიერი ჩოგბურთელებიც (**დავიდენკო, გონსალესი**) დაამარცხა, მაგრამ თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ამჯერად ფედერერი შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და კარიერაში პირველად მოიგებდა როლან გაროსს.

ასეც მოხდა. ფინალის დაწვრილებით აღწერა არ ღირს. თავიდან სიოდერლინგს თითქოს ქარიშხალმა გადაუარა, 29 წუთში დათმო პირველი სეტი. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში გაუმართა ბრძოლა მონინააღმდეგეს და ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, მაგრამ იქ როჯერის მორიგი „აფეთქება" ვიხილეთ. „შემოკლებულ" გეიმში ფედერერმა ოთხი ეისი ჩააწოდა, კიდევ სამი ქულა მეტოქის მოწოდებაზე აიღო და 7:1 გაიმარჯვა. დაიწყო მესამე სეტი - პირველივე გეიმში შვეიცარიელმა ბრეიკი გააკეთა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ეს იყო და ეს. სოდერლინგს წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონია და, ალბათ, გუშინ ფედერერს ვერც სხვა ვინმე გაუწევდა კონკურენციას, რადგან შვეიცარიელი არანორმალურად მოტივირებული გავიდა კორტზე.

*„შესაძლოა, ეს ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა კარიერაში. კოლოსალურ ზეწოლას ვგრძნობდი, მაგრამ შევძელი ამის გაკეთება. ეს ფენომენალური მიღწევაა. ახლა ველარავინ მეტყვის, რომ არასოდეს მომიგია როლან გაროსი"*, - განაცხადა მატჩის დასრულების შემდეგ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, რომელიც მთელი დაჯილდოების ცერემონიისას ცრემლებს ვერ იკავებდა.

აქვე უნდა ჩამოვთვალოთ როჯერ ფედერერის რამდენიმე მიღწევა:

- შვეიცარიელისთვის ეს იყო „დიდი სლემის" ტურნირების მე-19 ფინალი (14 მოგება - 5 წაგება). ამ მაჩვენებლით ის **ივან ლენდლს** გაუთანაბრდა (8 მოგება - 11 წაგება);
- როჯერმა ზედიზედ მეხუთედ ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. გარდა ამისა, ეს იყო მე-15 ფინალი ბოლო 16 ტურნირში (2008 წლის ავსტრალიის ღიას გარდა);
- ფედერერი მეექვსე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც „კარიერული სლემი" (სხვადასხვა დროს მოიგო ამ სერიის ოთხივე ტურნირი) შეასრულა. ბოლოს ასეთი მიღწევა **ანდრე აგასის** (1999) ჰქონდა. მანამდე მსგავსი შედეგი დააფიქსირეს: **ფრედ პერიმ** (1935), **დონ ბაჯმა** (1938), **როდ ლეივერმა** (1962) და **როი ემერსონმა** (1964);
- ფედერერი „დიდი სლემის" ტიტულების მიხედვით რეკორდსმენ **პიტ სამპრასს** გაუთანაბრდა - ორივეს 14-14 გამარჯვება აქვთ.

■ ■ ■

ქალებს შორის რუსულ ფინალში მსოფლიოს პირველმა ნომერმა **დინარა საფინამ** ზედიზედ მეორედ წააგო საფრანგეთის ღია პირველობის გადამწყვეტი მატჩი. მისმა მეტოქემ **სვეტლანა კუზნეცოვამ** კი პირველად გაიმარჯვა როლან გაროსზე და კარიერაში „დიდი სლემის" ორი ტიტულის მფლობელი გახდა. სხვათა შორის, საფინას მსგავსად, კუზნეცოვაც მეორედ თამაშობდა როლან გაროსის ფინალში - 2006 წელს აქ ბრწყინვალე ბელგიელ **ჟუსტინ ანენთან** წააგო.

ეს ჩოგბურთელები წელს მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. როლან გაროსამდე ცოტა ხნით ადრე, საფინა და კუზნეცოვა შტუტგარტისა და რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირების ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - გერმანიაში სვეტლანამ იმარჯვა, იტალიაში - დინარამ. ამის შემდეგ, საფინამ მადრიდშიც მოიგო, საფრანგეთის ღია პირველობამდე კი თიხნარზე ერთადერთი წაგებით მივიდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ფინალის ფავორიტად საფინა ითვლებოდა, მაგრამ დინარამ გადამწყვეტ მატჩში ძალიან სუსტად ითამაშა. განსაკუთრებული თამაში არც მის მეტოქეს უჩვენებია. ჩოგბურთელები ხშირად უბრძოლველად თმობდნენ საკუთარ მოწოდებებს. მაგალითად, როცა კუზნეცოვა პირველ პარტიაში სეტზე აწვდიდა, ნულზე წააგო საკუთარი გეიმი. სვეტლანას იმან გაუადვილა საქმე, რომ საფინა ვერაფრით გაუმკლავდა დაძაბულობას და ხშირად სრულიად უაზრო შეცდომებს უშვებდა.

საბოლოოდ, ფინალმა აშკარად გაუცრუა მაყურებელს იმედები, მთლიანად ტურნირმა კი დაგვანახვა, რომ ქალთა ჩოგბურთში ძველებურად ქაოსია და არ არსებობს ერთი გამოკვეთილი ლიდერი, როგორიც ბოლოს ჟუსტინ ანენი იყო. ის თამაში, რომელიც საფინამ ფინალში აჩვენა, ნამდვილად არ შეშვენის მსოფლიოს პირველ ჩოგანს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ფინალი**

**კაცები**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 23) 6:1, 7:6(1), 6:4.

**ქალები**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 7)**-დინარა საფინა (რუს, 1) 6:4, 6:2.





ფედერერის კარიერული სლემი



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა**, შესაძლოა, უიმბლდონის ტურნირი გამოტოვოს. „დიდი სლემის" სერიის რიგით მესამე ჩემპიონატში ესპანელის გამოსვლას მუხლის ტრავმა აყენებს ეჭვქვეშ. ამის შესახებ ესპანურ პრესას რაფას ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** შეატყობინა.

## უიმბლდონი ნადალის გარეშე?

*„სიტუაციას სამშაბათს შევაფასებთ. ბარსელონაში გავემგ ზავრებით და გავარკვევთ, რაში მდგომარეობს პრობლემა. განწყობა არცთუ ისე ოპტიმისტურია, თუმცა, თუ მსოფლიოს ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირში თამაშის მცირედი შანსი იქნა, რაფა აუცილებლად გამოვა ლონდონში"*, - ამბობს ტონი ნადალი.

შეგახსენებთ, რომ როლან გაროსის მეოთხე წრიდან გავარდნის შემდეგ ნადალმა უარი თქვა Queen's Club-ის ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც ტრადიციულად წინ უძღვის ხოლმე უიმბლდონს. სხვათა შორის, შარშან რაფამ Queen's Club-ზე მთავარი პრიზი მოიპოვა, რის შემდეგაც კარიერაში პირველად გაიმარჯვა უიმბლდონზე.

ცნობილია, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და ექიმებმა მისი გამიზეზების თავიდან ასაცილებლად, რაფას დასვენება ურჩიეს. ნადალი აშკარად გადაღლილი ჩანს. როლან გაროსის წინ მან **როჯერ ფედერერთან** მადრიდის მასტერსი წააგო, რის შემდეგაც საფრანგეთის ღია პირველობაზე **რობინ სიოდერლინგთან** დათმო მერვედფინალური მატჩი.

წელს უიმბლდონი 22 ივნისს დაიწყება.

## მარიას ყვირილი სახიფათოა

შვეიცარიული გამოცემა „ბლიკი" დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **მარია შარაპოვას** კორტზე ყვირილი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა.

გაზეთმა სამეცნიერო ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ ბურთის გათამაშებისას მარიას ხმის სიმძლავრე 101.2 დეციბელს შეადგენს, იმ დროს, როცა სპეციალისტებს ჯანმრთელობისთვის უხიფათო მაქსიმალურ ზღვრად 100 დეციბელი მიაჩნიათ.

„ბლიკი" ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციას (WTA) სთავაზობს, რომ შარაპოვას მატჩებზე დასასწრებ ბილეთებს შემდეგი წარწერა გაუკეთოს: *„მარია შარაპოვას ყვირილმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას"*.



ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ შარაპოვას ხმის სიმძლავრეში მხოლოდ თვითმფრინავმა და შაშხანიდან გასროლამ აჯობა, სამაგიეროდ, რუსმა ჩოგბურთელმა ელექტროხერხი დაჯაბნა.

## გასკე სამართალს ეძებს



ფრანგი ჩოგბურთელი **რიშარ გასკე**, რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კოკაინის მიღებისთვის დისკვალიფიკაცია მისცა, დანაშაულს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ნარკოტიკი არასოდეს მიუღია.

*„ცხოვრებაში არასოდეს გამომიყენებია კოკაინი. ჩემს ორგანიზმში უმნიშვნელო რაოდენობა - 150 ნანოგრამი იპოვეს. როგორც მითხრეს, ეს კოკაინის ჩვეულებრივი დოზის ერთი მეათედია"*, - ამბობს ფრანგი ჩოგბურთელი.

*„ვცდილობ, გავიგო, რა მოხდა სინამდვილეში. მანამდე მშვიდად ვერ დავიძინებ. იმ საღამოს მე შევხვდი ერთ ადამიანს, რომელსაც თურმე ბევრი კოკაინი ჰქონდა. ეს რომ თავიდანვე მცოდნოდა, იმ დისკოთეკიდან მაშინვე წავიდოდი"*, - ასკვნის რიშარ გასკე, რომელიც ბოლომდე აპირებს სამართლისთვის ბრძოლას.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge